როგორ და რატომ უნდა დავიცვათ გვიანი მოდერნისტული არქიტექტურა

როგორ და რატომ უნდა დავიცვათ გვიანი მოდერნისტული არქიტექტურა

პრინციპები და მაგალითები

2020

სახელმძღვანელო შეიქმნა პროექტის „მოდერნისტული არქიტექტურის დაცვა და მისი მდგრადი გამოყენება საქართველოში“ ფარგლებში, გეთის ფონდის პროგრამის Keeping It Modern მხარდაჭერით.

The manual was created within the project “Conservation of Modernist Architecture and its Sustainable Use in Georgia“ supported by the Getty Foundation through its Keeping It Modern initiative.

© ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 2020

© Georgian National Committee of the Blue Shield, 2020

ISBN 978-9941-8-2879-9

ლურჯი ფარი
საქართველო

Getty
Foundation

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

ტექსტის ავტორები: რინ ალატალუ, დავით ბოსტანაშვილი, თომას იბრაჰიმი, მანანა თევზაძე, ლევან კალანდარიშვილი, ნინი ფალავანდიშვილი
კოორდინატორები: მარიამ კალხიტაშვილი, ლელა ნინოშვილი
დამკაბადონებელი და დიზაინერი: ნინო კუბლაშვილი
ილუსტრაციების ავტორი: ნინო კუბლაშვილი
კორექტორი: მანანა გოშაძე

სარჩევი

შესავალი 4

თავი 1. მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნების ზოგადი პრობლემატიკის აღწერა 6

1.1. ომის შემდგომი მოდერნიზმის შესახებ 7

1.2. ვვიანი მოდერნიზმი და საქართველო 8

1.3. მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნების ზოგადი პრობლემატიკის აღწერა – საქართველო 10

თავი 2. მოდერნისტული არქიტექტურის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები და დოკუმენტები 16

თავი 3. დასაცავი ფასეულობები 18

თავი 4. ვვიანი საბჭოთა მოდერნიზმის შენობის დაცვის კონკრეტული მაგალითი 20

4.1. მამოწვევები 21

4.2. პროექტი „მოდერნისტული არქიტექტურის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება საქართველოში" – მეთის ფონდის პროგრამა „შევინარჩუნოთ მეოცე საუკუნის არქიტექტურა" 21

4.2.1. საპროექტო მანაცხადი მეთის ფონდისთვის 23

4.2.2. რა დავისახეთ მიზნად და რა მავაკეთეთ 23

4.2.3. კონსერვაციის მეშვეა 24

4.2.4. ცნობიერების ამაღლება ვვიანი საბჭოთა მოდერნიზმის პერიოდის არქიტექტურის ფასეულობის შესახებ 25

თავი 5. რეკომენდაციები 34

5.1. მფლობელი 36

5.2. მოსარგებლე (უზურფრუქტუარი, მოიჯარე თუ სხვა ტიპის მოსარგებლე) 37

5.3. დაინტერესებული პროფესიული საზოგადოება თუ სამოქალაქო აქტივისტთა ჯგუფები და ინიციატივები 37

თავი 6. ვვიანი საბჭოთა მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნებისა და გამოყენების მაგალითები 40

6.1. ყოფილი საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა, ამჟამად საქართველოს ბანკის სათაო ოფისი, 1975 წ. 41

6.2. ინდუსტრიული პედაგოგიური ტექნიკუმის შენობა 44

6.3. მივი მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკის შენობა 50

6.4. მუხათგვერდის სასაფლაოს არქიტექტურული ანსამბლი (1970 – 1981) 55

6.5. საბჭოთა პერიოდის არქიტექტურა ესტონეთში 64

დანართები 70

1. მე-20 საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობის თემაზე გამოცემული პუბლიკაციები 70

2. მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები, მადრიდი – ნიუ დელის დოკუმენტი, 2017 (არაოფიციალური ქართული თარგმანი) 71

3. ბურას ქარტიის პროცესი: დიალოგი ავსტრალიის ICOMOS-ის ბურას ქარტიიდან, 2013 84



შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა პროექტის „მოდერნისტული არქიტექტურის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც 2018-2020 წლებში განახორციელა ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა გეთის ფონდის (Getty Foundation) პროგრამა „შევინარჩუნოთ მოდერნისტული არქიტექტურის“ (Keeping It Modern) მხარდაჭერით.

სახელმძღვანელო წარმოადგენს პროექტის ერთგვარ ანგარიშს და მისი განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილებისა და ფართო კონტექსტის მიმოხილვით, მიზნად ისახავს, წაახალისოს მოდერნისტული არქიტექტურის დაცვის შემდგომი ინიციატივები საქართველოში.

თავი 1 მოგვითხრობს ომის შემდგომი მოდერნიზმის ჩამოყალიბების ისტორიაზე და აღწერს ამ სტილის შემოსვლასა და განვითარებას საქართველოში. ამავე თავშია მიმოხილული გვიანი მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნების პრობლემატიკა საქართველოში.

თავი 2 ჩამოთვლის მოდერნისტული არქიტექტურის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ამ თემაზე შექმნილ საერთაშორისო დოკუმენტებს.

თავი 3 აყალიბებს მოდერნისტული არქიტექტურის იმ ძირითად ატრიბუტებს, რომლებიც წარმოადგენს მის დასაცავ ფასეულობას და ამისთვის მოიშველიებს კონკრეტულ მაგალითებს საქართველოდან.

თავი 4 წარმოგვიდგენს ერთი ძეგლის მაგალითს, კერძოდ კი მოგვითხრობს თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის ღირებულებების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისათვის გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებზე და ხსენებული პროექტის ღონისძიებების ერთგვარ ანგარიშადაც გვევლინება.

თავი 5 აღწერს ლურჯი ფარის გუნდის მიერ წინა თავში მოთხრობილი აქტივობების განხორციელების შედეგად მიღებულ გამოცდილებას და მისი გათვალისწინებით, აყალიბებს რჩევებსა და რეკომენდაციებს საბჭოთა მოდერნისტული შენობების დაცვისთვის საქართველოში.

თავი 6 წარმოადგენს კონკრეტული მაგალითების კრებულს და მასში აღწერილია 4 შენობის მდგომარეობა საქართველოდან, ხოლო მე-5 ქვეთავი ეთმობა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის არქიტექტურული მემკვიდრეობის მდგომარების მიმოხილვას ესტონეთში.

სახელმძღვანელოს დანართში მოცემულია მე-20 საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობის თემაზე გამოცემული პუბლიკაციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო კონვენციების, ქარტიებისა თუ სხვა დოქტრინული დოკუმენტების ნუსხა და აგრეთვე, „მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები, მადრიდი – ნიუ დელის დოკუმენტი“, რომელიც არის საერთაშორისო სახელმძღვანელო და საორიენტაციო სტანდარტი მე-20 საუკუნის მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ძეგლების შენარჩუნებისა და მართვისთვის.

ვფიქრობთ, სახელმძღვანელო გამოადგება როგორც მოდერნისტული არქიტექტურის დაცვით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას, სპეციალისტებსა და სტუდენტების, ისე ამ პერიოდის შენობების მფლობელებსა თუ მესვეურთ.

თავი 1.

მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნების ზოგადი პრობლემატიკის აღწერა

1.1. ომის შემდგომი მოდერნიზმის შესახებ

საწყისად იმ მიმდინარეობისა თუ სტილისა, რომელსაც დღეს სხვადასხვა ქვეყანაში, ენაზე და კონტექსტში სხვადასხვა სახელით მოიხსენებენ – ომის შემდგომი მოდერნიზმი (Postwar modernism), საუკუნის შუა მოდერნიზმი (Mid-Century modernism), სოციალისტური მოდერნიზმი, გვიანი საბჭოთა მოდერნიზმი – ითვლება საერთაშორისო სტილი (International style). საერთაშორისო სტილი წარმოიშვა 1910-იან წლებში არქიტექტურული და პოლიტიკური აზროვნების რამდენიმე დინებიდან. პირველ რიგში ეს იყო აღფრთოვანება თანამედროვე ინდუსტრიული შენობებით, განსაკუთრებით ქარხნებით, ანგარებით და საწყობებით, რომლებიც მოითხოვდნენ უტილიტარულ და პრაგმატულ დიზაინს – ბუნებრივ განათებას და მოქნილ შინაგან სივრცეს დანადგარებისა ან დიდი რაოდენობით საქონლის შესანახად, მაქსიმალურად სადას სტრუქტურის მინიმალური მხატვრული გაფორმებით. ასეთი კონსტრუქციები ასევე მოითხოვდნენ მშენებლობის სიზუსტესა და მასალების სიმტკიცეს. 1920-იან წლებში საერთაშორისო სტილი გახდა უახლესი დიზაინის ტენდენცია და გავლენას ახდენდა იმაზე, თუ როგორ, სრულიად სხვაგვარად ფიქრობდნენ ადამიანები შენობებზე და ნაშენ გარემოზე. მექანიზებული წარმოება განსაკუთრებით აქტუალური გახდა დასავლეთის საზოგადოებისთვის I მსოფლიო ომის კატაკლიზმების და ფართომასშტაბიანი განადგურების ფონზე. ისეთი სამრეწველო მასალების გამოყენება, რომელთა წარმოებაც შეიძლებოდა მასობრივად და აშენება სწრაფად, მაგალითად, რკინა, ფოლადი და ბეტონი, გადამწყვეტი უპირატესობა იყო ომის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ უზარმაზარ აღმშენებლობით პროცესში, განსაკუთრებით უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობასთან მიმართებაში.

1920-იანი წლების დასაწყისში, როგორც საფრანგეთში, ასევე გერმანიაში და ნიდერლანდებში ერთდროულად ხდებოდა არქიტექტურული დიზაინის პრინციპების ჩამოყალიბება, რომელმაც განსაზღვრა საერთაშორისო სტილი. ამ მიმართულების პიონერები იყვნენ შარლ ედუარდ ჟენერე იგივე ლე კორბიუზიე, ვალტერ გროპიუსი, ლუდვიგ მის ვან დერ როე და სხვა. 1917 წელს ჰოლანდიაში ჩამოყალიბდა ხელოვნების მიმდინარეობა დე სტაილ (De Stijl), რომლის მთავარი იდეა ფორმის და ფუნქციის იდეალური შერწყმა იყო, ასევე უნივერსალურის ძიება, სადაც ინდივიდუალიზმი კარგავდა მნიშვნელობას. 1919 წელს ვალტერ გროპიუსმა გერმანიაში, ვაიმარში დაარსა ბაუჰაუსის სკოლა. აქაც მთავარი პრინციპი იყო ფორმა, რომელიც ესადაგებოდა ფუნქციას, მინიმალიზმი, აქცენტი ტექნოლოგიაზე, მასალის გააზრებულ გამოყენებაზე, სისადავეზე და ეფექტურობაზე. 1920-იანი წლების ბოლოდან დაწყებული, საერთაშორისო სტილმა ამერიკაშიც ჰპოვა განვითარება, შემდგომ ლათინურ ამერიკაშიც და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. 1930-იანი წლების ბოლოს, პოლიტიკური დევნის შედეგად, საერთაშორისო სტილის ბევრმა დამფუძნებელმა ამერიკულ ინსტიტუტებს შეაფარა თავი: ვალტერ გროპიუსი და მარსელ ბროიერი ჰარვარდში ასწავლიდნენ, მის ვან დერ როე ილინოისის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, ჩიკაგოში. აქ მათ ამერიკელთა ახალი თაობა გაწვრთნეს საერთაშორისო სტილის პრინციპით.

თავიდანვე, საერთაშორისო სტილი ხშირად ასოცირდებოდა პოლიტიკურ მოძრაობებთან, განსაკუთრებით სოციალისტურ და კომუნისტურ იდეებთან. მისი რევოლუციური ხასიათი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წლებში და აზრი იმის შესახებ, რომ არქიტექტურა თავის როლს უნდა თამაშობდეს საზოგადოების მომსახურებასა და მშრომელთა კლასების კეთილდღეობის მიღწევაში, გახდა საერთო საფუძველი მის დამცველებსა და პოლიტიკურ მემარცხენეებს შორის. რუსული კონსტრუქტივიზმიც ამის ადრეული მაგალითია, ბაუჰაუს-

საც მხარს უჭერდა გერმანიაში სოციალ-დემოკრატიული პარტია, ხოლო მისი საბოლოო დახურვა განაპირობა მემარჯვენეების პოლიტიკურმა ანტაგონიზმმა. 1920-იან და 1930-იანი წლების დასაწყისში მრავალი თანამედროვე არქიტექტორი (ერნსტ მეი, ალბერტ კანი, ლე კორბიუზიე, ბრუნო ტაუტი და სხვა) გაემგზავრა საბჭოთა კავშირში ახალი საბჭოთა ინსტიტუტებისა და სამრეწველო ქალაქების მშენებლობაში დახმარების გასაწევად (და ნაცისტებისგან გასაქცევად), ვიდრე 1930-იან წლებში იოსებ სტალინმა რუსეთიდან არ გაძევა უცხოელები და საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ რეალიზმს. ამიერიდან საბჭოთა კავშირში კულტურის განვითარება და სოციალიზმის მშენებლობაში ჩართვა მთავრობის მიერ დასახული გეგმით უნდა წარმართულიყო სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დაცვით: ფორმით ეროვნული და შინაარსით – სოციალისტური. სტალინის დროინდელი, ძვირადღირებული, პომპეზური, უხვად მორთული საცხოვრებელი სახლები ვერ აკმაყოფილებდა საცხოვრებელზე მოთხოვნებს ქვეყნის მასშტაბით. მეორე მსოფლიო ომის შედეგად განადგურებულ ქვეყანაში საცხოვრებელი ფართის პრობლემა კიდევ უფრო გამძაფრდა. ამასთან, საგრძნობლად გაიზარდა ქალაქების ზომა და მოსახლეობის რაოდენობა, შედეგად საცხოვრებლის დეფიციტიც.

1.2. გვიანი მოდერნიზმი და საქართველო

1953 წელს, ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყნის ბინათმშენებლობაში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი. დიდი ყურადღება მიექცა სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას. მასიურ მშენებლობაში ტიპური პროექტების დანერგვას, ეკონომიურობის ამაღლებას, მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ახალი სამშენებლო მასალისა და კონსტრუქციების გამოყენებას, განსაკუთრებით კი მსხვილბლოკიანი, პანელოვანი, კარკასულ-პანელოვანი სახლების აგებას. თბილისშიც მკვეთრად შეიცვალა მშენებლობის მასშტაბები და ხასიათი. 60-იან წლებში აშენებული სახლების 97% აიგო ტიპური „ხრუშჩოვკის“ სახელით ცნობილი პროექტების მიხედვით.

საბჭოთა მთავრობის მიერ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მისაღწევად დასახული მიზნები ნაწილობრივ გამოძახილს ჰპოვებდა მოდერნიზმის საერთაშორისო იდეებში, თუმცა ხრუშჩოვის მიერ დაბრუნებული გვიანი საბჭოთა მოდერნიზმი განსხვავდებოდა 1920-იანი წლების საერთაშორისო სტილისგან და მისი მონათესავე რუსული ავანგარდისგან, საბჭოთა კონსტრუქტივიზმისგან, „ბაუჰაუსის“ და „დე სტაილს“ იდეებისგან. ხრუშჩოვისთვის მოდერნიზმის მხოლოდ პრაქტიკული მხარე იყო მნიშვნელოვანი, რაც მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებში, ახალ სამშენებლო მასალებში, მასობრივი მშენებლობის შესაძლებლობებში გამოიხატებოდა.

1964 წელს ლეონიდ ბრეჟნევი ცვლის ხრუშჩოვს ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოზიციაზე. თუმცა ბრეჟნევის პერიოდი (1964-1982) „უძრაობის ხანად“ მოიხსენიება, საბჭოთა კავშირის და მათ შორის თბილისის არქიტექტურა ბრეჟნევისა და მჟავანაძის (საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი 1953-1972 წლებში) დროს აყვავებას განიცდის. ეს არის დროის ზუსტად ის მონაკვეთი, როდესაც არქიტექტორებს ეძლევათ საშუალება დააპროექტონ სრულიად ახალი უბნები, იმუშაონ ინდივიდუალურ პროექტებზე და არა მხოლოდ ტიპურ შენობებზე, ამ პერიოდში შენდება გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის სახელით ცნობილი ყველაზე მეტი და გამორჩეული ნაგებობა.

ამ წლებში პირველად, გასაბჭოების შემდეგ, აიწია ფარდა კაპიტალისტური ქვეყნებისკენ, საქმიანი და კულტურული კონტაქტი დამყარდა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქალაქთან,

დაწყო ქალაქების დაძმობილება. 60-70-იან წლებში თბილისი დაუმეგობრდა ლიუბლიანას, პალერმოს, ზაარბრუკენს, ინსბრუკს და ნანტს. შესაბამისად სსრკ-ის არქიტექტორებისთვის ხელმისაწვდომი გახდა საერთაშორისო გამოცემები და მათი მეშვეობით ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. მართალია უშიშროების სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ არქიტექტორებს მაინც მიეცათ საზღვარგარეთ მოგზაურობის უფლება და უცხოელ კოლეგებთან წინასწარ დაგეგმილ შეხვედრებში მონაწილეობის საშუალება. პროფესიული თვალსაზრისით ეს მაინც ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო.

1974 წელს თბილისის მოსახლეობამ მილიონს მიაღწია.

70-იან წლებში კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობა, როგორც თავისუფალ ტერიტორიებზე (ბაგები, გლდანი, ვაზისუბანი, თემქა), ასევე უკვე ჩამოყალიბებულ რაიონებში. ახალი სერიის ტიპური პროექტებით აიგო 9, 12, 14 და 16 სართულიანი მსხვილბლოკიანი და კარკასულ-პანელოვანი სახლები. თუმცა, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არ იყო სოციალისტური საზოგადოების ერთადერთი მიზანი, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის განათლება, მათი კულტურული დონის ამაღლება და ჯანმრთელობის განმტკიცება. ასევე მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკათშორის და დამეგობრებულ ქვეყნებს შირის მოსახლეობის კავშირების გამყარება. შესაბამისად ინდივიდუალური პროექტებით იგეგმება და შენდება გართობისა და დასვენების კერები (**სასტუმროები „ივერია“, „აჭარა“, „კოლხეთი“, „აფხაზეთი“, რესტორნები „არაგვი“, „მარაბდა“, ჩაის სახლი**), საგანმანათლებლო (**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსი, სამედიცინო ინსტიტუტი, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი**), კულტურის (**თბილისის ფილარმონია, პროფკავშირების კულტურის სახლი, მუსკომედიის თეატრი, გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრი, თბილისის არქეოლოგიის მუზეუმი**) და სპორტის დაწესებულებები (**სპორტის სასახლე, საცურაო კომპლექსი „ლაგუნა ვერე“, თბილისის ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი, „დინამოს“ განახლებული სტადიონი**).

დღესდღეობით, გვიანი მოდერნისტული არქიტექტურა და მათ შორის ამ პერიოდის ძეგლები საქართველოშიც და თბილისშიც ღირსეულ ადგილს იკავებენ მსოფლიო არქიტექტურულ რუკაზე. ტყუილად არ არის, რომ ყოფილი **გზების დეპარტამენტის სამინისტროს შენობა** და ყოფილი **რიტუალების სასახლე** ბოლო დროის ამ თემაზე გამოცემულ პუბლიკაციებში აუცილებელი შემადგენელი არიან. დროა, ჩვენც დავაფასოთ ის არქიტექტურული მემკვიდრეობა, რაც საბჭოთა პერიოდმა დაგვიტოვა მისდამი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, შესაბამისად, შევინარჩუნოთ, გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ მას.



1.3. მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნების ზოგადი პრობლემატიკის აღწერა – საქართველო

კომპლექსურია ის პრობლემა, რომელსაც მოდერნისტული არქიტექტურის მემკვიდრეობის შენარჩუნებისას ვაწყდებით იქნება ეს საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე.

ნებისმიერი ეპოქის არქიტექტურის უდიდესი საფრთხეა მათი იდეოლოგიისა და სტილის აღქმა შემდეგ პერიოდში. წინა პერიოდის აღქმა მომდევნო პერიოდის მიერ, მითუმეტეს თუ ეს პოლიტიკურ/იდეოლოგიურ ცვლილებებსაც ეხება, ხშირად რეაქტიული და, გარკვეულწილად, უარყოფითიც არის.

როგორც ვახსენეთ, მოდერნისტული არქიტექტურა სოციალისტური იდეოლოგიით იყო განმსჭვალული. უმეტესობა იმ ქვეყნებისა, რომლებიც სოციალისტურ ბლოკს და საბჭოთა კავშირს ქმნიდნენ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩქარი ტემპით ცდილობდნენ წარსული იდეოლოგიის დავიწყებას. ყველაზე იოლი და სწრაფი გზა, მათი ვიზუალური მახსოვრობიდან ამოშლა იყო, შესაბამისად მრავალი შენობა თუ სტრუქტურა ემსხვერპლა იმ პირველ ემოციურ იმპულსს, რასაც თავისუფლება თუ დამოუკიდებლობა და წარსული წნეხისგან განთავისუფლება ეწოდებოდა.

ამის კარგი მაგალითებია თბილისში ე.წ. **ანდროპოვის ყურების** (ოთარ კალანდარიშვილი და გ. ფოცხიშვილი, 1983 წ.) დანგრევა 2004-2015 წლებში და ქუთაისში „**დიდების მემორიალის**“ (მერაბ ბერძენიშვილი, 1982 წ.) აფეთქება 2009 წელს.

ანდროპოვის ყურები, დემონტაჟი, 2014 წელი.
ფოტო: ნინი ფალავანდიშვილი

ამ პერიოდის შენობები, იქნება ადმინისტრაციული თუ კულტურული, ფართო მასებზე და თემური ურთიერთობების ხელშეწყობაზე იყო გათვლილი. შესაბამისად უმთავრესი პრობლემა, რასაც დღევანდელი საზოგადოება მათი მოვლა-პატრონობის თუ შენარჩუნების კუთხით აწყდება, არის დიდი მოცულობა. სოციალისტური რეჟიმის დანგრევის, ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში ადგილობრივი შეიარაღებული კონფლიქტების და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ, სახელმწიფოებისთვის, რომელთა ბალანსზეც ირიცხებოდა ყველა საზოგადოებრივი შენობა, შეუძლებელი გახდა ამ რაოდენობით და მოცულობით შენობების შენახვა. ერთ-ერთი მთავარი და უპირველესი პრობლემა მათი ცენტრალური კომუნალური მომარაგება გახდა. ომისგან და შეიარაღებული კონფლიქტებისგან დასუსტებულ ქვეყანაში შეუძლებელი იყო ამ რაოდენობით ელექტროენერგიით, გაზით თუ წყლით მომარაგება სახელმწიფოს ხარჯზე.

ხშირ შემთხვევაში გამოსავალი მათ კერძო მეპატრონეებზე გაყიდვაში მოიძებნა. ეს უფრო იმ შენობებს შეეხო, რომელთაც კომერციული დატვირთვა ჰქონდათ, მაგალითად სასტუმროები, სავაჭრო დაწესებულებები, სპორტული კომპლექსები. სახელმწიფოს ბალანსზე დარჩა კულტურული და საგანმანათლებლო კომპლექსები, თუმცა ხშირად მათი დანაწევრება და სივრცეების ნაწილობრივ იჯარით ან ქირით გაცემა მოხდა. ორივე გამოსავალი სავალალო აღმოჩნდა ნაგებობებისთვის. პრივატიცაზიის შემთხვევაში ახალი მეპატრონეები მათ დანგრევაში და ახლით ჩანაცვლებაში ხედავენ გამოსავალს, ან იმდენად სახეცვლაში, რომ შენობის ავთენტურობა და შესაბამისად, ღირებულება დაკარგულია.

ამის თვალსაჩინო მაგალითებია **ყოფილი უნივერმაღი თბილისი, სასტუმრო ივერია, ცეკავშირის შენობა, ბავშვთა სამყარო, ცეკა-ს გარაჟი** თბილისში, და არაერთი შენობა საქართველოს მასშტაბით, მათ შორის **კინოთეატრი „თბილისი“** ბათუმში და თელავის **ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრი**. გაურკვეველია თბილისში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და არქიტექტურულად თუ ისტორიულად ღირსშესანიშნავი შენობის **„ლაგუნა ვერეს“** ბედი.

სასტუმრო ივერია, 2006 წელი.
ფოტო: ნინი ფალავანდიშვილი

„ლაგუნა ვერე“, 2014 წელი.
ფოტო: ნინი ფალავანდიშვილი

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრი. 2020 წელი
ფოტო: ნინი ფალავანდიშვილი

თბილისი, ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი, 2019 წელი.
ფოტო: ლაშა შარტავა

ცალკეული სივრცეების დროებითი იჯარით გაცემაც არ აღმოჩნდა ხელსაყრელი.

მრავალი ეს შენობა აშენებული იყო პრინციპით „ფორმა მისდევს ფუნქციას“, შესაბამისად რთული გახდა მათი უფრო ზოგად დანიშნულებაზე მორგება. ამიტომ ყველა მოიჯარე თავის „ჭკუაზე“, მოთხოვნილებაზე და გემოვნებაზე ირგებს და ირემონტებს ფართს ორიგინალი შენობის არქიტექტურის, სამშენებლო მასალის და დეკორის სრული უგულვებელყოფით. შედეგად ვიღებთ ისეთ შენობებს, როგორებიცაა **თბილისის ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური ბიბლიოთეკა, სპორტის სასახლე, ყოფილი ჩაის სახლი, აკაკი ხორავას სახ. მსახიობთა სახლი**.

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, 2020 წელი.
ფოტო: ნინი ფალავანდიშვილი

გრაფიტი ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფასადზე, 2020 წელი.
ფოტო: ნინი ფალავანდიშვილი

ამ პრობლემის სათავე კანონმდებლობაშია. უფრო სწორედ, მის არ არსებობაში. საქართველოს კანონმდებლობაში არა მხოლოდ გასხვისების/გაყიდვის შემთხვევაში არამედ იჯარით ან უზუფრუქტით დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაშიც კი, როდესაც დროებით მეპატრონეს სრულად ეკისრება შენობის მოვლა-პატრონობა, არსად არის ნახსენები, თუ რა ვალდებულებები ეკისრება (დროებით) მეპატრონეს და რა კრიტერიუმები უნდა დაიცვას ამა თუ იმ შენობის და მისი თანმდევი ექსტერიერის თუ ინტერიერის გაფორმების მოვლისთვის.

საქართველოს კანონმდებლობით ისიც კი არ არის ზუსტად გაწერილი, თუ გააზრებული, რომ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ავალდებულებს არა მხოლოდ შენობის ფასადის შენარჩუნებას და დაცვას, არამედ ინტერიერის, სამშენებლო მასალების, დეკორის და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია, შენობის პირველადი ფუნქციის მაქსიმალურად შენარჩუნება.

თბილისში უძრავი ძეგლის სტატუსი ამ პერიოდის შენობებიდან მხოლოდ სამს აქვს, 2008 წელს ეს სტატუსი მიენიჭა ყოფილ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზს და ყოფილ საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს შენობას, 2019 წელს კი თბილისის ჭადრაკის სასახლის და ალპური კლუბის შენობას. ყოფილ ფილარმონიას, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული სახე თითქოს შენარჩუნებულია, არ გაუმართლა. სხვადასხვა დროს მოხდა მის ფასადზე უხეში ჩარევები, ჯერ ეკრანი დამონტაჟდა, შემდეგ გვერდითი, კინო „ამირანის“ მხრიდან, შესასვლელი გადაკეთდა და გაუქმდა ხვეული კიბე, შემდეგ სპორტული დარბაზი გაიხსნა ბოლო სართულზე, ბოლოს კი სამშენებლო კომპანიის ოფისი პირველ სართულზე. ეს ყველაფერი არღვევს შენობის პირვანდელ მთლიან იერსახეს და ეწინააღმდეგება ძეგლის მოვლის კრიტერიუმებს.

არც თბილისის ჭადრაკის სასახლის და ალპური კლუბის შემთხვევაა სამაგალითო. შენობის სივრცე დანაწევრებული და გადაკეთებულია მისი მრავალრიცხოვანი მოიჯარეების მოთხოვნილებებზე მოსარგებად, „გარემონტებული“ და „გალამაზებულია“ ორიგინალი გრანიტის იატაკი, მარმარილოს სვეტები, კარ-ფანჯარა... ეს ყველაფერი შექცევადია, თუმცა საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს.

არსებობს კარგი მაგალითებიც: თუ არ ჩავთვლით, რომ საკმაოდ შეცვლილია ორიგინალი გარემო, და ახალი ფუნქციიდან გამომდინარე მოხდა დამატებითი შენობის აგება, ყოფილი საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა, ამჟამად საქართველოს ბანკის სათაო ოფისი ძეგლის მოვლის კრიტერიუმების მაქსიმალური დაცვით იქნა აღდგენილი.

„ექსპო ჯორჯია“, საერთო ხედი, 2020 წელი.
ფოტო: ნინი ფალავანდიშვილი

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არ გააჩნია უამრავ ღირებულ შენობას, მაგრამ მათი მეპატრონეები მაქსიმალურად ცდილობენ არქიტექტურის შესაბამის მოვლას: ამჟამინდელი საგამოფენო ცენტრი **„ექსპო ჯორჯია“, სადღესასწაულო რიტუალების სასახლე თბილისში**.

ზოგადად, მე-20 საუკუნის შენობების შენახვის სირთულე მათ სამშენებლო მასალებში მდგომარეობს და ამ მასალების სიცოცხლის ხანმოკლეობაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდის არქი-

ტექტურა არა მხოლოდ ახალი არქიტექტურული სტილით გამოირჩევა, არამედ იმით, რომ ეს სტილი ნაწილობრივ განაპირობა წინა საუკუნეებისგან განსხვავებულმა, სრულიად ახალმა სამშენებლო მასალებმა – რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, დიდი შუშის მასები. ეს მასალები უკვე იწყებენ გამოფიტვას, ჟანგვას. საქართველოს შემთხვევაში ხშირად მასალის არქონის გამო, შერეული მასალებია გამოყენებული – ჩამოსხმული რკინაბეტონის ფილებთან შერეულია აგურის წყობა. ზოგჯერ დაბალი ხარისხის მასალებსაც ვხვდებით, რაც შესაბამისად უფრო აჩქარებს მათი მწყობრიდან გამოსვლის პროცესს.

კიდევ ერთი ფაქტორი არის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება. ამიტომ ხშირად დგება არჩევანი ავთენტური მასალის შენარჩუნებასა და მისი თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული მასალით შეცვლას შორის.

ასევე გასათვალისწინებელია თანამედროვე უსაფრთხოების ნორმების დაცვა და გამოყენება, შენობების ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დაცვით. ამიტომ ადაპტაციის დროს ხშირად აუცილებელია სივრცეების დამატება, რომლებიც არ იყო თავიდან გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევებში ძალიან გულდასმით და სფეროს სპეციალისტების ჩართვით არის აუცილებელი საჭირო ცვლილებების განხორციელება.

აღნიშნული პრობლემები და სირთულეები დამახასიათებელია არა მხოლოდ საქართველოსა თუ ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებისათვის. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, საერთაშორისო სტილი და შემდგომ უკვე მოდერნისტული არქიტექტურა განვითარდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მისი ღირსეული წარმომადგენლები მიმოფანტულია ექვსივე კონტინენტზე (ანტარქტიკის გამოკლებით). მეოცე საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა საფრთხეშია სამწუხაროდ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ გლობალურად. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა არის დრო, ის მცირე დრო, რომელიც განვლილია მათი შექმნიდან. შესაბამისად, ეს დრო არ არის საკმარისი მათი დაფასებისა და მათზე ზრუნვისთვის.

თუმცა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ იზრდება ამ პერიოდის მემკვიდრეობის დამფასებელთა რიცხვი, რომლებიც ასაბუთებენ მათ კულტურულ და ისტორიულ მნიშვნელობას, ასევე სოციალურ, მხატვრულ და ტექნოლოგიურ ღირებულებას. მხატვრული თვალსაზრისით ეს არის სრულიად ახალი ხედვა, გამოხატული სივრცის, შუქისა და მოცულობის ახალ და ოსტატურად გამოყენებაში. ტექნიკურად თანამედროვე შენობები ყველაზე ინოვაციური და გააზრებული მეთოდით პასუხობენ კონსტრუქციულ გამოწვევებს. საკუთესო მაგალითებში ხდება როგორც ტექნიკური ისე მხატვრული ღირებულებების თანხვედრა, რაც შთაგონების წყაროდ გვრჩება მომავალ თაობებს.

ასეთ მაგალითებად გვრჩება იორნ უტზონის სიდნეის ოპერის თეატრი, ფრენკ ლოიდ რაიტის გუგენჰაიმის მუზეუმი, ლე კორბუზიეს რონშამპის კაპელა და ვილა სავოი, მის ვან დერ როეს ბარსელონას პავილიონი და ფარნსვორტის სახლი (Farnsworth House), ჩარლზ და რეი იმსების სახლი, პიერ ლუიჯი ნერვის ფლამინიოს სტადიონი. არ დარჩებოდა ისეთი სახელები, როგორიცაა მარტინ გროპიუსი, გერიტ რიტფელდი, ოსკარ ნიმაიერი, მარსელ ბროიერი, ჯორჯ ნაკაშიმა, ლინა ბო ბარდი, ალვარ აალტო, აერო საარინენი, ფელიქს კანდელა, კიშო კუროკავა, რიჩარდ ნოიტრა. ეს ძალიან მცირე ჩამონათვალია იმ ადამიანებისა, რომლებმაც სახე მისცეს მეოცე საუკუნის არქიტექტურას.

თავი 2.

მოდერნისტული არქიტექტურის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები და დოკუმენტები



მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის შენარჩუნება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც წინა საუკუნეების მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. უკვე ბევრია დაკარგული და უფრო მეტს საფრთხე ემუქრება. ეს არის ცოცხალი, განვითარებადი მემკვიდრეობა და აუცილებელია მისი კარგად გაგება, დაცვა, ინტერპრეტაცია და სწორი მართვა მომავალი თაობებისთვის.

შენობის შექმნასა და მის დაცვასა და კონსერვაციას შორის დრო არასდროს ყოფილა ისე ვიწრო, როგორც მოდერნისტული ეპოქის მემკვიდრეობისთვის. ვალტერ გროპიუსის ბაუჰაუსის აშენებიდან მხოლოდ ორმოცი წელი იყო გასული, როდესაც იგი 1964 წელს მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იქნა შეტანილი. ქალაქი ბრაზილია, რომელიც 1956 წელს შეიქმნა, 1987 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს. სიდნეის ოპერის შენობის ამ სიაში შეტანის მცდელობები უკვე 1973 წელს, აშენებიდან თერთმეტი წლის შემდეგ დაიწყო. მოდერნისტული ეპოქის ყველაზე ხატოვანი ადგილების დაცვა და შენარჩუნების ადრეული ძალისხმევის მიუხედავად, ამ პერიოდის მემკვიდრეობის დაცვა, როგორც პრაქტიკის გამოკვეთილი სფერო, მხოლოდ 1990-იან წლებში დაიწყო.

დროთა განმავლობაში გვიანი მოდერნიზმის სტილის შენობების მიმართ ინტერესი და აღიარება სულ უფრო მზარდია. უამრავი სტატია, წიგნი, სემინარი, სიმპოზიუმი თუ კონფერენცია მიეძღვნა ამ თემას. სულ უფრო და უფრო მეტი ინტერნეტ გვერდი, ფორუმი, ჯგუფი ჩნდება, რომლებიც ამ პერიოდის არქიტექტურასა და დიზაინს განიხილავს.

საერთაშორისო დონეზე არსებობს სამი უმთავრესი ორგანიზაცია, რომელიც მე-20 საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობის შესწავლითა და შენარჩუნებით არის დაკავებული.

დოკომომო (Docomomo – International Committee for Documentation and Conservation of Buildings, Sites and Neighborhoods of the Modern Movement) – მოდერნისტული მოძრაობის შენობების, ღირშესანიშნავი ადგილებისა და უბნების დოკუმენტაციისა და კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტი, რომელსაც ასევე გააჩნია საქართველოს ეროვნული სექცია.

ICOMOS-ის (International Council on Monuments and Sites, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო) მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტმა 2000-იანი წლების დასაწყისში წამოიწყო პროგრამა Heritage Alerts, რომელიც ემსახურება მე-20 საუკუნის არქიტექტურის საფრთხეში მყოფ და მნიშვნელოვან ადგილებს. ასევე, ICOMOS-ის ინიციატივით შემუშავდა დოკუმენტი „მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები. მადრიდი – ნიუ დელის დოკუმენტი, 2017“

ძალიან მნიშვნელოვან როლს მე-20 საუკუნის მემკვიდრეობის შენარჩუნებაში ბოლო რამდენიმე წელია თამაშობს გეთის კონსერვაციის ინსტიტუტი და გეთის ფონდის პროგრამა – Keeping It Modern. ეს ინსტიტუტი ერთი მხრივ პრაქტიკულად და ფინანსურად მხარს უჭერს ამ პერიოდის არქიტექტურის კონკრეტული შენობების შესწავლასა და მათი კონსერვაციის დაგეგმვას, მეორე მხრივ ქმნის თეორიულ ბაზას მკვლევრებისთვისა და პრაქტიკოსებისთვის.

APT Modern Heritage Committee of the Association for Preservation Technology

ეს არის მულტიდისციპლინარული ორგანიზაცია, რომლის მისიაა, განავითაროს ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიები, რათა იზრუნოს, დაიცვას და ხელი შეუწყოს ნაშენი გარემოს სიცოცხლისუნარიანობას.

საერთაშორისო ქარტიები და სხვა დოქტრინული ტექსტები

- ICOMOS-ის დოკუმენტი – მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები მადრიდი – ნიუ დელის დოკუმენტი – 2017
- საერთაშორისო ქარტია ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის შესახებ (ვენეციის ქარტია) – 1964
- აინდჰოვენის ანგარიში, DOCOMOMO, 1990
- ავსტრალიის ICOMOS-ის ქარტია კულტურული მნიშვნელოვნების მქონე ადგილების შესახებ, (ბურას ქარტია) 2013 და თანმხლები სახელმძღვანელო პრინციპები.

თავი 3.

დასაცავი ფასეულობები

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ შენობის ღირებულებას არ წარმოადგენს მხოლოდ ფასადი და მისი ზოგადი იერსახე. აუცილებელია ყველა იმ შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინება, რომელიც სახასიათოა ამ პერიოდისთვის როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე – საინჟინრო მიგნებები, საშენი და მოსაპირკეთებელი მასალები, გარე და შიდა დიზაინის ელემენტები – სანათები, ავეჯი, ქსოვილი, შპალერი და მხატვრული გაფორმება.

ისევ საქართველოს მაგალითებს თუ დავუბრუნდებით, მაგ. დაუშვებელია მოსაპირკეთებელი მასალის მოშლა ან შეცვლა (**ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა**), მათი სახატავ კედლებად გამოყენება (ბიბლიოთეკები – მაღლივი, ბიბლიოთეკა ცინცაძის ქუჩაზე),[1] არ არის სასურველი ფასადის სარეკლამო აბრებით და ბანერებით ისე დაფარვა, რომ აღარ აღიქმებოდეს ღირებული ელემენტები (**თბილისი ცენტრალი**). უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მადრიდი-ნიუ დელის დოკუმენტი, მუხლი 1.3; და ბურას ქარტია, მუხლი 10.

მნიშვნელოვანია მათი მხატვრული გაფორმების შენარჩუნება, ეს გაფორმება ხშირად შენობის განუყოფელი ნაწილია და არქიტექტურის არსებით ნაწილს წარმოადგენს (**პროფკავშირების კულტურის სახლი, სპორტული კომპლექსი „ლაგუნა ვერე“, ყოფილი ჩაის სახლი, ყოფილი ინდუსტრიული პედაგოგიური ტექნიკუმი, ყოფილი პოლიტიკური განათლების სახლი**).

ქალაქგეგმარებითი კუთხით აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემო, რომელშიც ჩაწერილია ესა თუ ის ნაგებობა. თვითონ გარემო შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს არა მარტო შენობის ისტორიული კონტექსტის გასააზრებლად, არამედ როგორც ხედი, რომელშიც ის ზის და აღიქმება. ნებისმიერ ხელოვნების ნიმუშს, და არქიტექტურაც განიხილება, როგორც ხელოვნების ნიმუში, სჭირდება სივრცე მის აღსაქმელად და ის, თუ რატომ და როგორ იყო ჩაფიქრებული ესა თუ ის ნაგებობა ქალაქგეგმარებითი კუთხით, წარმოადგენს მისი ღირებულების ნაწილს (მადრიდი-ნიუ დელის დოკუმენტი, მუხლი 1.5).

ისევე, როგორც ნებისმიერ არქიტექტურულ ძეგლზე, გვიანი მოდერნიზმის შენობების შემთხვევაშიც, ნებისმიერ ჩარევამდე, აუცილებელია შენობის მთლიანობის შეცნობა, მისი ღირებულების დადგენა საქმის პროფესიონალების ჩართვით და მისი კონსერვაციისა და მართვის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. გარდა ამისა, ისევე როგორც ნებისმიერ ძეგლზე, მნიშვნელოვანია რეგულარული კონტროლი და მოვლა-პატრონობა.

პროფკავშირების კულტურის სახლი.
ფოტო: საქართველოს ეროვნული არქივი

1 https://www.radiotavisupleba.ge/a/30064766.html

თავი 4.

გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის შენობის დაცვის კონკრეტული მაგალითი

თბილისის ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი – ლურჯი ფარის საპროექტო გუნდის გამოცდილება

წინა თავში მიმოვიხილეთ მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნების პრობლემები საქართველოში და ვახსენეთ კონკრეტული მაგალითებიც. როგორც აღინიშნა, ეს შენობები დღეს სხვადასხვა ტიპის საფრთხის წინაშე დგანან: ზოგს ჟამთა სვლა და უფუნქციობა აზიანებს, ზოგს – შეუქცევადი გადაკეთებები, ზოგიც კი განგებ დაანგრიეს.

ამ თავში ერთ კონკრეტულ მაგალითზე შევჩერდებით – თბილისის ჭადრაკის სასახლესა და ალპურ კლუბზე – და მოგიყვებით მისი ღირებულებების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისათვის ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ხოლო მომდევნო თავში ჩვენს გამოცდილებაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს გაგიზიარებთ.

4.1. გამოწვევები

გამოწვევები, რომლებთან გამკლავებაც ამ პროექტით დავისახეთ, მეტწილად თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის შენობის კონსერვაციულ მდგომარეობას უკავშირდება, მაგრამ ასევე ზოგადი პრობლემატიკის ამსახველია, რაც არის ამ პერიოდის არქიტექტურის არასათანადო დაფასება. მიუხედავად იმისა, რომ შენობას შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი ფუნქცია და თითქმის სრულად არის გამოყენებული, იგი დღემდე არაერთი ცვლილებითა და დანაკარგით არის მოსული, რაც მის მთლიანობასა და ავთენტურობის ხარისხზეც აისახება. შენობა მისი ისტორიის მანძილზე არაერთხელ დამდგარა გასხვისების საშიშროების წინაშე, ხოლო მისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხი არაერთხელ უშედეგოდ იქნა დასმული ბოლო წლებში. ყოველივე ეს კიდევ უფრო მძაფრად აღიქმება ქალაქში არსებული ზოგადი სიტუაციის ფონზე, კერძოდ, ძეგლის სტატუსის მქონე შენობების ნგრევა თუ უხეში სახეცვლა ადაპტაციის სახელით, გასხვისება შენობის ღირებულებების შენარჩუნების ვალდებულების გარეშე თუ სხვ. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით გაჩნდა მოცემული პროექტის იდეა და შემუშავდა მისი დეტალური გეგმა.

4.2. პროექტი „მოდერნისტული არქიტექტურის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება საქართველოში“ – გეთის ფონდის პროგრამა „შევინარჩუნოთ მეოცე საუკუნის არქიტექტურა“

ეს თავი მეტწილად ზემოხსენებულ პროექტზე გვიყვება და წარმოადგენს ერთგვარ ანგარიშს იმისა, თუ რა დაისახა და განახორციელა ჩვენმა საპროექტო გუნდმა. თუმცა პროექტამდე იყო არაერთი ძალისხმევა კონკრეტული შედეგით.

წინაისტორია

კურატორმა და მკვლევარმა ნინი ფალავანდიშვილმა შენობის კვლევა 2015 წელს დაიწყო, რასაც მალევე მოჰყვა მის მიერ GeoAIR-ის სახელოვნებო რეზიდენციაში 3 უცხოელი ხელოვანის მოწვევა და მათ მიერ ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის თემაზე სკულპტურული და თანამონაწილეობითი ნამუშევრების შექმნა. მათი (იზა ტარასევიჩი, დავიდ ბერჟე და იპ კაი ჩუნ) ნამუშევრების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია GeoAIR-ის ვებგვერდზე[2]. 2016 წლის ივლისში კი შენობაშივე მოეწყო გამოფენა ადგილობრივი და უცხოელი ხელოვანების ჩართულობით[3]. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით იზა ტარასევიჩის სასახლის თემაზე შექმნილი ნამუშევარი ასევე აჩვენეს გამოფენის ფარგლებში კიევში[4]. ნინი ფალავანდიშვილის კვლევამ ასახვა პოვა 2017 წელს ბერლინში გამართულ გამოფენაზე[5], ისევე როგორც პუბლიკაციაში „აღქმის ომი“, რომელიც მხოლოდ ერთი ტირაჟით, როგორც სახელოვნებო წიგნი, გამოიცა ბეჭდურად და ორ სხვადასხვა ევროპულ გამოცემაში დაბეჭდილ სტატიებში[6].

---

2 http://geoair.ge/project/iza-tarasewicz
http://geoair.ge/project/david-berg%C3%A9
http://geoair.ge/project/yip-kai-chun

3 http://geoair.ge/project/8x8-future-never-happened

4 http://geoair.ge/project/blue-box-common-places-and-contemporary-artistic-practices

5 http://geoair.ge/project/pop-chess-palace
https://www.baunetz.de/meldungen/Meldungen-Ausstellung_ueber_Architektur_und_Ideologie_5076403.html

6 Tbilisi Chess Palace and Alpine Club, in Between Caucasus and the Black Sea. Architecture in Georgia (Ed. Adolph Stiller), Mury Salzmann, Vienna, 2018 და Long Live the Queen, in Tbilisi-It's Complicated (Ed. N. Palavandishvili, D. Chigholashvili, M. Splint), Onomatopee, Eindhoven, 2019

2 3 4 5

პროექტის „მოდერნისტული არქიტექტურის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება საქართველოში“ ძირითადი მიმართულებები

4.2.1. საპროექტო განაცხადი გეთის ფონდისთვის

ზემოთ აღწერილმა ქმედებებმა ლოგიკური ნაყოფი გამოიღო საპროექტო განაცხადის სახით, რომელიც ნინი ფალავანდიშვილისა და ლურჯი ფარის ეროვნული კომიტეტის ჯგუფის მიერ ერთობლივად მომზადდა 2018 წელს.

პროგრამა „შევინარჩუნოთ მეოცე საუკუნის არქიტექტურა“, რომლის საგრანტო კონკურსზეც გაიგზავნა ჩვენი განაცხადი, გეთის ფონდმა 2014 წელს დაიწყო და 7 წლის მანძილზე 65-ზე მეტი მოდერნისტული შენობის კონსერვაციისა და მართვის გეგმის შემუშავება დააფინანსა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ პროგრამის გრანტის მიმღები შენობების სიისთვის თვალის შევლება იმთავითვე ცხადყოფს, რომ ფონდი გამორჩეული არქიტექტურული და ისტორიული ღირებულებების ნიშნით არჩევდა მათ. შესაბამისად, ჩვენი გუნდისთვის ცხადი იყო, რომ აღნიშნული პროგრამის მესვეურთა ყურადღების მისაპყრობად ძალიან კარგად უნდა წარმოგვეჩინა ჩვენ მიერ შერჩეული შენობის განსაკუთრებულობა და დაგვესაბუთებინა მისი შენარჩუნების აუცილებლობა და აქტუალობა. განაცხადი გაამყარა შენობის უკვე არსებულმა კვლევამ, რასაც დაერთო მისი არსებული მდგომარეობის ანალიზი და მისი კონსერვაციისა და პოპულარიზაციისთვის დასახული ჩვენეული გეგმა. განაცხადის მომზადების ეტაპზე გუნდი გაეცნო შენობის მესაკუთრეს – მუნიციპალიტეტის მერიის ყველა შესაბამისი განყოფილების უფროსს, ასევე შენობის უზურფრუქტუარი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მიაწოდა ინფორმაცია საპროექტო განაცხადის შესახებ და გამოიკითხა მათი აზრი.

4.2.2. რა დავისახეთ მიზნად და რა გავაკეთეთ

ქვემოთ მოცემული თავები, ფაქტობრივად, პროექტის სრულ ანგარიშს წარმოადგენს. მისი საილუსტრაციო მასალა წარმოდგენილია პროექტის შედეგების გავრცელების მიზნით სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე

https://chesspalaceandalpineclub.ge/

ისევე როგორც ლურჯი ფარის ეროვნული კომიტეტის ვებ-გვერდზე – https://blueshield.ge

პროექტს შემდეგი ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა და მის ფარგლებში დაგეგმილი ყველა ღონისძიება მათ მიღწევას ემსახურებოდა:

1. კონსერვაციის გეგმის შემუშავება თბილისში არსებული გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის შენობისათვის, რომელიც იქნება პირველი ასეთი გეგმა და იქცევა პროტოტიპად ამავე პერიოდის სხვა შენობებისათვის;
2. ცნობიერების ამაღლება გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის პერიოდის არქიტექტურის ფასეულობის შესახებ.

4.2.3. კონსერვაციის გეგმა

პროცესი

კონსერვაციის გეგმა არაერთი კვლევის შედეგია. ესენია:

- საარქივო კვლევა;
- სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;
- შენობის არსებული ფიზიკური მდგომარეობის დოკუმენტაცია და კვლევა;
- მასალათა კვლევა;
- საინჟინრო კვლევა;
- საკომუნიკაციო სისტემების (მათ შორის, წყალგაყვანილობის, ელექტროობისა და გათბობა ვენტილაციის) კვლევა;
- დაინტერესებულ პირთა კვლევა;
- სოციოლოგიური კვლევა;
- შენობის ეკონომიკური პოტენციალის პირველადი შეფასება.

სახელოვნებათმცოდნეო კვლევის ნაწილში მოხდა შენობის ერთ-ერთი არქიტექტორის, გერმანე ღუდუშაურის, და მისი ინტერიერის დიზაინის ავტორთა ჯგუფ „სამეულის“ ერთ-ერთი წევრის – ალექსანდრე სლოვინსკის ვიდეო ინტერვიუების ჩაწერა. ვიდეო ინტერვიუები ინტეგრირდა პროექტის ფარგლებში მომზადებულ ვიდეო ისტორიაში, რომლის ნახვა შესაძლებელია პროექტის გვერდზე – https://chesspalaceandalpineclub.ge/

გერმანე ღუდუშაურთან ინტერვიუს ჩაწერისას, ნოემბერი 2018
ფოტო: ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი

ალექსანდრე სლოვინსკი ინტერვიუს ჩაწერისას, ნოემბერი 2018
ფოტო: ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი

კვლევების ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე საპროექტო ჯგუფმა მოაწყო არაერთი შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრებზე ხდებოდა შეთავაზებების წარდგენა და განხილვა. კონსერვაციის გეგმის მთავარი პრინციპების განხილვა და შეთანხმება მოხდა შენობის მფლობელთან – თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ორივე მოსარგებლესთან: ჭადრაკის ფედერაციასა და ალპურ კლუბთან.

გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს შენობის ამჟამინდელი ფიზიკური და კონსერვაციული მდგომარეობის აღწერასა და ანალიზს, რის საფუძველზეც დეტალურად თითოეული სივრცისთვის არის მოცემული საკონსერვაციო ჩარევები. შენობის გარკვეული ნაწილისთვის შეთავაზებულია ადაპტაციისა და ხელახალი გამოყენების კონცეფცია, რაც აგრეთვე გამყარებულია არაერთი კვლევით. აგრეთვე, დამუშავდა შენობის ერთწლიანი მოვლა-პატრონობის გეგმა და რეკომენდაციები შენობის მოსარგებლეებისათვის.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გეგმა პირველი ასეთი დოკუმენტია, რომელიც შეიქმნა მოდერნისტული პერიოდის ძეგლისთვის საქართველოში.

ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის კონსერვაციის გეგმის დოკუმენტი განთავსებულია პროექტის შედეგებისთვის სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე www.chesspalaceandalpineclub.ge ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო ინგლისურენოვანი ვერსია აგრეთვე განთავსებულია გეთის ფონდის პროგრამა „შევინარჩუნოთ მოდერნისტული არქიტექტურის“ (Keeping It Modern) ანგარიშების ბიბლიოთეკაში შემდეგ ბმულზე: https://www.getty.edu/foundation/initiatives/current/keeping_it_modern/report_library/index.html

4.2.4. ცნობიერების ამაღლება გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის პერიოდის არქიტექტურის ფასეულობის შესახებ

ცნობიერების ამაღლება გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის პერიოდის არქიტექტურის ფასეულობის შესახებ რამდენიმე მიმართულებით განვიზრახეთ. ერთი მიმართულების კონკრეტული სამიზნე იყო არქიტექტურის, რესტავრაციისა და ძეგლთა დაცვის სფეროს სპეციალისტები და სტუდენტები, ხოლო მეორე – ფართო საზოგადოება. შესაბამისად, ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები შეგვიძლია პირობითად 2 ჯგუფად დავყოთ:

1. შესაძლებლობების გაძლიერება

2. საზოგადოებრივი კამპანია

1. შესაძლებლობების გაძლიერება

ამ მიმართულებით ჩატარდა არაერთი სასწავლო ღონისძიება სხვადასხვა ფორმითა და სამიზნე აუდიტორიით:

ა. „მემკვიდრეობის დოკუმენტაციის ზამთრის სკოლა“

ოთხდღიანმა სამუშაო შეხვედრამ თბილისში გააერთიანა 15 მონაწილე, მათ შორის თბილისის სამი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და თბილისსა და ბათუმში არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვაზე მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტები. სამუშაო შეხვედრას უძღვებოდა 4 საერთაშორისო ექსპერტი და საპროექტო გუნდის წევრები ლურჯი ფარის ეროვნული კომიტეტიდან. სწავლება შეეხო არქიტექტურის დოკუმენტაციისათვის მნიშვნელოვან სამ მიმართულებას:

- ფოტოგრაფია;
- ფოტოგრამეტრია;
- ლაზერული სკანირება.

აღნიშნულ ტრენინგში ერთი საერთაშორისო ექსპერტის ნაცვლად იკომოსის დოკუმენტაციის სამეცნიერო კომიტეტის (CIPA) კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის მკვლევრებისა და ტრენერების ჩართვა შესაძლებელი გახდა ამ ორგანიზაციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით.

ICOMOS CIPA მემკვიდრეობის დოკუმენტაციის ზამთრის სკოლა, 16-19 იანვარი, 2019

ბ. პრაქტიკული სემინარი „არქიტექტურული მემკვიდრეობის ადაპტაცია და ხელახალი გამოყენება“

პრაქტიკული სემინარი კვლავ ჭადრაკის სასახლესა და ალპურ კლუბში ჩატარდა და მიზნად დაისახა მისი სივრცეების, მათ შორის მთავარი დარბაზის, ხელახალი გააზრება. პრაქტიკულ სემინარს გაუძღვა საერთაშოსო ექსპერტი რენდ ეპიჩი, ხოლო მონაწილეები, ამჯერად ახალგაზრდა არქიტექტორებისა და რესტრავრატორების გარდა, იყვნენ ბიზნესისა და ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებიც. ისინი დადგნენ ამოცანის წინაშე, წარმოედგინათ იდეები შენობის გარკვეული სივრცეების ფუნქციის ცვლილების შესახებ, რომელიც იქნებოდა შესაბამისობაში ჭადრაკის ფედერაციის ფინანსურ საჭიროებებთან და გაითვალისწინებდა შენობის ღირებულებებს. ხუთი დღის განმავლობაში მონაწილეებმა იმუშავეს საკითხებზე, როგორიცაა: შენობის გააზრება, ამჟამინდელი ფუნქციის დოკუმენტაცია, მფლობელთა მომავალი საჭიროებების პროგნოზირება და ინოვაციური და ფინანსურად მდგრადი გადაწყვეტილებების მიღება. პრაქტიკულ სემინარზე სტუდენტებმა საპროექტო გუნდისგან მიიღეს ინფორმაცია შენობის შესახებ, გაეცნენ მის ღირებულებებს, დღევანდელ ფუნქციას. მეორე ეტაპზე, ისინი გაესაუბრნენ და განიხილეს შენობის თანამედროვე და სამომავლო გამოყენების გეგმები მის მფლობელებთან და მოსარგებლეებთან. შერეულ ჯგუფებში მათ იმუშავეს აგრეთვე ფინანსურ ასპექტებზე, კერძოდ, თუ რამდენად აქვს შენობას დღევანდელი მოცემულობით ჭადრაკის ფედერაციისა და შენობის მოვლა-პატრონობის ფინანსური უზრუნველყოფის პოტენციალი. შედეგად, ჯგუფებმა წარმოადგინეს შენობის ღირებულებებთან თავსებადი შესაძლო სამომავლო გამოყენების გზები და ალტერნატიული პროექტები პირველადი ფინანსური ანალიზის თანხლებით.

ვორკშოპი „არქიტექტურული მემკვიდრეობის ადაპტაცია და ხელახალი გამოყენება“, 3-7 ივნისი, 2019 წელი

გ. სემინარი მოდერისტული არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ადაპტაციის შესახებ

რინ ალატალუს სემინარი „მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნება და ადაპტაციის მნიშვნელობა საუკეთესო შემთხვევების მაგალითზე", 24 სექტემბერი, 2019 წელი

ესტონეთიდან მოწვეულმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ექსპერტმა, რინ ალატალუმ ჩაატარა თემატური სემინარი მოდერისტული არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და ადაპტაციის გამოცდილების შესახებ და ისაუბრა ამ მიმართულებით არსებულ საუკეთესო პრაქტიკაზე. სემინარის მონაწილეები გაეცნენ საბჭოთა მოდერნისტული არქიტექტურული მემკვიდრეობის ტექნიკურ მახასიათებლებს, მათი შენარჩუნების გზებსა და მნიშვნელობას, საფრთხის ქვეშ მყოფ შენობებს და მათი გადარჩენის წარმატებულ მაგალითებს ესტონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. სემინარის აუდიტორია მოიცავდა საჯარო მოხელეებს, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასაქმებულ სპეციალისტებს და მიზნად ისახავდა მათი ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას მოდერისტული არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხზე.

დ. პრაქტიკული სემინარი: თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფციის შექმნა

გამომდინარე შენობის საჭიროებიდან და პროექტში ჩართული სტუდენტების ინტერესიდან, პროექტის მსვლელობისას გაჩნდა დამატებითი პრაქტიკული სემინარის ჩატარების იდეა. მისი მიზანი იყო არქიტექტურის, დიზანის, ციფრული კომუნიკაციებისა და სამუზეუმო

საქმის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დაინტერესება ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის ისტორიების ამსახველი საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფციის შესაქმნელად. ერთდღიანი პრაქტიკული სემინარის ფარგლებში 14 შერჩეული სტუდენტი დეტალურად გაეცნო შენობის ისტორიასა და თანამედროვე გამოწვევებს, მოისმინეს ლექცია საინტერპრეტაციო ცენტრების შესახებ და მომდევნო დღეების მანძილზე ჯგუფურად დაამუშავეს ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის სამუზეუმო და საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფცია. ვორქშოფის შედეგად შექმნილი 3 ნამუშევარი გამოიფინა მუზეუმების ევროპული ღამის ფარგლებში მოწყობილ გამოფენაზე.

ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფციის შექმნის პრაქტიკული სემინარი, 11 მაისი, 2019

2. საზოგადოებრივი კამპანია

ა. ძეგლის სტატუსის მინიჭება

პროექტის პირველივე წელს მომზადდა განაცხადი შენობისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით და გაიგზავნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში. განაცხადი წარმოადგენდა მკვლევრისა და კურატორ, ნინი ფალავანდიშვილის მიერ შედგენილ სააღრიცხვო ბარათს, რომელიც მას ადრეც არაერთხელ ჰქონდა წარდგენილი სააგენტოში, თუმცა – უშედეგოდ. გამომდინარე იქიდან, რომ ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი განთავსებულია ვერის პარკის ტერიტორიაზე, რომელსაც აქვს მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ეროვნული სააგენტო თავს იკავებდა შენობისთვის ცალკე სტატუსის მინიჭებისგან. ლურჯი ფარის განაცხადმა ამჯერად გაიარა კანონმდებლობით დადგენილი ყველა ინსტანცია და რამდენიმე თვის თავზე, მთავრობის განკარგულებით, თბილისის ჭადრაკის სასახლესა და ალპური კლუბის შენობას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი[7]. აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში საპროექტო გუნდის მიერ წარდგენილი განაცხადის პარალელურად, კულტურის სამინისტროსა და მერიას შენობისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების მხარდამჭერი წერილებით მიმართა რამდენიმე უცხოელმა არქიტექტორმა და ხელოვანმა, რომლებიც იცნობენ და აფასებენ მის მნიშვნელობას.

7 https://bit.ly/37KoAN5

ბ. მედია კამპანია

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად რთულია დაინტერესო მედია კულტურის სფეროს სიახლეებით, შეიძლება ითქვას, რომ პროექტის გუნდმა აწარმოვა წარმატებული მედია-კამპანია შენობისთვის და, ზოგადად, ამ პერიოდის არქიტექტურისთვის ფართო საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად. ჯამში მომზადდა 10-ზე მეტი მედია სიუჟეტი, მათ შორის: ვიდეო ბლოგები ელექტრონული გამოცემებისთვის, სატელევიზიო გადაცემები და ინტერვიუები.

გ. ვებ-გვერდი

იმისთვის, რომ პროექტის დასრულების მიღმა ფართო საზოგადოებას თუ ნებისმიერ დაინტერესებულ კონკრეტულ პირსა თუ ჯგუფებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, გასცნობოდნენ მის შედეგებს, შეიქმნა ცალკე ვებ-გვერდი – https://chesspalaceandalpineclub.ge/. მასზე თავმოყრილია პროექტის შედეგად შექმნილი და თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის შენობის შესახებ მოძიებული საარქივო მასალა.

დ. ვიდეოები

შენობისა და მისი მდგომარეობის მიმართ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ფართო საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდის მიზნით პროექტის ფარგლებში შეიქმნა ორი ვიდეო ქართულ ენაზე ინგლისური სუბტიტრებით. პირველი მომზადდა პროექტის დასაწყისში და მოგვითხრობს შენობის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ. ხოლო მეორე – უფრო ვრცელი ვიდეო პროექტის დასასრულს შეიქმნა და ასახა პროექტის შედეგები.

ე. სახელმძღვანელო

წინამდებარე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მიზანიც ცნობიერების ამაღლებაა. იმავდროულად, ის სასწავლო რესურსადაც შეიძლება გამოდგეს. სახელმძღვანელო წარმოადგენს პროექტის აქტივობების ერთგვარ შეჯამებას, ყვება რა პროექტის გუნდის უშუალო გამოცდილებაზე და აგრეთვე მოიცავს განზოგადებულ რეკომენდაციებს საინიციატივო ჯგუფებისათვის, რომლებიც მომავალში გადაწყვეტენ მსგავს საქმიანობას, ვიმედოვნებთ, რომ ის წაადგება როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე არქიტექტურის, რესტავრაციის, ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის მიმართულების სტუდენტებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს, ხელს შეუწყობს გვიანი საბჭოთა არქიტექტურული მემკვიდრეობის მიმართ ცნობიერების ამაღლებას და მცირედით მაინც შეცვლის დამოკიდებულებას ამ პერიოდის არქიტექტურის მიმართ.

ვ. საჯარო ლექცია გვიანი საბჭოთა მოდერნისტული არქიტექტული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ

ეროვნულ საპარლამენტო ბიბლიოთეკაში გამართულ საჯარო ლექციაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ესტონელმა ექსპერტმა რინ ალატალუმ ისაუბრა მოდერნისტული მემკვიდრეობის შენარჩუნების იმ საერთო გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგანან ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნები ამ ტიპის მემკვიდრეობის კონსერვაციისა და ადაპტაციის დროს. მან წარმოადგინა კონსერვაციის წარმატებული მაგალითები ესტონეთიდან, ფინეთიდან და რუსეთიდან. ლექციას 50-მდე დამსწრე ჰყავდა, რომელიც აქტიურად ჩაერთო ლექციის შემდეგ გამართულ დისკუსიაში.

რინ ალატალუს საჯარო ლექცია გვიანი საბჭოთა მოდერნისტული არქიტექტული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ, 26 სექტემბერი, 2019

ზ. მრგვალი მაგიდა დაინტერესებულ მხარეებთან

მრგვალი მაგიდის შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან არაერთხელ ჩატარდა პროექტის მსვლელობისას, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, სადაც ყველა მხარე იყო წარმოდგენილი, მოეწყო კონსერვაციის გეგმის საბოლოო კონცეფციის განხილვისა და შეთანხმების მიზნით. მასზე ყველა მხარემ: ძირითადმა მოსარგებლეებმა და მესაკუთრემ გამოხატა თავისი მოსაზრება და დაეთანხმა საპროექტო გუნდის მიერ შეთავაზებულ გადაწყვეტებს.

მრგვალი მაგიდა, კონსერვაციის გეგმის საბოლოო კონცეფციის განხილვა, 5 დეკემბერი, 2019

თ. გამოფენა

მუზეუმების კვირეულის ფარგლებში, ევროპის მუზეუმების ღამეს, 2019 წლის 18 მაისს, ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის ეზოში ჩვენი გუნდის ორგანიზებით გაიმართა საქართველოში საბჭოთა მოდერნიზმის ამსახველი ციფრული ფოტოებისა და ვიდეოების გამოფენა. დამთვალიერებლებს აგრეთვე მიეცათ საშუალება, დაეთვალიერებინათ შენობაში არსებული, ამჟამად გამოუყენებელი დიდი დარბაზი, რომელიც სხვა შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი და, აგრეთვე, ალპინიზმის მუზეუმი, რომელიც ასევე არ ფუნქციონირებს რეგულარულად. აქვე გამოიფინა სტუდენტური ჯგუფების მიერ შექმნილი პლანშეტები შენობის საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფციებით. ამ დღისთვის აგრეთვე დაიბეჭდა და დარიგდა თემატური პლაკატები და სტიკერები. გამოფენასა და შენობას ამ ღამეს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა, რითიც დასტურდება თბილისის მოსახლეობის ნაწილის ინტერესი შენობისა და ზოგადად საბჭოთა მოდერნისტული არქიტექტურისადმი.

პრაქტიკული სემინარის „თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფციის შექმნა“ შედეგად სტუდენტების ერთ-ერთი ჯგუფის მიერ შემუშავებული საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფცია ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბისთვის

საბჭოთა მოდერნიზმის ამსახველი ციფრული ფოტოებისა და ვიდეოების გამოფენა, ევროპის მუზეუმების ღამე, 18 მაისი, 2019

ი. ბანქო – გვიანი მოდერნისტული არქიტექტურა თბილისში

თბილისის გვიანი მოდერნისტული არქიტექტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა აგრეთვე თემატური ბარათები ბანქოს სტილში. მათზე გამოსახულია 1960-1989 წლებში შექმნილი 45 ყველაზე გამორჩეული არქიტექტურული მემკვიდრეობის ნიმუში. ბარათებზე შენობის გრაფიკული ილუსტრაციის გარდა დატანილია ძირითადი ინფორმაცია, კერძოდ, არქიტექტორის გვარი და შექმნის წელი, ხოლო ბარათის უკანა მხარეზე მოცემულია QR კოდი, რომლის დახმარებითაც ვხვდებით ონლაინ რუკაზე, სადაც ნაჩვენებია ნაგებობის ზუსტი ადგილმდებარეობა და ფოტო. მისი ნაწილი გავრცელდა 2020 წლის თბილისის არქიტექტურული ბიენალეს ფარგლებში ჩატარებულ გამოფენებზე, ხოლო დანარჩენის დარიგება იგეგმება უმაღლესი სასწავლებლების არქიტექტურის ფაკულტეტების ბიბლიოთეკებში, თემატურ გამოფენებსა და გალერეებში.

ბოლოთქმა

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა მიაღწია თითოეულ დასახულ მიზანს. მის მიღმა საპროექტო გუნდის მიერ ჩატარდა არაერთი დამატებითი ღონისძიება. პროექტს ჰქონდა ასევე არაერთი არაპირდაპირი შედეგი, რაც გამოიხატა სხვადასხვა მსგავსი ჯგუფების გაძლიერებაში, რომელთაც დაიწყეს კონკრეტული ამავე პერიოდის ღირებული შენობისთვის ძეგლის სტატუსის კამპანიის დაგეგმვა და კონსულტაციისთვის მიმართეს ჩვენ ჯგუფს. აგრეთვე, პროექტის მსვლელობის მანძილზე დაიწერა კიდევ ორი საპროექტო განაცხადი გეთის ფონდის ამავე პროგრამის ფარგლებში გრანტის მოსაპოვებლად. ვფიქრობთ, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით პროექტის ფარგლებში ჩატარებული სასწავლო პროგრამები და შექმნილი კონკრეტული ხელშესახები რესურსები, რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ პროექტის დასრულების მიღმაც, მომავალშიც იქონიებს დადებით გავლენას და ხელს შეუწყობს მოდერნისტული არქიტექტურის შენარჩუნების საქმეს.

ამასთან, პროექტმა კიდევ უფრო მძაფრად გამოავლინა გვიანი საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის მიმართ ქვეყანაში არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულება და ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს, მათ შორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შეძლებისგაგვარად უკეთ დაანახა ამ პერიოდის არქიტექტურის რეალური პოტენციალი.

გარდა ცნობიერების ამაღლების მიზნისა, რომელსაც, ვფიქრობთ, რომ წარმატებულად გავართვით თავი, ვიმედოვნებთ, რომ კონსერვაციისა და მართვის გეგმა დაეხმარება შენობის მფლობელსა და მოსარგებლეებს, მოახდინონ შენობის კონსერვაცია, მისი ღირებულებების შენარჩუნება და პრეზენტაცია.



პოსტერი საბჭოთა მოდერნიზმის ამსახველი ციფრული ფოტოებისა და ვიდეოების გამოფენისთვის, 18 მაისი, 2019

თავი 5.
რეკომენდაციები

როგორც დასაწყისშიც აღინიშნა, ამ თავში ვეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა რეკომენდაციები საბჭოთა მოდერნისტული შენობების დაცვისთვის. ჩვენი რჩევები და რეკომენდაციები გამომდინარეობს როგორც ჩვენი გუნდის გამოცდილებიდან, რაც წინა თავში მოთხრობილ ჩვენ მიერ ჩატარებულ აქტივობებს უკავშირდება, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვით დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების გამოცდილებიდანაც. ბოლო წლებში სხვადასხვა მიზეზით არაერთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს დაემუქრა დანადგურების საფრთხე საქართველოში. ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება აღნიშნულ საფრთხეებს პროტესტით პასუხობდა, რის შედეგადაც დაგროვდა მცირეოდენი გამოცდილება. ლურჯი ფარის მიერ 2017 წელს გამოცემული „კულტურული მემკვიდრეობის დამცველის გზამკვლევის“[8] მე-4 თავი: ვინ იცავს? და მე-5 თავი: როგორ ვიცავთ? სამოქალაქო კამპანიები, ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები – მოკლედ აღწერს მემკვიდრეობის დაცვის სამოქალაქო საზოგადოების იმ დროისთვის საქართველოში არსებულ გამოცდილებას და აგრეთვე მოიცავს სამოქალაქო აქტივიზმის კამპანიების წარმოების რჩევებს სამოქალაქო აქტივისტებისთვის.

ამგვარად, ამ თავში ამ საკითხზე ვრცლად აღარ შევჩერდებით და თუკი სამოქალაქო აქტივისტი ბრძანდებით, გირჩევთ აღნიშნული ბროშურის გაცნობას.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საერთოა ამ პერიოდის მემკვიდრეობის დაცვასა და, ზოგადად, არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვას შორის, არის ცალკეული მიდგომები, რაც მე-20 საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას უფრო ეფექტურს ხდის. ეს მიდგომები დეტალურადაა ასახული იკომოსის სახელმძღვანელო დოკუმენტში – **„მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები, მადრიდი – ნიუ დელის დოკუმენტი 2017“,** რომელიც სრული სახით წარმოდგენილია დანართში.

რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ამ პერიოდის ყველა გამორჩეული შენობა ისეთ მდგომარეობამდე არ მივიდეს, როგორშიც დიდი ნაწილი უკვე არის? რადგან ყველა დაინტერესებულ მხარეს სხვადასხვა რამ ევალება და ხელეწიფება, ამიტომაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია რეკომენდაციები დავყოთ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისათვის, კერძოდ: მფლობელები, მოსარგებლეები და მისი შენარჩუნებით დაინტერესებული საზოგადოება.

8 ბროშურა განთავსებულია ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ვებ-გვერდზე. იხ. ბმული: https://bit.ly/2Uw1PYe

5.1. მფლობელი

სახელმწიფომ თუ კერძო მესაკუთრემ, უმთავრესია, გააცნობიეროს მის საკუთრებაში არსებული შენობის მნიშვნელობა და რომ მხოლოდ და მხოლოდ ისაა პასუხისმგებელი მის მდგომარეობაზე.

მე-20 საუკუნის გვიანი მოდერნისტული არქიტექტურის ძეგლების მფლობელი საქართველოში ბოლო დრომდე ძირითადად თითქმის სახელმწიფო იყო. ბოლო ათწლეულებში ბევრი მათგანი სახელმწიფოს მიერ გასხვისდა კერძო მფლობელზე.

სახელმწიფო საკუთრების შემთხვევაში შენობა ან ცენტრალური, ან მუნიციპალური ქონება შეიძლება იყოს და ორივე შემთხვევაში, მას შესაბამისი უწყების ქონების მართვის დეპარტამენტი მართავს.

- სასურველია, რომ მფლობელი ორგანიზაციის ქონების მართვის სამსახურმა უწყების სხვადასხვა სამსახურის (ინფრასტრუქტურის, კულტურის, სხვ.) თუ სხვა გარე ორგანიზაციის დახმარებით მოახდინოს შენობის კულტურული მნიშვნელოვნების გამოვლენა და შეფასება;
- შენობის კულტურული მნიშვნელოვნების საფუძველზე უნდა მოხდეს შენობასთან დაკავშირებული საკონსერვაციო ქმედებების დაგეგმვა;
- აუცილებელია, რომ თუკი სახელმწიფო კულტურული მნიშვნელოვნების მქონე შენობის გაყიდვას ან ნებისმიერი ფორმით სარგებლობაში გადაცემას განიზრახავს, შესაბამის ხელშეკრულებაში ასახოს შენობისა და მისი ღირებულებების დაცვის მოთხოვნები;
- კერძო მფლობელმა ანალოგიურად უნდა მოახდინოს საკუთრების მნიშვნელოვნების გამოვლენა, შეფასება და კვლევა;
- მან უნდა გააცნობიეროს, რომ კულტურული მნიშვნელოვნება ღირებულებას მატებს მის საკუთრებას და რომ მისი ადეკვატური დაცვითა და შესაძლებლობის სწორად გამოყენებით ის მნიშვნელოვნად გაზრდის საკუთრების ღირებულებასა და მიმზიდველობას ბაზარზე და ამით მეტ სარგებელს მოუტანს საკუთარ ბიზნესს;
- შენობის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს შენობის რეგულარული მოვლა-პატრონობა სპეციალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

თუკი შენობა გამორჩეულად ღირებულია და იმსახურებს ძეგლის სტატუსს, მესაკუთრე უნდა ეცადოს, რომ მას მიენიჭოს აღნიშნული სტატუსი და იყოს დაცული. სახელმწიფო მფლობელის შემთხვევაში მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ძეგლის სტატუსი არის არა წინააღმდეგობა, არამედ შესაძლებლობა და დამატებითი ღირებულება. უძრავი ძეგლის სტატუსის ქონის შემთხვევაში მესაკუთრე ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.[9]

შენობის ღირებულებების სწორად გამოვლენის, დაცვისა და პრეზენტაციის შემთხვევაში სახელმწიფო უწყებას:

- გაყიდვის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს, უფრო სარფიანად გაასხვისოს იგი. მან აქვე უნდა გააცნობიეროს ამ ღირებულებების დაცვის ვალდებულება და ახალ მესაკუთრეს განუსაზღვროს იგი ხელშეკრულებით.
- დროებით სარგებლობაში გადაცემისას, შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს მისი შენარჩუნება დროებითი მოსარგებლის მიერ. ამისთვის, აუცილებელია, რომ მესაკუთრემ იჯარის, უზუფრუქტისა თუ სხვა ნებისმიერი სახის ხელშეკრულებაში ასახოს ახალი მოსარგებლის ვალდებულებები, როგორიცაა: რეგულარული მოვლა-პატრონობა და მისი ღირებულებების განმსაზღვრელი ატრიბუტების შენარჩუნება, დაცვა და კონსერვაცია.

9 https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=15

5.2. მოსარგებლე (უზურფრუქტუარი, მოიჯარე თუ სხვა ტიპის მოსარგებლე)

მოსარგებლე, ისევე როგორც მესაკუთრე, უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას შენობის კულტურულ მნიშვნელოვნებასა და მის განმსაზღვრელ ატრიბუტებზე და შეეცადოს, მაქსიმალურად მოახდინოს მათი დაცვა და გამოყენება.

- მოსარგებლემ უნდა გაითვალისწინოს მასზე მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები შენობის ფიზიკური მდგომარეობის დასაცავად და მისი ფუნქციის შესანარჩუნებლად;
- შენობის ღირებულების ცოდნას, დაფასებასა და საზოგადოებისთვის პრეზენტაციას მასში განთავსებული მოსარგებლისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია. ღირებულებების დაცვის გზით მოსარგებლეს შეუძლია უფრო დიდი ვადით უზრუნველყოს შენობის შენარჩუნება, რაც მომგებიანია ორივე მხარისთვის და ძეგლის ინტერესებისთვისაც;
- მოსარგებლემ უნდა გაითვალისწინოს ცვლილების დასაშვები ფარგლები და ნებისმიერი დაგეგმილი ჩარევის წინ უზრუნველყოს მესაკუთრის ინფორმირება და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება.

5.3. დაინტერესებული პროფესიული საზოგადოება თუ სამოქალაქო აქტივისტთა ჯგუფები და ინიციატივები

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაზე ქმედითი გვიანი მოდერნისტული არქიტექტურის დაცვის საქმეში საქართველოში სწორედ ეს მესამე ჯგუფი იყო. მასში მოიაზრება კონკრეტული შენობის თუ შენობათა ჯგუფის დაცვით დაინტერესებული საზოგადოება თუ თემი, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს პროფესიულ წრეს (ძეგლთა დაცვის, არქიტექტურის, ხელოვნებათმცოდნეობის თუ სხვ.), ან სამოქალაქო აქტივისტთა ჯგუფს, ან სულაც მათ ერთობლიობას.

ეს ჯგუფები სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგანან იმის მიხედვით, აქვს თუ არა შენობას ძეგლის სტატუსი, ფუნქცია, კერძო საკუთრებაშია იგი თუ სახელმწიფოს და სხვ.

ჩვენ მიერ ზემოთ მოცემული მდგომარეობის ანალიზიდანაც ჩანს, რომ საქართველოს რეალობაში ყველაზე ხშირი შემთხვევაა, როდესაც შენობას არ აქვს უძრავი ძეგლის სტატუსი, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება კანონიერი დაცვის არანაირი მექანიზმი.

ამგვარად, ლოგიკურად ვთვლით შევჩერდეთ ამ სიტუაციისთვის რელევანტურ რეკომენდაციებზე, მით უმეტეს, რომ ჩვენი გამოცდილებაც ასეთ შენობას უკავშირდება.

როგორ მოვიქცეთ, თუ შენობას არ აქვს სტატუსი?

ა. გამოავლინეთ, გამოიკვლიეთ და შეაფასეთ მისი კულტურული მნიშვნელოვნება და გახადეთ ის ფართოდ ხელმისაწვდომი

კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვნების დასაბუთება, მისი ღირებულებების კვლევა და სააშკარაოზე გამოტანა პირველი ნაბიჯია ყველა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. არც მოდერნისტული არქიტექტურა წარმოადგენს გამონაკლისს, მეტიც, მისი ღირებულებების კვლევა კიდევ უფრო მეტად აქტუალურია, რადგან ის, სხვა პერიოდის მემკვიდრეობისგან განსხვავებით, მოკლებულია აღიარებასა და პროფესიულ კვლევას.

მოდერნისტული პერიოდის არქიტექტურის ღირებულების სრულფასოვანად წარმოსაჩენად, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისი ყველა კომპონენტის, მათ შორის: ინტერიერის, აქსესუარების, თანმხლები ავეჯისა და ხელოვნების ნიმუშების, აღჭურვილობისა და დანადგარების მნიშვნელოვნების გამოვლენა და შეფასება, აგრეთვე ნოვაციური ფორმების, კონსტრუქციული გადაწყვეტების, სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების კვლევა, ასევე მისი გარემოს, მნიშვნელოვანი გეგმარებითი კონცეფციებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინება (მადრიდის დოკუმენტი, 2017. მუხლი 1.).

ჩვენი გუნდის ჭადრაკის სასახლესა და ალპურ კლუბზე მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ შენობის კვლევამ საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი შემდგომი განვითარებისთვის. კვლევას მოჰყვა მისი მიგნებების პოპულარიზაცია სხვადასხვა ჯგუფებში, შემდეგ – საპროექტო განაცხადი, ხოლო გეთის ფონდიდან მიღებულმა გრანტმა მისი კონსერვაციის გეგმის შესაქმნელად გაზარდა მისი აღიარებისა და ცნობადობის დონე ადგილობრივად, რამაც თავისთავად შემდგომ ეტაპზე მისთვის ძეგლის სტატუსის მოპოვებასაც შეუწყო ხელი.

ბ. აწარმოეთ ცნობიერების ამაღლების კამპანია და მოახდინეთ ძეგლის მნიშვნელოვნების პოპულარიზაცია

ძეგლის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა ძეგლის დაცვის ერთ-ერთი გარანტია. შეეცადეთ, რომ თქვენ მიერ დასაცავი შენობის მნიშვნელობა გააგებინოთ სხვადასხვა ჯგუფს, რომლებსაც აქცევთ თქვენ თანამოაზრეებად, მაგ.: ჟურნალისტებს, სტუდენტებს, ძეგლის მოსარგებლეებს, ძეგლის სამეზობლო თემს, თუ სხვ. როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ამ მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ არაერთი საშუალება: პირადი ურთიერთობები თითოეულ ამ ჯგუფთან, საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო ღონისძიებები, სოციალური მედიის კამპანიები, გამოფენები და სხვ.

მოკავშირეების ფართო ქსელის ყოლა ძალიან წაადგება თქვენს ნებისმიერ კამპანიას და უზრუნველყოფს ძეგლის მნიშვნელობის ფართოდ გავრცელებას.

გ. წარადგინეთ შენობა ძეგლის სტატუსის მისაღებად

თუკი თვლით და პროფესიონალების მიერ წარმოებული კვლევებით დასტურდება, რომ შენობა აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს, წარადგინეთ განაცხადი მისთვის ძეგლის სტატუსის მოსაპოვებლად. თუკი პირველი ორი რეკომენდაცია წარმატებით შეასრულეთ, გზა უფრო გაგიმარტივდებათ. გარდა მნიშვნელოვნების დასაბუთებისა, რისთვისაც გამოიყენებთ კვლევას, ძეგლის სტატუსის მისაღებად მნიშვნელოვანია მხარდამჭერების ფართო აუდიტორიის ყოლა. აბსოლუტურად კრიტიკულია, რომ მესაკუთრე იყოს თქვენი მოკავშირე ამ საქმეში, რადგან მის პოზიციას, კანონის მიხედვით, გადამწყვეტი როლი აქვს ძეგლის სტატუსის მიღების პროცესში.

ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესში მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენი გუნდის ამ განზრახვის შესახებ ინფორმირებული იყო და მას მხარს უჭერდა როგორც მესაკუთრე, ისე თითოეული მოსარგებლე და ისინი ხედავდნენ ამ პროცესის მნიშვნელობასა და ძეგლის სტატუსის ღირებულებას. დამატებითი მხარდაჭერა უზრუნველყო აგრეთვე რამდენიმე საერთაშორისო მკვლევრისა და ხელოვანის სარეკომენდაციო წერილმა, რომლებიც იცნობენ და აფასებენ შენობას და პირდაპირ მიმართეს კულტურის მინისტრსა და ქალაქის მერს.

ძეგლის სტატუსი უზრუნველყოფს შენობის ღირებულებების უკეთ დაფასებას და იმედია – მის უკეთ დაცულობასაც.

დ. თუ შენობა უფუნქციოა, შეეცადეთ, უზრუნველყოთ მისთვის ფუნქციის დაბრუნება

გამომდინარე იქიდან, რომ ძეგლის საუკეთესო დაცვის საშუალება მისი სწორად გამოყენებაა, შეეცადეთ, რომ უზრუნველყოთ მისთვის ფუნქციის დაბრუნება ან ახალი თავსებადი ფუნქციის მოძებნა. ფუნქციის ცვლილება ხშირად გარდაუვალია და შეიძლება, შენობის ავთენტურობისა და მთლიანობის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად მოგვევლინოს. ცვლილებების სწორად მართვა კონსერვაციის პროცესის ნაწილია და მას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

მოდერნისტული შენობების დიდი ნაწილი საქართველოში უფუნქციოდაა დარჩენილი ან ახალი გამოყენება აქვს მოძებნილი. მათთვის ხშირ შემთხვევაში თავდაპირველი ფუნქციის შენარჩუნება თუ აღდგენა წარმოუდგენელი და არაგამართლებულიც არის. ასეთ დროს აუცილებელია ვიზრუნოთ, რომ ახალ ფუნქციაზე მორგებისას, ძეგლმა შეინარჩუნოს ის ატრიბუტები, რაც განსაზღვრავს მის კულტურულ მნიშვნელოვნებას.

თუკი მესაკუთრეს სურს შენობის გაყიდვა მისი ახალი ფუნქციით დატვირთვის პირობით ან მოძიებული ჰყავს ინვესტორი, რომელსაც განზრახული აქვს მისი შეცვლა ან გადაკეთება, შეეცადეთ, გამონახოთ საერთო ენა და დაანახოთ მათ შენობის შენარჩუნების საჭიროება და დაუსახოთ ალტერნატივა. ეცადეთ, მოიძიოთ კომპრომისული გზები და ყველანაირ ჩარევაზე უარის ნაცვლად დაუდგინოთ დასაშვები/მისაღები ცვლილების საზღვრები. შეაფასეთ, თუ რა არის შენობის ის ატრიბუტები და ელემენტები, რომელთა ცვლილება არ იქონიებს საზიანო გავლენას ძეგლზე.

თავი 6.

გვიანი საბჭოთა მოდერნისტულიარქიტექტურის შენარჩუნებისა და გამოყენების მაგალითები

6.1. ყოფილი საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა, ამჟამად საქართველოს ბანკის სათაო ოფისი, 1975 წ.

ი. მაჭარინის ქ. 29ა, თბილისი.

ნინი ფალავანდიშვილი – მკვლევარი, კურატორი

არქიტექტორები: გიორგი ჩახავა, ზურაბ ჯალაღანია;

კონსტრუქტორები: ალექსანდრე კიმბერგი, თეიმურაზ თხილავა;

საპროექტო ინსტიტუტი: „გიპროპრომსელსტროი“;

პროექტის დამუშავების წლები: 1967–1970 წწ.;

საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს შენობის მშენებლობის წლები: 1972–1975 წწ.;

შენობის საერთო ფართი: 16 000 კვ. მ.;

შენობის ნაკვეთის ფართი 450 კვ.მ.;

შენობის საერთო მოცულობა: 46 644 კვ. მ.

საავტომობილო გზების სამინისტრო, 1975 წ.
ფოტო: გიორგი ჩახავას ოჯახის არქივიდან

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს N°269-p დადგენილებით 1967 წლის 11 მარტს გადაწყდა საავტომობილო გზების სამინისტროს ახალი ადმინისტრაციული შენობის აგება, რომლის მშენებლობისათვის დამტკიცდა 1.5 ჰა. რთული რელიეფის ნაკვეთი, ციცაბო კლდეზე გაგარინის ქუჩასა და მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის. ნაკვეთი თავად არქიტექტორ გიორგი ჩახავას მიერ იქნა შერჩეული. შენობაში განთავსდა შემდეგი ორგანიზაციები: საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო, გზების სარემონტო-სამშენებლო ტრესტი, საქართველოს გზების სამეცნიერო-კვლევითი სადგური, საპროექტო ინსტიტუტები: „გრუზდორპროექტი“ და „ორგდორსტროი“. თანამშრომლების რაოდენობა ჯამში 683 ადამიანს შეადგენდა. პროექტი 1970 წლის 17 ივნისს დაამტკიცა,[10] მშენებლობა 1972 წელს დაიწყო და 1976 წელს დასრულდა.

საავტომობილო გზების სამინისტრო, 1975 წ.
ფოტო: გიორგი ჩახავას ოჯახის არქივიდან



საავტომობილო გზების სამინისტრო, მშენებლობის პროცესი, 1973 წ.
ფოტო: გიორგი ჩახავას ოჯახის არქივიდან

გიორგი ჩახავა, რომელსაც ყოველთვის აღაფრთოვანებდა საქართველოს ტრადიციული არქიტექტურა, რომელიც ბუნებას არ ეწინააღმდეგება და ძალას იღებს მისგან, თავადაც მუდმივად ცდილობდა შთაგონება ბუნებისგან მიეღო და დაპროექტების დროს მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა მისი ხელშეუხებლობა. ამ შემთხვევაშიც ჩახავამ სწორედ ამ მიზანს მიაღწია – შენობის სტრუქტურა შედგება სამი კოშკისაგან (ჩვიდმეტსართულიანი, ცამეტსართულიანი და შვიდსართულიანი), რომლებიც სხვადასხვა სიმაღლეზე (მე-8 და მე-9, მე-11 და მე-12 სართულებზე) ორსართულიანი ჰორიზონტალური კონსოლებითაა დაკავშირებული. შესაბამისად, შენობა მინიმალურ ადგილს იკავებს მიწაზე და მაქსიმალურად ჰაერშია აზიდული. ალუმინის პროფილებით მოპირკეთებული კონსოლების ქვედა სიბრტყეები კი კლდის რელიეფს, გამწვანებასა და კასკადზე მოძრავ წყალს ირეკლავდა.

შენობის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა მისი საინჟინრო მიგნებაა, რომლის გამოგონებისათვის თეიმურაზ თხილავამ მოგვიანებით საავტორო უფლება მიიღო.[11] მან შეიმუშავა ლითონის ფერმებზე შეკიდული კონსტრუქციის კონცეფცია – კონსოლების დასაკიდებელი ორსართულიანი, სამკუთხა, ხისტი ლითონის ჩარჩოებით.

კოშკებს შორის იარუსებად განლაგებული ბუნებრივი პარკი იყო გაშენებული დეკორატიული აუზებითა და ჩანჩქერით, რომელიც კასკადზე მოედინებოდა. წყლის დიდი ნაწილი მტკვარში ჩაედინებოდა, თუმცა ასევე შენობის წინ, სანაპიროს მხარეს, გაიყვანეს დეკორატიული არხი ზედ გადადებული ხიდით. ეს არხი მალევე გაუქმდა ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო. მის არსებობაზე მხოლოდ საარქივო ფოტოები მეტყველებენ. ასევე ჩაფიქრებული იყო გამწვანება კონსოლების სახურავებზე, რომლებიც აივნების ფუნქციას ასრულებს. სამივე ბურჯის კედლებს სურო მიუყვება და საზღვარს შლის ბუნებასა და შენობას შორის. მთავარი შესასვლელი ცენტრალური ვესტიბიულით მტკვრის სანაპიროს მხრიდან, ცამეტსართულიანი კოშკის ძირში, იყო გათვალისწინებული. ქალაქის მთავარ არქიტექტორთან წინასწარ შეთანხმებული ქალაქგეგმარებითი მოწყობის საფუძველზე მტკვრის სანაპიროზე უნდა გაევლო ტრანსპორტს, რაც არ განხორციელდა და ამის გამო შესასვლელმა გაგარინის ქუჩასთან დაკავშირებულ ზედა კოშკში გადაინაცვლა.

10 ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანება N°153, 17.06.1970.

11 სსრკ-ის საავტორო უფლება N°467974, 25.04.1975 წ., გამოგონების ავტორი თეიმურაზ თხილავა. Тхилава Теймураз Самсонович – Заявка 1829506, 20.09.1972. ЗНИИЭП.

საქართველოს გზების მშენებლობის სამინისტრო გაუქმდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. შენობა მრავალი წლის მანძილზე დაცარიელებული, მოუვლელი და მიტოვებული იყო. მიუხედავად ამისა, 2007 წელს შენობას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ამავე წელს ყოფილი საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა შეიძინა საქართველოს ბანკმა. შენობის რეკონსტრუქცია შპს „არქიტექტორული ჯგუფის და პარტნიორების" (შემდგომში შპს „დეფანი არქიტექტურა") მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით 2010-2011 წლებში განხორციელდა. პროექტი გაკეთდა ზურაბ ჯალაღანიასთან კონსულტაციების საფუძველზე. ასევე, ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა თავად გიორგი ჩახავას რეკომენდაციები შენობაზე ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე. „...ოცდაათი წლის განმავლობაში ფასადები არ განახლებულა. ფასადებს დაუბრუნდეს თეთრი, დეკორატიული ცემენტით შესრულებული ფერი, რადგანაც ესპანეთიდან ჩამოტანილი სუროს სახეობა, რომელიც შენობას ამშვენებს, ქიმიური საღებავით შეღებილ ფასადზე არ იზრდება... საჭიროა მოშლილი ლანდშაფტური დიზაინის ახლიდან დაგეგმარება, რომ ბუნება და შენობა ერთ ჰარმონიულ სივრცედ იქცეს, როგორც ეს წინა წლებში იყო..."[12] ფასადი, მართლაც, განახლდა დეკორატიული ცემენტით, ხოლო სუროს, რომელიც იზრდება მის ფასადზე, შეეხნენ მინიმალურად. არ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციები მიმდებარე ლანდშაფტური დაგეგმარების განახლების თაობაზე. ინტერიერი მნიშვნელოვნად გადაკეთდა სივრცის მცირე მოცულობებად დანაწევრებით, რისთვისაც გამოიყენეს თაბაშირ–მუყაოს დაფები. შესაბამისად, დაფარულია დიაგონალური რელსები, ის მთავარი საინჟინრო მიგნება, რითიც ცნობილია ეს შენობა.

შენობაში განთავსდა საქართველოს ბანკის 16 ადმინისტრაციული ერთეული, რაც 600-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს. საქართველოს ბანკის ახალი სათავო ოფისი უახლესი ტექნოლოგიით არის აღჭურვილი, გააჩნია საკუთარი კაფეტერია და სავარჯიშო დარბაზი თანამშრომლებისათვის, ასევე – 240 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომი[13]. რეკონსტრუქციის შემდეგ საქართველოს ბანკის მთავარი შესასვლელის მოწყობა ისევ მტკვრის სანაპიროდან გადაწყდა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ პირველი სართულის ფართი ბანკისთვის არასაკმარისი იყო ეფექტური მისაღებისა და მოსაცდელი სივრცის მოსაწყობად, ამჯერად შესასვლელი მისთვის სპეციალურად აშენებულ მინის კუბში განთავსდა. ეს 11 მ. სიმაღლის მინის კუბი საქართველოს ბანკის განსაკუთრებული სიამაყის საფუძველს წარმოადგენს, თუმცა ისტორიული ძეგლის ავთენტურობის თვალსაზრისით სადავოა მისი არსებობა.

საავტომობილო გზების სამინისტრო, დრონის ხედი, 2018 წ.
ფოტო: ნინი ფალავანდიშვილის პირადი არქივიდან

საქართველოს ბანკის სათავო ოფისი საზეიმოდ გაიხსნა 2011 წლის 15 ნოემბერს.

შენობისა და მისი შემოგარენის ისტორიულ ლანდშაფტსა და დიზაინის თავდაპირველ ჩანაფიქრს უხეშად არღვევს ის შენობა-ნაგებობები და ჯერ კიდევ მიმდინარე მშენებლობები, რომლებიც ამ ფერდობზე, ძირითადად, შენობიდან აღმოსავლეთით განვითარდა ბოლო 20 წლის განმავლობაში.

გ. ჩახავას იდეა, რომ შენობა მდგარიყო განცალკევებით, ფერდზე ისე, რომ მოპირდაპირე სანაპიროდან სრულად ყოფილიყო შესაძლებელი მისი აღქმა, სამუდამოდ დარღვეული და დაკარგულია.

12 გ. ჩახავა, წერილი რ. დალაქიშვილს, 2006.

13 პრესრელიზი „საქართველოს ბანკმა ახალი სათავო ოფისი გახსნა", თბილისი, 15 ნოემბერი, 2011.

6.2. ინდუსტრიული პედაგოგიური ტექნიკუმის შენობა

მარშალ არჩილ გელოვანის გამზირი N4

თომას იბრაჰიმი, მკვლევარი

<u>შესავალი, ტერიტორია და საკუთრება</u>

ინდუსტრიული პედაგოგიური ტექნიკუმის შენობის კომპლექსის მშენებლობა 1978 წელს დასრულდა, მისი არქიტექტორი იყო ნიკოლოზ ლასარეიშვილი, რომლისთვისაც ტექნიკუმის პროექტი მის კარიერაში უმსხვილეს შეკვეთას წარმოადგენდა.

ტექნიკუმის კომპლექსი შედგება ხუთი ძირითადი ნაწილისგან:

1. მთავარი ბლოკი, სადაც განთავსებული იყო საკლასო ოთახები და ადმინისტრაციული ოფისები,
2. აუდიტორია, რომელიც უერთდებოდა მთავარ ბლოკს,
3. საამქრო და რეკრეაციული ნაგებობა, მათ შორის სპორტული დარბაზი,
4. ხიდი, რომელიც მთავარ ბლოკს აერთებს ნაგებობებთან
5. საერთო საცხოვრებლის თექვსმეტსართულიანი შენობა.

ყველა შენობა, აუდიტორიისა და ხიდის გარდა, აგებულია ბეტონის მზა კომპონენტებით. მთავარი ბლოკის წინა (აღმოსავლეთი) ფასადი მთლიანად შესრულებულია სამმეტრიანი მზა პანელებით, მთელი 120 მეტრის გაყოლებაზე; საამქროები შესრულებულია ბეტონის მზა სვეტებითა და კოჭებით, ხოლო საერთო საცხოვრებლის ფასადი მთლიანად – გაშიშვლებულ-შემავსებლიანი ბეტონის პანელებით, აივნები კი – უნიკალური მწვანე მინითა და ბეტონის პანელებით.



ინდუსტრიული პედაგოგიური ტექნიკუმი, კომპლექსის ზედხედი, არქიტექტორ ნიკოლოზ ლაზარეიშვილის საოჯახო არქივიდან, სავარაუდოდ 1978 წელი, ჩანახატის ავტორი: სავარაუდოდ ნ. ლაზარეიშვილი

ინდუსტრიული ტექნიკუმის ტიპოლოგია მომდინარეობს ლე კორბუზიესა და ლათინოამერიკელი მოდერნისტების ოსკარ ნიემეიერისა და აფონსო რეიდის ნამუშევრებიდან. ტექნიკუმის დიზაინის ელემენტები რეიდის ნამუშევრების ელემენტებთან მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენს, განსაკუთრებით – აუდიტორიის პროექტით გათვალისწინებული სვეტები და მთავარი ბლოკის შესასვლელი, რაც შენობის დასრულების დროისთვის სამი ათწლეულის წინანდელი იყო. ტექნიკუმის კომპლექსის ყველაზე გამორჩეული შენობაა აუდიტორია, რომელიც თავისი ინტერიერის ფუნქციის მოცულობითი გამომხატველობითა და ფანჯრების ვერტიკალური დანაწილებით ეხმიანება მელნიკოვის „რუსაკოვის მუშათა კლუბს“.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკუმის კომპლექსის შემადგენელი შენობები მასიურია, მასშტაბის შემცირების მცდელობა ზემოთ აღნიშნული მწვანე პანელების გამოყენებითა და საამქროს ნაგებობების ლანდშაფტში ჩასმით არქიტექტორის მგრძნობიარე ხასიათზე მეტყველებს, რომელსაც შემდგომ ეწინააღმდეგება აუდიტორიის მონუმენტური შვერილი გზისკენ და მისი დაგვირგვინება 20-მეტრიანი ბარელიეფური



სკულპტურით, რომლის ავტორობა მხატვარ ზურაბ წერეთელს მიეწერება (თუმცა დღემდე არ არსებობს მტკიცებულება, რომ ეს ნამდვილად მისი სკულპტურა იყო).

ისევე, როგორც სხვა რამდენიმე ყოფილ სამოქალაქო შენობაში საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ტექნიკუმშიც შესახლდნენ იძულებით გადაადგილებული პირები როგორც აფხაზეთიდან, ასევე ცხინვალის რეგიონიდან. მათი უმრავლესობა, რომლებიც კვლავ ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე, შესახლდნენ იქ 1991-1999 წლებში, მაგრამ იმპროვიზებული საცხოვრებელი ფართების პრივატიზაცია განხორციელდა მხოლოდ იმათზე, რომლებიც საერთო საცხოვრებლის შენობაში ცხოვრობენ. ტექნიკუმის მთავარი ბლოკი, აუდიტორია, საამქრო და რეკრეაციული ნაგებობა, ასევე ხიდი (სივრცეები, რომელთა ლტოლვილებზე პრივატიზაცია არ განხორციელდა), ამჟამადაც იმყოფება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სსიპ-ის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებასა და იურისდიქციაში და 2005 წლიდან იჯარითაა გაცემული ტურიზმის კოლეჯ „იკაროსზე“. თუმცა, ტექნიკუმის მთავარ ბლოკში ცხოვრობენ როგორც ადრინდელი მიგრაციის ლტოლვილები, ასევე 2008 წ. რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად წამოსულებიც, რაც გარკვეულ კონფლიქტებს იწვევს კოლეჯსა და მაცხოვრებლებს შორის. შენობაში ასევე განთავსებულია დაწყებითი სკოლა და საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება მაცხოვრებლებს. 2012 წლიდან იყო დაპირებები მაცხოვრებლების ქალაქში, ახალ საცხოვრებელ კვარტლებში, განსახლების თაობაზე. 2019 წ. აგვისტოში ზოგ მათგანს ისევ შეჰპირდნენ განსახლებას, თუმცა ამას არაფერი არ მოჰყოლია.

<u>შენობის მდგომარეობა</u>

ტექნიკუმის ტერიტორიაზე არსებულ შენობებზე შეინიშნება სხვადასხვა ხარისხის დაზიანება და მისაკუთრების ნიშნები, რამდენადაც ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილი აღარ გამოიყენება. მთავარი ბლოკის ცენტრალური შესასვლელი ამოშენებულია ბეტონის წყობით და მხოლოდ ერთი მეტალოპლასტმასის კარი წარმოადგენს სივრცეში შესასვლელს. ტურიზმის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ შესრულებული დაბალხარისხოვანი სარემონტო სამუშაოები თვალში საცემია კონსტრუქციის დაბალი ხარისხის, არასაკმარისი დაფინანსებისა და საშენი მასალების ხელმისაწვდომობის გამო. ტურიზმის კოლეჯის მიერ დაკავებული ტერიტორია შესამჩნევია მთავარი ბლოკის წინა და უკანა ფასადებზე, სადაც ცუდად მოვლილ ცემენტის კედლებში ჩასმულია თეთრი მეტალოპლასტმასის ფანჯრები. იმ ნაწილში, სადაც ლტოლვილები ცხოვრობენ, უმეტესწილად ძველი, მბრუნავი ფანჯრებია წინა ფასადზე და ხის ფანჯრები – უკანა ფასადზე. მაცხოვრებლებმა მოაწყვეს შენობაში შესასვლელები, რომლებიც ადრე არ არსებობდა, კანალიზაციის მილები გაიყვანეს უკანა ფასადში მოწყობილ ნახვრეტებში და ინტერიერის დერეფნებში მოაწყვეს სანკვანძეები და ელექტროსისტემები, რომლებიც ქალაქის ქსელთანაა მიერთებული. მიუხედავად იმისა, რომ შენობაში არიან ლტოლვილები, რომლებიც უფრო ადრე შესახლდნენ, ვიდრე ტურიზმის კოლეჯი „იკაროსი“ შევიდოდა იჯარით, მათ არ ჰქონდათ იმის უფლება, რომ განეხორციელებინათ ქმედებები და დასახლებაში მოეწყოთ ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გაზის გათბობა. მთავარი ბლოკის მაცხოვრებლები კვლავ შეშას ხმარობენ ზამთარში გასათბობად, რასაც მოწმობს ბეტონის გამურული პანელები ფასადზე და შეშის გროვები.

მაცხოვრებლების ინფორმაციით, აუდიტორიის შენობა ერთ–ერთი პირველი ადგილი იყო, სადაც შესახლდნენ თბილისში წამოსული ლტოლვილები, თუმცა შემდეგ ეს შენობა მიატოვეს, რათა მიმდებარე, მთავარ ბლოკში გადასულიყვნენ. წლების განმავლობაში გამოუყენებლობის გამო აუდიტორიის შენო-



ინდუსტრიული პედაგოგიური ტექნიკუმის კომპლექსის ადრეული გენ-გეგმა (შენიშვნა: შენობები არ ზის მასშტაბში). სავარაუდოდ 1976. არქიტექტორ ნიკოლოზ ლაზარეიშვილის საოჯახო არქივიდან

ბის ბეტონის პანელებს, მეორეულ კონსტრუქციულ ელემენტებს, მოპირკეთებასა და ფახვერკულ კედლის წყობას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა წყლისგან, თუმცა თავდაპირველი ბეტონის კონსტრუქცია ჯერ კიდევ შედარებით კარგ მდგომარეობაშია. თავდაპირველი ხის ფანჯრების ჩარჩოები, სავარაუდოდ, მოხსნილ იქნა, რათა შეშად გამოეყენებინათ, ხოლო ფოლადის მოაჯირები და სხვა ელემენტები ჯართის შემგროვებლებმა მოაგლიჯეს შენობას და გაყიდეს, როგორც მეორეული მასალა. შენობის სარდაფის სართული გამოიყენებოდა, როგორც საზოგადოებრივი საპირფარეშო და სავსეა შპრიცებით; პირველ სართულზე, აუდიტორიის ქვეშ, არსებული სივრცე სავსეა ნარჩენებით, ნამტვრევებით, ხოლო აუდიტორია – ნაგვის გროვებით.

ხიდი, საამქროები და სარეკრეაციო ნაგებობა ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც აუდიტორის შენობა. თავდაპირველი მზა ბეტონის ელემენტები კარგ მდგომარეობაშია, ხოლო მეორეული ელემენტები დაინგრა ან მოიპარეს და დარჩენილია ნამტვრევების გროვები. საერთო საცხოვრებელი არაფორმალურად ადაპტირებულ იქნა ლტოლვილების მიერ და შენობის ხასიათი გარედან, უმეტესწილად, იგივე დარჩა, მხოლოდ – უფრო თვალშისაცემი ფერებით: გაფენილი სარეცხითა და აივნებზე სხვადასხვა საშენი მასალით მოწყობილი სათავსოებით. შენობის ირგვლივ არსებულ მიწას ზოგიერთი მაცხოვრებელი იყენებს კულტურების მოსაყვანად – ოჯახის გამოსაკვებად. ტერიტორიაზე ასევე გაჩნდა პატარა სახლები, რომლებიც შენობისა და ლანდშაფტის ფონზე ექცევა. 2019 წლის დასაწყისში თბილისის მერიას ვთხოვეთ, რომ ტექნიკუმის კომპლექსის კვლევა განეხორციელებინა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ყველა შენობა კონსტრუქციულად საღი და გამოსაყენებლად ვარგისია.

<u>გაურკვევლობა, კეთილმოწყობა და მომავალი</u>

2017 წელს ჩამოვაყალიბეთ საინიციატივო ჯგუფი ნატალია ნებიერიძისის, ანა ჩორგოლაშვილისა და მარიამ შერგელაშვილის შემადგენლობით, რომელთა მოვალეობა იყო ტექნიკუმის შენობის დაცვა და მისი ხელახლა გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრა. პროცესის დაწყებას ვგეგმავდით აუდიტორიის შენობაში გამოფენის ჩატარებით და შენობის კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანით. ჩვენი საინიციატივო ჯგუფი მოქმედებდა კულტურის სამინისტროსთან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად. სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თავიდან მოიხიბლა მე-20 საუკუნის კულტურულ მემკვიდრეობაზე ყურადღების გამახვილების პერსპექტივით და მხარდაჭერა აღმოგვიჩინა ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სიმპოზიუმ „გაურკვევლობის“ ორგანიზებაში. თუმცა შენობისა და სკულპტურის ნომინაციის პროცესი უარყოფითად დასრულდა „საბჭოს სხდომის“ შემდეგ, სადაც შენობა მემკვიდრეობის სტატუსის მისაღებად წარვადგინეთ. მეორე სხდომის წინ მისი ჩატარების ადგილის არასწორი მისამართი მოგვცეს და არ მოგვეცა დასწრების და მეორედ წარდგენის შესაძლებლობა. საბჭომ შენობის ნებისმიერი ნაწილის, მათ შორის სკულპტურის, მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის საწინააღმდეგოდ მიიღო გადაწყვეტილება.

2018 წ. დასაწყისში სკულპტურამ შენობის ფასადიდან გაუჩინარება დაიწყო და ივლისისთვის მისი ნახევარზე მეტი შეუბრალებლად იყო მოშორებული. ვინაიდან სკულპტურა არ იყო შეტანილი ნუსხაში, იგი კულტურის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურისდიქციისა და ინტერესის ფარგლებს გარეთ მოექცა. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსაც არ გააჩნდა ინტერესი სკულპტურის დაკარგვასთან დაკავშირებით, მიუხედავად ჩვენი საინიციატივო ჯგუფის, საზოგადოების წევრებისა და უცხოელი მკვლევრების მხრიდან ზეწოლისა, არასდროს ჩატარებულა გამოძიება სკულპტურის მოპარვის ფაქტთან დაკავშირებით. არქიტექტორ გივი მაჭავარიანთან ერთად ეს საკითხი გავახმიანეთ „რუსთავი-2-ის“ ეთერში. სახელმწიფო ქონების სააგენტომ განაცხადა, რომ მომხდარის გამო ისინი პასუხისმგებლი არ არიან, რადგან ობიექტი მათი იურისდიქციის ქვეშ არ იმყოფება და რომ პასუხისმგებლობა ეკისრებოდა შენობაში იჯარით შესულ პირს – ტურიზმის კოლეჯ „იკაროსს“.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან სამოქალაქო შენობები და სივრცეები პრივატიზაციისა და დეველოპერების ინტერესების საფრთხის წინაშე დგას და, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი სივრცის კარგვის არგუმენტად გამოიყენება ის, რომ შენობები მოძველებულია და გვახსენებს წინა, საბჭოთა ეპოქას და, შესაბამისად – რუსულ-საბჭოთა იმპერიალიზმს. თუმცა, ხორციელდებოდა მცირე ძალისხმევა, რომ შექმნილიყო თანამედროვე ქართული სამოქალაქო ან საზოგადოებრივი სივრცე და არქიტექტურა, რომელიც ჩაანაცვლებდა ამ ყოფილ საზოგადოებრივ ნაგებობებს. არქიტექტორ გივი მაჭავარიანის, არტისტ გიო სუმბაძისა და პროფესორ კლაუდიო ვეკშტაინის (არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არქიტექტურისა და ლანდშაფტის არქიტექტურის სკოლა) ინიციატივა „შესაძლებლობის“ მიზანი იყო მსჯელობის დაწყება საქართველოში საზოგადოებრივი სივრცის ხელახლა შექმნასთან და საბჭოთა შენობების თანამედროვე გამოყენების ადაპტაციასთან დაკავშირებით. 2017 წ. სიმპოზიუმზე გამართულმა დისკუსიებმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ტექნიკუმის კომპლექსი შენობა და სხვა საბჭოთა შენობები უნდა დაექვემდებაროს კრიტიკულ აპროპრიაციას, ადაპტირებასა და კეთილმოეწყოს

ინდუსტრიულ პედაგოგიური ტექნიკუმის ძირითადი საკლასო და და მაყურებელთა დარბაზის შენობები. მშენებლობის დასრულების შემდეგ, რელიეფური ქანდაკების ფასადზე დამაგრებამდე. ფოტო გადაღებულია დაახლოებით 1978 წ. არქიტექტორ ნიკოლოზ ლაზარეიშვილის საოჯახო არქივიდან

თანამედროვე და ადგილობრივი კულტურით, რათა მიესადაგოს თანამედროვე საჭიროებებსა და ფუნქციებს. ვინაიდან ტექნიკუმის შენობას აღარ გააჩნია თავდაპირველი ფუნქცია, იგი შემდეგ გამოიყენა ტურიზმის კოლეჯმა, ასევე ლტოლვილებმა, დაწყებითმა სკოლამ და საბავშვო ბაღმა, შენობისადმი მიდგომამ მხედველობაში უნდა მიიღოს უკვე ჩამოყალიბებული კომპლექსური და ურბანული ეკოლოგია. რეკონსტრუქციის პროცესში არსებითია არსებული პირობების განმტკიცება და გაუმჯობესება, ისტორიული შრეებისა და სირთულეებისადმი ესთეტიკური მგრძნობელობით.

სკულპტურის დაშლის პასუხად და საზოგადოებრივი სივრცის ადგილობრივი სულისკვეთებით აღდგენის დემონსტრირებისთვის 2018 წ. ოქტომბერში ტექნიკუმის აუდიტორიის ტერასაზე მოვაწყვეთ თვითნებური გამოფენა თბილისის არქიტექტურის ბიენალეს გახსნისთვის. ტერასაზე ამავალი კიბეების აგებამ ხელმისაწვდომი გახადა ეს სივრცე და პირველად, ათწლეულების მანძილზე, ეს სივრცე განათდა. გახსნის ცერემონიის შემდეგ ჩვენ რამდენჯერმე ვეწვიეთ ამ ადგილს და ვაგრძელებდით ურთიერთობას მეზობლებთან, რომლებიც ძალიან გამოაცოცხლა ამ ინიციატივამ. არტისტ ნიკა გაბისკირიასთან და მაცხოვრებლებთან ერთად მოვაწყვეთ ავეჯის საამქრო და დავიწყეთ მსჯელობა სათამაშო მოედნის მოწყობასთან დაკავშირებით. მორჩენილი მასალებით, მაცხოვრებლებთან და სტუდენტ-არქიტექტორებთან ერთად დავიწყეთ სივრცის გამოცოცხლება, რომელიც ეფემერული აღმოჩნდა. ამჟამად შენობას იცავს სახელმწიფო დაცვის სამსახური, რომელიც არ გვაძლევს ტერასაზე გასვლის უფლებას; ეს ის მომსახურებაა, რომელზეც უარი თქვეს სკულპტურის მოპარვის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ შენობას იცავენ, სივრცეში მაინც შეინიშნება აქტივობის კვალი. ამჟამად საზოგადოებრივი არქიტექტურული ობიექტი თბილისში იმპროვიზებული და უკანონოდ შესახლებულია დაშლილი სკულპტურის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკუმის კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა, იდეალურ შემთხვევაში, პირველი სამართლებრივი ნაბიჯი იქნებოდა შენობის თანამედროვე გამოყენებისთვის, დაცვის სტანდარტების სიხისტემ და დაფინანსების არარსებობამ შეიძლება, სასტიკად დააზიანოს შენობის თანამედროვე არაფორმალური ფუნქციები და შესახლებულთა ცხოვრება. თბილისში რამდენიმე დაცვის პროექტმა სრულიად გაანადგურა არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობა და კულტურული ქსელები ქალაქის ცენტრში, ტურიზმის განვითარების სანაცვლოდ. შენობა უფრო დიდი ხანის არაფორმალურ საცხოვრისს წარმოადგენს, ვიდრე ტექნიკურ კოლეჯს წარმოადგენდა და არ შეიძლება ამ ისტორიის უგულვებელყოფა იმ შემთხვევაში, თუ იქნება სამომავლო განვითარების გეგმები. რასაც არ უნდა უმზადებდეს მომავალი ტექნიკუმს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი კომპლექსური შრეები და ისტორია, რომელმაც ის დღევანდელობამდე მოიყვანა.



ინდუსტრიული პედაგოგიური ტექნიკუმის კომპლექსი, მთავარი კორპუსის ვესტიბიული, ფოტო არქიტექტორ ნიკოლოზ ლაზარეიშვილის საოჯახო არქივიდან

ინდუსტრიული პედაგოგიური ტექნიკუმის კომპლექსი, ტექნიკუმის მაყურებელთა დარბაზი, ფოტო არქიტექტორ ნიკოლოზ ლაზარეიშვილის საოჯახო არქივიდან

ავტორის შენიშვნა: მოძიებულ მასალებს შორის კომპლექსის საბოლოო სახესთან ყველაზე ახლოს მდგომი გამოსახულება. პროექტი განხორციელდა მცირედი ცვლილებებით, კერძოდ: გემაზე არსებული მთავარი შენობის ფანჯრების წინასწარ დამზადებული ელემენტები განსხვავდება საბოლოოდ გამოყენებულისგან. ლანდშაფტის დიზაინის მოწყობა მთავარი შენობის წინ არ განხორციელებულა გეგმის მიხედვით. ეს ვერსია განსხვავდება წინა ჩანახატებისაგან, სადაც აუდიტორიის ქვეშ მდებარე სვეტები ვიზუალურად უფრო ახლოს იყო შენობის წინა შესასვლელ სვეტებთან. აუდიტორიის სვეტების ცვლილება, სავარაუდოდ, შეიცვალა მშენებლობის ეკონომიკის გამო – წინა ნახაზების შესრულება უფრო რთული იქნებოდა.

ავტორის შენიშვნა: მშენებლობა განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებებით გენ-გეგმაში (გზების მოწყობა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა კომპლექსის უკან არ განხორციელებულია გენ-გეგმაზე ნაჩვენები სქემის მიხედვით).



ტექნიკუმის მაყურებელთა დარბაზის ფასადზე არსებული ბარელიეფის განადგურების პროცესი, 2018 წლის ზამთარი – 2019 წლის ზამთარი

6.3. მივი მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკის შენობა

მ. კოსტავას ქ.; # 47, თბილისი

ლევან კალანდარიშვილი – არქიტექტორი

მთავარი ფასადი მერაბ კოსტავას ქუჩიდან.
ფოტო: ლევან კალანდარიშვილი

წინასიტყვაობა

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თითქმის ოცდაათი წელია გასული და საზოგადოებაში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა მკაფიო აზრი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სტალინის მმართველობის შემდგომი პერიოდის ქართული საბჭოთა არქიტექტურა და რამდენად ღირებულია ის კულტურული მემკვიდრეობის კუთხით. ამ პერიოდში შექმნილი შენობა-ნაგებობებისა თუ ახალი ქალაქგეგმარებითი წარმონაქმნების შეფასება ძირითადად უარყოფით, პოლიტკონიუნქტურულ კონტექსტში ხდება, რაც ამგვარი ობიექტების მომავალს სერიოზულ საფრთხეებს უქადის. ამას ემატება წლების განმავლობაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების შედეგად უფლებრივად (სართულ-სართულ თუ ოთახ-ოთახ) დანაწევრებული საკადასტრო ერთეულები, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის არქიტექტურულად ღირებული შენობის შენარჩუნებას/აღდგენას პირვანდელი სახით.

წინამდებარე ტექნიკური ანგარიში მოკლე არქიტექტურულ-ისტორიული მოკვლევითა და არსებული მწირი დოკუმენტალური მასალის მიმოხილვით ერთგვარი მცდელობაა სათანადო ადგილი დაუმკვიდროს გივი მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკის შენობას მე-20 საუკუნის ქართული მოდერნისტული არქიტექტურის ღირებულ ობიექტთა ნუსხაში, რათა შემდგომში სათანადო კვლევისა და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მხრიდან სრული მხარდაჭერის პირობებში სწორად დაგეგმილი საკონსერვაციო გეგმის შედგენით მოხდეს მისი ეტაპობრივი აღდგენა.

ავტორი

გივი მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკის შენობის პროექტის ავტორი არქიტექტორი გარი ბიჭიაშვილია[14] (დაბ. 1936), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების (1960 წ.) შემდეგ ცოტა ხნით მუშაობდა ჯერ „საქსოფლმშენპროექტში“, შემდეგ – ამწევი სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებულ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო „სოიუზპრომექანიზაციაში“ და საბოლოოდ თავისი შემოქმედებითი ცხოვრება დაუკავშირა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტს“, სადაც ის 1962 წლიდან მუშაობდა. მისი შემოქმედებითი პორტფოლიოდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ასევე მოდერნისტულ სტილში გადაწყვეტილი საცხოვრებელი სახლი „ენგურჰესის“ თანამშრომლებისთვის თბილისში ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე (#39). არქიტექტორი გარი ბიჭიაშვილი ასევე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრაზე. იგი არის რამდენიმე რომანის, მოთხრობის, პიესისა და კინოსცენარის ავტორი.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში შემონახულ რიგ არაარქიტექტურული ნახაზის შტამპებზე პროექტის მთავარ არქიტექტორებად მითითებულნი არიან ცნობილი ქართველი არქიტექტორები: გივი მეტრეველი (დაბ. 1943) და ბიძინა სუმბაძე (1929-2019), რომლებიც მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ მეორე არქიტექტურული სახელოსნოს (მე-2) ხელმძღვანელები იყვნენ, სადაც პროექტი მუშავდებოდა. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის არქივში დაცული ინფორმაციის მიხედვით მათი საავტორო მონაწილეობა ამ პროექტში არ დასტურდება.

მნიშვნელობა და ღირებულებები

პოსტსტალინისტური პერიოდის ქართული არქიტექტურის ისტორიაში ბიბლიოთეკების პროექტირება-მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და სამივე ამ ტიპის ნაგებობა, რომელიც თბილისში XX საუკუნის 60-80-იან წლებში აშენდა, კერძოდ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის ბიბლიოთეკა, დაბოლოს, სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა, საქართველოში მოდერნისტული არქიტექტურის განვითარების ისტორიას საუკეთესოდ ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა ზემოთ ხსენებულ შენობებთან მიმართებაში უფრო მოკრძალებული ზომისაა თავისი არსებულ განაშენიანების მასშტაბთან მისადაგებით, რთულ რელიეფზე მორგებით (კიბეების დაკავშირება სანაპიროსთან), კომპლექსის მოცულობათა დანაწევრებითა და ექსპრესიული ფასადით, ის არ ჩამოუვარდება მათ და ამ პერიოდის გამორჩეულ ნიმუშად აქცევს. ამას ემატება ბიბლიოთეკის ტექნოლოგიურ მოთხოვნილებებზე აწყობილი შენობის გამართული ფუნქციონალური სქემა. სწორედ ამაშია მისი მნიშვნელობა და ღირებულება, რომ მიუხედავად შენობის სხვა ეპოქისადმი კუთვნილებისა, სწორად მიგნებულ-

14 ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში © ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, გამოცემა მომზადებულია საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად, 1999. გვ. 18 (ISBN 99928-52-36-4).

მა არქიტექტურულ-გეგმარებითმა გადაწყვეტამ შენობას თანამედროვეობა არ დააკარგვინა და მისი გამართული ფუნქციონირება დღესაც შესაძლებელია. არსებულ შენობაში დაცული უმდიდრესი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის/დოკუმენტაციისთვის შენახვა-გამოყენებისთვის ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს შენობის გაცოცხლებას და თუნდაც ეტაპობრივად ღირებული ნაწილების თავდაპირველი მდგომარეობისკენ დაბრუნებას.

„მზისმჭრელები“ მთავარ ფასადზე. ფოტო: ლევან კალანდარიშვილი

კომპლესის „ბ“ ბლოკზე დაშენებული სასწავლო დაწესებულების უკანა ფასადი. პროექტი ასევე არქიტექტორ გარი ბიჭიაშვილისაა. ფოტო: ლევან კალანდარიშვილი

ამ შენობის დღევანდელი ფასადი სახეა ქვეყანაში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებისა და მისი განვითარებისა. გადაკეთებების კასკადმა და ფუნქციონალურმა „აჯაფსანდალმა“ კომპლექსი სერიოზულად დააზარალა და დღეს, სამწუხაროდ, ძალიან რთულ, შეიძლება გადაულახავ გამოწვევასთანაც გვაქვს საქმე. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია ძალიან მოწადინებულია მის ხელთ შემორჩენილ ფართებზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი განავითაროს და ამაში სახელმწიფოს ქმედითი დახმარების იმედიც აქვს, გადაუდებელია შესაბამისი კონცეფციის მომზადება და სხვადასხვა დონორის მოზიდვა ამ სამუშაოების სრულფასოვანად და მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამის კარგი მაგალითი უკვე გვაქვს საქართველოში, კერძოდ გეთის ფონდის და „ლურჯი ფარის“ თანამშრომლობის სახით, რაც სცენარის ოპტიმისტურად განვითარებისკენ გვიბიძგებს.

შენობის ახლანდელ მდგომარეობაზე 2019 წლის დეკემბერში სიუჟეტი მომზადდა ნინო არაზაშვილის საავტორო გადაცემაში, რომლის მიდევნებაც შესაძლებელია სქოლიოში მითითებულ ბმულზე[15]. როგორც სიუჟეტიდან ჩანს, გარკვეული მცდელობები ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მხრიდან სამოქალაქო აქტივისტების ჩართულობით არსებობს, თუმცა ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა. რაც შეეხება შენობის ფიზიკურ მდგომარეობას, ვიზუალური დათვალიერებით ის მდგრადი შენობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ინტერიერი ძალიან შელახულია და სერიოზულ ჩარევას საჭიროებს.

15 ტვ პირველზე გასული ვიდეორეპორტაჟის ნახვა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ბმულზე: https://bit.ly/3mp85NW

პროექტირების მოკლე ისტორია

ტექნიკურ ბიბლიოთეკაში დაცულ დოკუმენტებს შორის მოიპოვება 1964 წელს მომზადებული მიწის ნაკვეთის გეგმა (გენგეგმის განყოფილების უფროსი ჭიაბრიშვილი, დაამუშავა საყვარელიძემ) ტერიტორიისთვის იმჟამინდელი ლენინის ქუჩის (დღევანდელი მ. კოსტავას ქუჩის), ლენინის ქუჩის შესახვევსა და ს.მ. კიროვის სახელობის ბაღს (დღევანდელი ვერის ბაღი) შორის. მიწის ნაკვეთი საქართველოს ალკკ ცკ–სა და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით (შეთანხმებულია ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილე უჩა ბაქრაძესთან 30#17-08, პროექტი #43, §2 მ. 1:500), გამოყოფილია იქ ახალგაზრდობის სასახლის მშენებლობის მიზნით.

პროექტის ავტორთან, გარი ბიჭიაშვილთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ პროექტი „თაროზე შემოდებული ალბომების“ რიგს განეკუთვნებოდა და მასზე მუშაობა ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. დიდი წყვეტის შემდეგ, 70-იანი წლების ბოლოსკენ, პროექტის არსებობა ისევ გაახსენდათ და მასზე მუშაობა განახლდა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, პროექტი საბოლოო სახით 1982 წელს დამტკიცდა და ოთხი წლის შემდეგ აშენდა კიდეც.

ადგილმდებარეობა, ტექნიკური მონაცემები, დოკუმენტაცია

გივი მიქელაძის[16] სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკის[17] სამი ბლოკისგან („ა“, „ბ“ და „გ“) შემდგარი კომპლექსი მდებარეობს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. #47-ში (41.7094397, 44.7851376). თბილისის არქიტექტურული სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ობიექტი განთავსებულია საზოგადოებრივ–საქმიან ზონაში 2 (სსზ-2). კოეფიციენტები კ-1-0.7; კ-2-4.6; კ-3-0.2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით (საკადასტრო გეგმა 882019685900) ობიექტის საკადასტრო კოდია 01.15.03.010.011, არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთის ფართია 3225 კვ.მ. (WGS 84 / UTM zone 38N). რეესტრის მონაცემებით კომპლექსი საერთო რეგისტრირებული ფართით 17,672.36 კვ.მ. შემდეგი პროპორციით არის განაწილებული მესაკუთრეებს შორის:

სახელმწიფო – 10,533.03 კვ.მ. (60%);

10 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) – 5,792.43 კვ.მ. (33%);

10 ფიზიკური პირი – 432.67 კვ.მ. (2%);

ერთი არაკომერციული პირი (ა(ა)იპ) – 914.23 კვ.მ. (5%).თბილისის არქიტექტურული სამსახურის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით მიწის ნორმატიული ფასი ამ ზონისთვის (ზონა 42) 383 ლ/მ^{2}ლ/მ2

სარეესტრო მონაცემების მიხედვით იმ ნაკვეთის ფართი, სადაც კომპლექსია განთავსებული უკანასკნელ ათწლეულში იცვლებოდა: 2011-დან 2018-მდე ის 4.600კვ.მ.-ს შეადგენდა, 2019 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი სამჯერ შეიცვალა, მარტში 4692 კვ.მ. იყო, აგვისტოს დასაწყისში – 4823 კვ.მ., ხოლო აგვისტოს დასასრულისკენ უკვე 3225 კვ.მ.

16 http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009075/

17 http://www.sciencelib.ge/
https://www.facebook.com/NSLGeorgia/

შენობის პროექტირებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მწირია და მოიცავს:

- ეროვნულ–სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ბ-ნი ირაკლი ღარიბაშვილი) დაცულ, ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს არსებობის დროინდელ სქემატურ ნახაზებს (მხოლოდ V და VI სართულების გეგმები);
- ეროვნულ–სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაკვეთით შესრულებულ აზომვით ნახაზებს, რომლებიც განკუთვნილია ტექნიკური ბიბლიოთეკის არსებული ფართების რეაბილიტაციისათვის და შესაძლო დონორების მოსაძიებლად;
- ტექნიკურ ბიბლიოთეკაში დაცულ სხვადასხვა დროს შესრულებულ შენობის საინჟინრო ნაწილის ნახაზებსა და კოსტავას ქუჩაზე გამავალი ფასადის მაკეტს, რომლებიც ბიბლიოთეკის გადარჩენის აქტივისტმა ერეკლე ჩინჩალაძემ და არქიტექტორმა ბექა ნიკიფორმა მოიძიეს და გააახლეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის განყოფილების არქივში დაუხარისხებელი სახით (ტომრებში) განთავსებულია „საქქალაქმშენსახპროექტის“ არქივი, სადაც, სავარაუდოდ, უნდა იყოს პროექტთან დაკავშირებული მასალები (განმარტებითი ბარათი, პროექტის არქიტექტურული, კონსტრუქციული და სხვა ნაწილები). თბილისის საქალაქო საქალაქო არქივში მუშაობამ ასევე ვერ გამოიღო სასურველი შედეგი.

ზოგადი ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა 2006 წლის ზაფხულში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის, სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკისა და ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმის გაერთიანების შედეგად. ამჟამად ის სტრუქტურულად თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ექვემდებარება.

გივი მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკის შექმნისა და განვითარების ისტორია[18]

1950 წლებში ტექნიკური ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი, პერიოდიკა, გამოგონებები, საარქივო მასალები) ეკუთვნოდა „საქნახშირს“. როდესაც შეიქმნა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო, ბიბლიოთეკა გადავიდა მის დაქვემდებარებაში და იწოდებოდა, როგორც საქ. სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალური ტექნიკური ბიბლიოთეკა. 1965 წელს მინისტრთა საბჭოს ბრძანების საფუძველზე, ტექნიკური ბიბლიოთეკა და საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის, სამეცნიერო–ტექნიკური ინფორმაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან არსებული ბიბლიოთეკა გაერთიანდა და დაარსდა რესპუბლიკური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა. 1966 წლიდან მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქელაძის დახმარებით ბიბლიოთეკამ დაიწყო შევსება ახალი ლიტერატურით, ასევე – გამოგონებებით. ამავე პერიოდში გადაწყდა ახალი შენობის აშენება და 1986 წელს ბიბლიოთეკა გადავიდა ახალ შენობაში (მ. კოსტავას ქ.# 47). გივი მიქელაძის გარდაცვალების შემდეგ ბიბლიოთეკა ატარებს მის სახელს. უდიდესი ღვაწლი დასდო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის განვითარების

18 http://www.sciencelib.ge/node/21

საქმეს მისმა დირექტორმა, აწ გარდაცვლილმა რევაზ გორგილაძემ[19], რომლის ხელმძღვანელობის დროსაც მოხდა ახალი შენობის სრულყოფილი პროექტის შედგენა და მისი განხორციელება.

ტექნიკური ბიბლიოთეკა საქართველოში ერთადერთი ტექნიკური პროფილის უნივერსალური ბიბლიოთეკაა, მის ფონდში ინახება 21 მლნ. ერთეული უნიკალური ლიტერატურა. ფონდის ძირითადი ნაწილია საპატენტო დოკუმენტაცია – მსოფლიოს 63 ქვეყნის საკმაოდ სრული ფონდი, მათ შორის საქართველოს პატენტის აღწერილობა გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, პერიოდული გამოცემები, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების რეფერატული ჟურნალები.

საპატენტო რეფერატულ და ბიბლიოგრაფიულ ბიულეტენებში მოცემულია მსოფლიო ორგანიზაციის ინტელექტუალური საკუთრების, ევროპის საპატენტო უწყების, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციისა და ინგლისის საინფორმაციო ფირმა „დერ-ვენტის“ დოკუმენტაცია. ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი წამყვანია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის განყოფილება. მისი ფონდი მოიცავს საქართველოს, აგრეთვე უცხოურ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას. ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციაში შედის შემდეგი სახის დოკუმენტები: სახელმწიფო სტანდარტები, ტექნიკური პირობები, სამრეწველო კატალოგები.

6.4. მუხათგვერდის სასაფლაოს არქიტექტურული ანსამბლი (1970 – 1981)

დავით ბოსტანაშვილი: არქიტექტურის დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მუხათგვერდის სასაფლაო.
ადმინისტრაციის შენობის და კოშკის ანსამბლი.
ფოტო: დავით ბოსტანაშვილი

მუხათგვერდის სასაფლაო. აღნიშნულია კვლევის ინტერესის ობიექტები. სატელიტური ფოტო.

19 საქ. გ. მიქელაძის სახ. რესპუბლიკური სამეცნიერო – ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი რევაზ გორგილაძე დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით. გაზეთი „კომუნისტი“, თბილისი, 1981, 16 ივლისი, გვ. 2

შესავალი

თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოზე, ამჟამად სამი არქიტექტურული ობიექტი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. სამივე მათგანს, ერთი არქიტექტურული თემა აერთიანებს.

სინამდვილეში, მუხათგვერდის სასაფლაოზე ამჟამად შემორჩემილი ხუთი ნაგებობა, მხოლოდ ნაწილია იმ მასშტაბური არქიტექტურული ანსამბლისა, რომლის გენერალური გეგმის და არქიტექტურული ობიექტების ავტორი არქიტექტორი ვიქტორ ჯორბენაძეა. საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია ორგანიზაცია „თბილქალაქპროექტში“. ვიქტორ ჯორბენაძე, ისევე როგორც პროექტის ინჟინრები, კონსტრუქტორები, დენდროლოგი და სხვა მომიჯნავე სპეციალისტები, ხსენებული საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები გახლდნენ. პროექტირება მიმდინარეობდა 1970-1981 წლებში. მისი განხორციელება ორ ეტაპად იყო განზრახული. დღეს შემორჩენილი ნაგებობები მშენებლობის პირველ ეტაპს მიეკუთვნება და 1970-იანი წლებით თარიღდება. მშენებლობის მეორე ეტაპი ფაქტიურად არ განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით ძირითად სამანქანო გზას.

მუხათგვერდის სასაფლაოს საპროექტო დოკუმენტაციიდან ცენტრალურ არქივში შემორჩენილია მხოლოდ ქალაქგეგმარებითი და ტექნიკური ნაწილი. უშუალოდ შენობების არქიტექტურული პროექტი, სამწუხაროდ, არ იძებნება. ჩვენს ხელთ რეალურად არსებული დოკუმენტი (სასაფლაოს დედნროლოგიური პროექტი) დათარიღებულია 1973 წლის 14 ივნისით. კომპლექსის ჩანაფიქრის აღსადგენად მოცემულ დოკუმენტს დავეყრდენით.



მუხათგვერდის სასაფლაოს დენდროლოგიური გეგმა, 1973წ. საქართველოს ეროვნული არქივი

დენდროლოგიური გეგმა იმეორებს სასაფლაოს მთლიანი გენერალურ გეგმის ნახევარს. იგი მოიცავს იმ პერიოდისთვის გათვალისწინებული ობიექტების ჩამონათვალს, გზების და ბილიკების გეგმარებას, მანქანის გასაჩერებელ ადგილებს. გენერალურ გეგმაზე ვხედავთ ტერიტორიას, ზომებით დაახლოებით 1000x700 მ. სავარაუდოდ 1973 წლისთვის მუშავდება დოკუმენტაცია მხოლოდ პირველი ეტაპის მშენებლობისთვის. მეორე ეტაპის მშენებლობის სამუშაო დოკუმენტაცია მზადდება შემდეგ წლებში (1980 – 1981).

დენდროლოგიურ გეგმაზე ვხედავთ ცენტრალურ გზას და ხვეულ ბილიკებს, რომლებიც თავისუფალ ნახატს ქმნიან. კომპლექსის ფუნქციური ელემენტებია: I – ადმინისტრაციული შენობა, II – შესასვლელის მთავარი კოშკი, III – მანქანების გაჩერება, IV – მოსაცდელი პავილიონი (ავტოპავილიონი), V – პანაშვიდების დარბაზი (2 შენობა), VI – ორ დარბაზიანი შენობა პანაშვიდეისთვის, VII – ღობე, VIII – ტუალეტი (4 ნაგებობა). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შენობა შექმნილია ერთიანი არქიტექტურული სტილით (ავტოპავილიონის გამოკლებით), რომლის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ჩამოთვლილი ობიექტებიდან განხორციელდა და დღემდე შემორჩენილია ხუთი ობიექტი: I – ადმინისტრაციული შენობა, II – შესასვლელის მთავარი კოშკი, IV – მოსაცდელი პავილიონი (ავტოპავილიონი), V – პანაშვიდების დარბაზი, VIII – ტუალეტი (ერთი).

გზები, ბილიკები და სხვა ელემენტები მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. მუხათგვერდის სასაფლაოს დღევანდელი განვითარება არ მიუყვება 1970-იანი წლების გენგეგმას.

ადმინისტრაციული შენობა, შესასვლელის მთავარი კოშკი და პანაშვიდების დარბაზი ერთი არქიტექტურული ანსამბლის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, ანსამბლურობა მუხათგვერდის კომპლექსის მთავარი კონცეფციაა. სწორედ ეს ჩანაფიქრი და არა მხოლოდ ცალკე აღებული ერთ-ერთი შენობის ორიგინალური არქიტეტურული პლასტიკა ხდის მუხათგვერდის კომპლექსს გამორჩეულს.

ანსამბლურობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას თავად პროექტის არქიტექტორის პიროვნებაზე და მის დამოკიდებულებაზე არქიტექტურის მიმართ.

<u>არქიტექტორი</u>

ვიქტორ ჯორბენაძე (1925 – 1999), რომელსაც ბევრი თანამედროვე ბუცას სახელით იცნობდა, მეოცე საუკუნის ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი და ოსტატია. მან დაძლია ის ტიპიურობა, რაც დამახასიათებელი იყო ბრეჟნევის (და ზოგადად საბჭოთა) ეპოქის არქიტექტურისთვის, რომელიც საპროექტო ინსტიტუტებში იქმნებოდა კოლექტივების მიერ და მოახერხა იშვიათი რამ – დაფიქსირდა როგორც შემოქმედი ავტორი.

ვ. ჯორბენაძემ 1946 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამტრედიაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ორგანიზაციებში. 1952 – 56 წლებში მოსკოვში, საპროექტო ინსტიტუტ „გიპროგორში“. 1959 წლიდან კარიერის ბოლომდე მუშაობდა "თბილქალაქპროექტში".

ვიქტორ ჯორბენაძის ნიჭი გამოვლინდა არა მხოლოდ მის შემოქმედებითობაში, არამედ არქიტექტურის ისტორიის გადააზრების უნარში. ტრადიციისა და ნოვატორობის მიმართებასა და ანსამბულობის იდეის შესახებ ბუცა საუბრობს მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „საქართველოს პირველი სატახტო ქალაქის – მცხეთის ანსამბლის არქიტექტურული მასშტაბი“[20].

სტატიაში ხაზგასმულია მცხეთის, როგორც ერთიანი ანსამბლის გაგების მნიშვნელობა, როგორც ჯორბენაძე წერს: „ანსამბლი უნდა გავიგოთ არა როგორც ესთეტიკური კატეგორია, არამედ როგორც ჩვენი საზოგადოების მოთხოვნების ყველაზე სრული გამოხატულება, ამ საზოგადოების იდეების სახეობრივი გამოვლენა არქიტექტურაში“[21]. აქ ავტორი რელიეფის თავისებურების წყალობით მცხეთის ჯვარს, სვეტიცხოველს, სამთავროს, ბებრისციხეს და ბოლოს ზაჰესის ჰიდროელექტრო სადგურს, მიუხედავად მათი ერთმანეთისგან დაშორებისა, ერთიან ანსამბლად წარმოგვიდგენს.

ანსამბლურობის საკითხის გარშემო მუშაობის საშუალება ვ. ჯორბენაძეს მუხათგვერდის სასაფლაოს პროექტირების პროცესში მიეცა. რა თქმა უნდა, კომპლექსის ნაგებობები, ცალკე აღებული ასევე წარმოადგენენ ახალი არქიტექტურული ენის საუკეთესო გამოვლინებას. ამ ენის შემუშავება ჯორბენაძის შემოქმედებაში მკაფიოდ შეინიშნება 70-იანი წლების დასაწყისში. მუხათგვერდზე დაპროექტებული შენობების გვერდით დგას ამავე პერიოდში შექმნილი და განხორციელებული ილია ჭავჭავაძის მუზეუმის შენობა ყვარელში (1972 – 77 წწ.) არქიტექტორ ქეთა კობახიძის თანაავტორობით. ამ ენის დაგვირგვინებად უნდა ჩაითვალოს თბილისის სადღესასწაულო რიტუალების სასახლე (გაიხსნა 1984 წ.), რომელიც ამჟამად სოციალისტური მოდერნიზმის ერთ-ერთ მთავარ სახედ და შედევრადაა მიჩნეული.

---

20 „საბჭოთა ხელოვნება“ N9, 1958. ასევე დაბეჭდილია წიგნში ბუცა – ხუროთმოძღვარი ვიქტორ ჯორბენაძე.

21 იქვე.

ჯორბენაძის არქიტექტურული ენის ძირითადი ფორმა კედლის „პლასტიური გეომეტრია“ ანდა „გეომეტრიული პლასტიკაა“[22]. აღნიშნავენ, რომ ჯორბენაძის არქიტექტურაში იკვეთება ლე კორბუზიეს (რონშანის კაპელა), ე. მენდელსონის (აინშტაინის კოშკი პოტსდამში), რ. შტაინერის (გოტეანუმი ქ. ბაზელში) გავლენა[23].

პლასტიური კედლები (რომლებიც მოგვაგონებს ქართული ციხე-კოშკების გალავანს), სივრცის მრავალშრიანი სცენოგრაფია, ლანდშაფტთან შერწყმულობა ის ინსტრუმენტებია, რომელთა გამოყენებით ანსამბლის შენობები მსუბუქი და გამჭვირვალეა. კედლების პლასტიკა ისეთნაირად არის ერთმანეთში ჩაწნული, რომ ამ შენობათა სივრცე გახსნილი და დენადი ხდება, ყრუ კედელს კი, ვერაფრით დააბრალებ „სიმუნჯეს“: მათი სილუეტები არქიტექტურული გამომხატველობითი ძალის საუკეთესო მაგალითია.

ყველაზე დიდი კვალი ვ. ჯორბენაძის არქიტექტურაზე სატაძრო ხუროთმოძღვრებამ დატოვა. შიგნითა სივრცის გარეთ გამოვლენის ტენდენცია, მოცულობათა პროპორციული და ზემსწრაფი შეთამაშება, მასშტაბი, სახასიათო სილუეტი, რაკურსის შეცვლასთან ობიექტის ახალი პლასტიური თვისებების წარმოჩენა, სიმბოლური განზომილება ის ძირითადი ინსტრუმენტებია, რაც არქიტექტორმა ქართული ხუროთმოძღვრებიდან ისწავლა. ავტორის ცნობიერება მიდრეკილი იყო შეექმნა საკრალური მნიშვნელობის სივრცეები. პროფანულ სივრცესთან ოპოზიციაში ჭავჭავაძის მუზეუმი და რიტუალების სასახლე საკრალური (თუმც, არარელიგიური) ადგილებია. მუხათგვერდის სასაფლაოს კომპლექსი კი, საკრალურობის ყველაზე მაღალ ხარისხს ატარებს. სეკულარულ საზოგადოებაში, ამგვარი საკრალური დანიშნულების სივრცის შექმნა (თუ არ ჩავთვლით მემორიალებს) უნიკალური მოვლენაა.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე მუხათგვერდის სასაფლაოს ისტორიული მნიშვნელობის თაობაზე შეიძლება თქვას, რომ კომპლექსი:

1. ღირებულია როგორც თანამედროვე ქართველი ოსტატის არქიტექტურული მემკვიდრეობა;
2. გამორჩეულია, რამდენადაც მასში გატარებულია ანსამბლურობის იდეა, რაც დღევანდელ არქიტექტურულ კონტექსტში იშვიათობაა;
3. წარმოადგენს საეტაპო მომენტს „ტრადიციის და ნოვატორობის“ ქართული არქიტექტურული დისკურსის კონტექსტში;
4. წარმოადგენს მსოფლიო არქიტექტურისთვის ეპოქის ღირებულ ნიმუშს, რამდენადაც ავითარებს პლასტიურ არქიტექტურულ ენას;
5. წარმოადგენს მეოცე საუკუნეში შექმნილი საკრალური სივრცის ერთადერთ ქართულ ნიმუშს (რელიგიური ხუროთმოძღვრების და მემორიალების გამოკლებით).

---

22 ბოსტანაშვილი შ. თბილისის სადღესასწაულო რიტუალების სასახლე. საბჭოთა ხელოვნება N8, 1985

23 ბოსტანაშვილი შ., ბოსტანაშვილი დ. ბუცა – ხუროთმოძღვარი ვიქტორ ჯორბენაძე, უნივერსალი, თბილისი: 2012. გვ. 144 – 145

მუხათგვერდის ანსამბლის და მასში შემავალი არქიტექტურული ობიექტების აღწერა

მუხათგვერდის სასაფლაოს არქიტექტურული ანსამბლის აღქმა იწყება საავტომობილო გზაზე მოძრაობისას. ვუახლოვდებით რა სასაფლაოს, შემაღლებულ ბორცვზე ჩნდება კომპლექსის შესასვლელი კოშკი. იგი ქმნის ორიენტირს და გარემოში შემოაქვს ძლიერი არქიტექტურული აღმნიშვნელი. კომპლექსთან მიახლოებისას, გზის სწორ მონაკვეთზე გასვლით ვიზუალურ არეალში შემოიჭრება საპანაშვიდე დარბაზის შენობა. მარცხნივ, მოშორებით მდგარი კოშკი კვლავ აგრძელებს ორიენტირის როლის შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული შენობა საკმაოდ დიდი მოცულობაა, მას მნახველი ბოლოს აღიქვამს, უკვე ავტომობილის გაჩერების შემდეგ. ეს მოკლე არქიტექტურული სცენარი საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ სამი ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობა ერთიან ანსამბლად აღიქმებოდეს.

იგივე ანსამბლურობის აღმოჩენა გენერალურ გეგმაზე საკმაოდ რთულია. აქ უფრო მეტად რჩება შთაბეჭდილება, რომ არქიტექტურული ობიექტები გაფანტულნი არიან მწვანე გარემოში და ერთმანეთს გზებით და ბილიკებით უკავშირდებიან. სავარაუდოდ, კომპლექსის სრული განხორციელების შემთხვევაში, ყოველი შენობა ერთიანი სივრცითი ორგანიზმის ნაწილად იქნებოდა აღქმადი. ჩვენს მიერ გამოყოფილი სამი შენობა-ნაგებობა მაინც იძლევა საკმაო ვიზუალურ სტიმულს ამ ობიექტების ანსამბლის ნაწილად აღსაქმელად.

1. ადმინისტრაციის შენობა

მუხათგვერდის კომპლექსის მთავარი გზის პირას, შესასვლელთან, გათვალისწინებული ავტოსადგომიდან (ამჟამად მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო) ასიოდ მეტრში მდებარეობს ადმინისტრაციის ერთსართულიანი მონუმენტური შენობა. აქ წამყვანი არქიტექტურული თემა კედელია. შესასვლელი აქცენტირებულია ორი მასიური რკალისებრი კედლის ერთმანეთთან დაახლოებით. შედარებით დაბალი კედლები განლაგებულია მათ წინ, რაც ქმნის პლასტიური კედლების რამდენიმე პლანიან კომპოზიციას.



ადმინისტრაციის შენობა, დღევანდელი მდგომარეობა. ხედი შესასვლელიდან.
ფოტო: დავით ბოსტანაშვილი

შენობა მონუმენტურობასთან ერთად გამოირჩევა დინამიზმით, რაც განპირობებულია რკალისებრი კედლების პარალელური რითმული განმეორებით. შენობა ღირებულია როგორც ცალკე აღებული ობიექტი, ასევე როგორც ანსამბლის ნაწილი.

შენობის სიმაღლე დაახლოებით 6 მეტრია. შენობის ძირითადი ფართი უკავია დიდ დარბაზს. ასევე მოწყობილია ორი მცირე ოთახი (15 და 30 კვ. მ). კედლები აშენებულია აგურით და შელესილია ცემენტის ხსნარით. რამდენიმე ადგილას ნალესი ჩამოცვენილია და სჩანს აგური. კონსტრუქციულად შენობა არ ჩანს დაზიანებული. შენობას გარშემო მიშენებული აქვს რამდენიმე ფარეხის ტიპის სტრუქტურა. მათი დემონტაჟის გარდა შესაკეთებელია ფასადი, გადახურვა, მოსაწყობია ინტერიერი, გამოსაცვლელია ფანჯრები.

შენობის ფართი 368 კვ. მ.-ია. ამჟამად შენობა გამოიყენება ქვის საამქროს საწყობად.

2013 წლამდე შენობა იმყოფებოდა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში. 2013 წლის ოქტომბრიდან შენობის მესაკუთრეა შპს „ჰერმესი“. დღეის მონაცემებით შპს „ჰერმესს“ 5 წლიანი იჯარით გადაცემული აქვს შენობა მოიჯარე ზ. ექიზაშვილისთვის (11.07.2019).

2. პანაშვიდების დარბაზი

პანაშვიდების დარბაზი. 2017 წელი
ფოტო: დავით ბოსტანაშვილი

პროექტის ავტორის ჩანაფიქრით, მთლიანად მუხათგვერდის სასაფლაოზე უნდა განხორციელებულიყო რამდენიმე ერთდარბაზიანი და ერთი ორდარბაზიანი რიტუალური შენობა პანაშვიდების გადასახდელად. თითოეული მათგანი ინდივიდუალურია და ამავე დროს ავტორისეულ არქიტექტურულ თემას (კედელთა პლასტიური შეთამაშება) მიჰყვება. ჩაფიქრებული სარიტუალო დარბაზებიდან განხორციელდა და შემორჩენილია მხოლოდ ერთი.

დარბაზი მდებარეობს ადმინისტრაციის შენობის ჩრდილოეთით, ოდნავ შემაღლებულ რელიეფზე. შენობის გარშემო არ არის ხეები (განსხვავებით ადმინისტრაციული შენობისგან) და არც სხვა ნაგებობები. ამ მიზეზების გამო შენობა დომინირებს გარემოზე და თავისი არქიტექტურითაც აღმატებულია. მისი მოცულობა მეტად რელიეფური და სკულპტურულია. შესასვლელს ქმნის ორი მასიური კედელი, რომელიც მეხსიერებაში გამოიხმობს ეგვიპტური ტაძრის პილონებიან შესასვლელს. ეს გადაძახილი არქიტექტორის მხრიდან განზრახულ ციტატად უნდა ჩაითვალოს. შენობის დომინანტს ქმნის ორი ნახევარ რკალისებრი კედელი-კოშკი. რამდენიმე სიმბოლური ღრმა მართკუთხა ღიობი გამომსახველობას და სიმსუბუქეს ანიჭებენ მოცულობას. ინტერიერში კოშკები ქმნიან ორ ნიშს, სადაც სინათლე ჩამოიღვრება ზემოდან. ამ შემთხვევაში არქიტექტორი აშკარად გამოიხმობს აბსიდების სახეს. შენობის რთული სივრცითი პლასტიკა მუდმივცვალებად არქიტექტურულ სახეს ქმნის შენობის გარშემო მოძრაობისას. თუ ადმინისტრაციის შენობა მონუმენტური, მაგრამ შედარებით მოკრძალებულია, საპანაშვიდე დარბაზს, მისი წმინდა საკრალური ფუნქციიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ეტყობა ტაძრული არქიტექტურის ტრადიციის და სულისკვეთების გაგრძელების სურვილი. იგი, დამოუკიდებლად განხილული, წარმოადგენს თანამედროვე არქიტექტურის შედევრს.

შენობა წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას მაღალი ჭერით (სიმაღლე დაახლ. 7 – 8 მ.). გამორჩეულია მისი ინტერიერი, სადაც ეფექტურად არის მოდელირებული ბუნებრივი სინათლის შემოსვლა, რაც განსაკუთრებულ ექსპრესიულობას ანიჭებს დარბაზს. პლასტიური კედლები სტრატეგიულ ადგილებში იხსნებიან, სადაც ოსტატური არქიტექტურული დეტალები იბადებიან.

შენობას მთავარი დარბაზის გარდა გააჩნია ორი მცირე ზომის სივრცე და ასევე მცირე ზომის ანტრესოლი.

ისევე როგორც ადმინისტრაციის შენობა, პანაშვიდების დარბაზის კედლები აშენებულია აგურით და ღია ფერად შეღებილი ცემენტის ნალესით. რამდენიმე ადგილას ჩამოცვენილია ნალესის ფენა და სჩანს აგური. კონსტრუქციულად შენობა მდგრადია, არ გააჩნია მინაშენები. შენობა საჭიროებს როგორც ფასადის, ასევე ინტერიერის და გადახურვის შეკეთებას.

შენობა სსიპ თვითმმართველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ამჟამად იგი არ გამოიყენება.

შენიშვნა: გავრცელებული ხმები, რომ მუხათგვერდის სასაფლაოზე არსებული რომელიმე შენობა კრემატორიუმისთვის იყო ჩაფიქრებული არ დასტურდება. ამას მოწმობს ჩვენს ხელთ არსებულ გენერალურ გეგმაზე დატანილი ექსპლიკაცია. ასევე, არც ერთი შენობის გეგმარება არ შეესაბამება კრემაციისთვის საჭირო ტექნოლოგიას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადმინისტრაციის შენობაში არსებული დიდი დარბაზი მისაღები სივრცე იყო. როგორც აღვნიშნეთ, მუხათგვერდის ვრცელ ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო რამდენიმე საპანაშვიდე დარბაზის აშენება, რომელთაგან მხოლოდ ერთ-ერთი აშენდა. მუხათგვერდის კომპლექსის შენობები მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებდნენ თავის ფუნქციას; უფრო სწორად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში (1980-90 წწ.) გამოიყენებოდა ქელეხის სუფრის გადასახდელად.

3. კოშკი

როგორც აღვნიშნეთ, კოშკი ქმნის ანსამბლის ვერტიკალურ დომინანტს და წარმოადგენს მნიშვნელოვან არქიტექტურულ ორიენტირს შორი დისტანციიდან, ასევე წარმოადგენს სასაფლაოს შესასვლელის არქიტექტურულ აქცენტს. კოშკი წარმოქმნილია იმავე არქიტექტურული ჟესტით: ორი კედელი მიიწევს რა ერთმანეთისკენ ქმნის სიცარიელეს. ორივე კედელი სიმაღლით 15 მეტრამდეა. საფუძველში სქელი კედლები სიმაღლის ზრდასთან ერთად ვიწროვდება. მათი მრუდე პლასტიკა განსაკუთრებულად იკითხება მზის სინათლეზე. სიმბოლური მცირე ზომის მართკუთხა ღიობები ეხმიანებიან ანსამბლის სხვა ნაგებობების არქიტექტურულ თემას. კოშკის ორ კედელს შორის არსებულ სივრცეში ჩანს გარკვეული რკინის კონსტრუქცია, რომლის დანიშნილება უცნობია. სავარაუდოდ, კოშკს წმინდა სიმბოლური დანიშნულება ჰქონდა. ამ ლაკონურ ფორმაშიც კი იკითხება არქიტექტორის ოსტატობა და შესაბამისად იგი ანსამბლს განუმეორებელ ხასიათს ანიჭებს.

კოშკს უკავია 19 კვ. მ. და ამჟამად ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია და იჯარის წესით 5 წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემულია შპს „ეარნეტისთვის“.

კოშკს ესაჭიროება მხოლოდ მცირედი რესტავრაცია.

4. ავტოპავილიონი / მოსაცდელი დარბაზი

ავტოპავილიონი / მოსაცდელი დარბაზი წარმოადგენს მართკუთხა ფორმის გადახურვას ფართობით 775 კვ. მ. რომლის ქვეშაც იკვეთება ოთხი სათავსო. ერთსართულიანი პავილიონი მდებარეობს სასაფლაოს შესასვლელთან, საავტომობილო გზის პირას და სტილისტურად სრულიად კონტრასტულია კომპლექსის სხვა შენობებთან მიმართებით. პროექტი დამუშავებულია 1975 წელს.

5. ტუალეტი

ამჟამად სასაფლაოს ტერიტორიაზე შემორჩენილია ერთადერთი ტუალეტის შენობა, რომელიც გენგეგმის მიხედვით რამდენიმე ადგილზე უნდა ყოფილიყო განაწილებული და კომპლექსის ტიპიური ნაგებობაა. აქაც სივრცის შესაქმნელად არქიტექტორი იყენებს ორი ნახევარ რკალის ფორმის კედლის სივრცით განლაგებას. შესაბამისად შენობა ეწერება საერთო არქიტექტურულ თემაში. მიუხედავად ამისა, საკონსერვაციო პროექტის ფარგლებში მისი განხილვა არ მიგვაჩნია აუცილებლად.

გარემო

ადმინისტრაციული შენობის გარშემო ტერიტორია თავისუფალია. რამდენიმე ხე ფარავს შენობის დიდ მოცულობას.

რაც შეეხება საპანაშვიდე დარბაზს, მის აღმოსავლეთ მხარეს საფლავები უშუალო სიახლოვეშია შენობის კედელთან.

გენგეგმის მიხედვით კოშკი ასრულებდა შესასვლელის აღმნიშვნელ მისაღებ მწვანე სივრცეს, რომელიც სავარაუდოდ თავისუფალი უნდა ყოფილიყო საფლავებისგან. თუმცა ამჟამად კოშკის გარშემო ფაქტიურად არ არის დატოვებული თავისუფალი ადგილი და საფლავები უშუალოდ ემიჯნება ნაგებობას.

სასაფლაოს მცენარეული საფარი საუკეთესო გარემოს ქმნის მოცემული არქიტექტურული ობიექტისთვის. ადმინისტრაციის შენობის წინ, სამხრეთით 100 მეტრის მოშორებით განთავსებულია მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო რომელმაც კიდევ მეტი საკრალურობა და ემოციური მუხტი შესძინა ადგილს, რაც გასათვალისწინებელია. საპანაშვიდე დარბაზის მიმდებარე ტერიტორიიდან იშლება ხედი მცხეთაზე და ჯვარზე.

პანაშვიდების დარბაზი. 2017 წელი.
ფოტო: თბილისის არქიტექტურული ბიენალე.

დასკვნა

მუხათგვერდის სასაფლაოზე არსებული სამივე შენობა-ნაგებობა წარმოადგენს ერთიან ანსმბლს და აუცილებლად მივიჩნევთ სამივე ობიექტისთვის მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებას; ესენია:

- ადმინისტრაციის შენობა;
- სარიტუალო პანაშვიდების დარბაზი;
- კოშკი.

ანსამბლი წარმოადგენს ქართული მოდერნისტული არქიტექტურის ისტორიის ერთ-ერთ უნიკალურ ეტაპს და არა საბჭოთა კავშირის ეპოქის ტიპიურ შემთხვევას. მუხათგვერდის ანსამბლის შენობები წარმოადგენენ ზოგადად არქიტექტურის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს პლასტიური არქიტექტურული ენის ძიებაში. ანსამბლი გლობალური მნიშვნელობის ობიექტია (განსაკუთრებით სარიტუალო დარბაზის შენობა). ანსამბლის არქიტექტურა თავისუფალია „საბჭოურობის“ სემანტიკური სტიგმისგან და გახსნილია სამომავლო გამოყენებისთვის.

***

2018 წელს 26 ოქტომბრიდან 3 იანვრის პერიოდში ჩატარდა თბილისის არქიტექტურის ბიენალე. ბიენალეს დაესწრო როგორც ადგილობრივი ასევე არქიტექტურით დაინტერესებული საერთაშორისო საზოგადოება. ბიენალეს მთავარი თემა „შენობები არ კმარა“ რამდენიმე საჯარო ლექციაზე, ინსტალაციასა და გამოფენაში გაიშალა. ბიენალეს ფარგლებში მოეწყო მუხათგვერდის კომპლექსის ტური, რომელსაც დაესწრო ოცამდე სტუმარი. ტურს გაუძღვა დავით ბოსტანაშვილი. ამ ექსკურსიის მიზანი იყო ამ მნიშვნელოვან ობიექტზე საჯარო საუბრის ინიცირება. ტურის ფარგლებში მოხდა სამივე ობიექტის დათვალიერება, შიგნით შეღწევა და მცირე ლექციის მოწყობა.

ბიენალეს ორგანიზატორებმა, ჯერ კიდევ ბიენალეს დაწყებამდე თითქმის ერთი წლით ადრე გამოთქვეს სურვილი მუხათგვერდზე არსებული შენობების რესტავრაციის და მათი ძეგლთა ნუსხაში შეტანის. ამ ინიციატივის პირველი ნაბიჯი იყო აღნიშნული ტური. პირველ ნაბიჯს ჯერჯერობით სხვა კონკეტული ნაბიჯები არ მოყოლია.

აღნიშნული ტურის დროს გაირკვა მუხათგვერდის კომპლექსზე უფლებამოსილი კერძო პირის ვინაობა (გადაცემული აქვს სარგებლობაში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე), დათვალიერების შემდეგ გამოჩნდა გარკვეული ფიზიკური დაზიანებები რაც შენობებს აღენიშნებათ. ადმინისტრაციის შენობა აქტიურად გამოიყენება, თუმცა იქ შესასვლელად საჭირო გახდა წინასწარ შეთანხმება. რაც შეეხება საპანაშვიდე დარბაზს, იგი თითქმის მუდამ დაკეტილია და ბიენალეს ორგანიზატორების თხოვნით მოხდა კარების გაღება.

***

მუხათგვერდის კომპლექსის შესახებ ინტერნეტსივრცეში მოიძიება ანჯელა უილერის და უილიამ დანბარის სტატია „Soviet po-mo: what can we learn from Georgia's forgotten master architect?"[24], რომელიც მიმოიხილავს ჯორბენაძის ფენომენს როგორც პოსტმოდერნული კულტურის ნაწილს. აღნიშნულ სტატიაში მოკლე ინფორმაციაა მუხათგვერდის კომპლექსზე და აღნიშნულია მისი მსგავსება ლე კორბუზიეს არქიტექტურასთან. ქართულენოვან საიტზე მოცემულ სტატიაში[2][25] „კრემატორიუმი კრემაციის გარეშე" ავტორი თომა სუხაშვილი ძირითად აქცენტს კრემაციის თემაზე აკეთებს. ეყრდნობა რა ადგილობრივ მომუშავე პერსონალს (ზურაბ ექიზაშვილს) ავტორი გვიამბობს, რომ შენობას არასდროს უმუშავია კრემატორიუმად და იქ 80-იან წლებში ქელეხის სუფრები იმართებოდა. იგივე წყაროსთან ინტერვიუს ეყრდნობა გამომცემლობა „კვირის პალიტრა", სადაც იგივე ინფორმაცია მეორდება[26]. ასევე კრემაციის პრობლემასთან დაკავშირებულ სტატიაში „რადიო თავისუფლება"[27] მსგავს ინფორმაციას იმეორებს საპანაშვიდე დარბაზის შესახებ.

უნდა აინიშნოს, რომ თბილისის არქიტექტურის ბიენალის ფარგლებშიც მოწყობილი ტურის სათაურში ჩანდა სახელი „კრემატორიუმი". შენობის ეს სახელი განსაკუთრებულ იდუმალებას სძენს შენობას და ერთი-ორად ამაღლებს მისადმი ინტერესს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შენობა აშკარად პავილიონური ტიპისაა, არ არის გათვალისწინებული არანაირი ტექნოლოგიური სქემა და არც ჩვენს ხელთ არსებულ გენგეგმის ექსპლიკაციაზე არ ფიქსირდება ესეთი დასახელება. დასკვნის სახით კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ შენობა მისი ჩაფიქრებული თუ მიწერილი ფინქციისგან დამოუკიდებლად წარმოადგენს არქიტექტურული ფორმათძიების მნიშვნელოვან ეტაპს და მისი არქიტექტურა და შიდა სივრცე როგორც დღეს, ისევე სამომავლოდ არქიტექტურის მოყვარულებს არ დატოვებს გულგრილს.

დავით ბოსტანაშვილი

24 https://www.calvertjournal.com/articles/show/7911/viktor-jorbenadze-architect-wedding-palace-tbilisi-jorbusier

25 https://chai-khana.org/ka/story/553/in-georgia-a-crematorium-without-cremations

26 https://www.kvirispalitra.ge/public/21609-sabtcotha-saqarthveloshi-ashenebuli-mukhathgverdis-krematoriumi.html

27 https://bit.ly/36fNFky

6.5. საბჭოთა პერიოდის არქიტექტურა ესტონეთში

რინ ალატალუ – მემკვიდრეობის კონსერვაციის ექსპერტი

ესტონეთის ხელოვნების აკადემია, კულტურული მემკვიდრეობისა და კონსერვაციის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი

ვალგერანას დასასვენებელი ცენტრის მთავარი შენობა, რომელიც თავდაპირველად კომუნისტური პარტიისთვის აშენდა (რაინე კარპი, მეელი ტრუუ და სხვ., 1983 წ.);
ფოტო: კერსტი სიმი

ვალგერანას დასასვენებელი ცენტრი, კინო დარბაზი
ფოტო: კერსტი სიმი

პატივსაცემი და დაცული კულტურული მემკვიდრეობა ხშირად „უკეთური“ წარმოშობისაა. ჩვენ უყოყმანოდ ვიხიბლებით ეგვიპტური პირამიდების სიდიადით, თაჯ მაჰალის ან ნებისმიერი სამხედრო ძეგლის ელვარებით მაშინაც კი, როდესაც ვიგებთ დაღუპულებისა და ადამიანური უსამართლობის შესახებ, საუკუნეების წინ მიყენებულ ზიანს აღვიქვამთ, როგორც ისტორიის ნაწილს და ეს არ აკნინებს მემკვიდრეობის ღირებულებას. სიტუაცია უფრო რთულადაა, როდესაც საქმე ეხება არცთუ ისე შორი წარსულის ძეგლებს. მიუხედავად სირთულეებისა, მემკვიდრეობის დამცველთა ვალდებულებას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რისი დაცვაა საჭირო არა მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებისათვის, არამედ მომავალი თაობებისთვის, რათა არ მოხდეს კაცობრიობის ისტორიის დაკარგვა მე-20 საუკუნეში. ესტონეთში მე-20 საუკუნეში რამდენიმე დრამატული პოლიტიკური ცვლილების მომსწრენი გავხდით. 1928 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციამ გაგვათავისუფლა რუსეთის იმპერიისგან. ამან გამოიწვია უზარმაზარი ცვლილებები საზოგადოებაში – სოციალური რანგების გაუქმება და გერმანულენოვანი თავადაზნაურების დომინირებისთვის ბოლოს მოღება. თავადაზნაურობის მემკვიდრეობამ დაკარგა მნიშვნელობა მიუხედავად იმისა, რომ მას მნიშვნელოვანი არქიტექტურული და მხატვრული ღირებულება გააჩნდა. მრავალი მოხდენილი ციხე-დარბაზი გახდა ვანდალიზმის მსხვერპლი ან დაინგრა. ჩვენს დრომდე შემორჩა მემამულეთა სახლები, რომლებსაც იყენებენ პრაქტიკული მიზნებისთვის – მაგალითად, 1920-იანი წლებიდან 200-ზე მეტი სკოლა განთავსდა ყოფილ მემამულეთა სახლებში. მიუხედავად იმისა, რომ არ იქნა აღიარებული მემამულეთა სახლების საზოგადოებრივი ღირებულება, ძეგლთა დამცველებმა დაიწყეს მათი როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ადვოკატირება.

მეორე ცვლილებას წარმოადგენდა ესტონეთის ოკუპაცია საბჭოთა კავშირის მიერ 1940-1991 წწ. ქართული საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი თუ როგორ ხდებოდა წარსულით მანიპულირება საბჭოთა ისტორიულ ნარკვევებში ოკუპაციის დროს. ახალი ძეგლები, ისტორიულ-არქიტექტურული ობიექტები და შენობები ახალი ძალაუფლების ვიზუალიზაციას ახდენდა. მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი უწყებები გარკვეულწილად პრივილეგიით სარგებლობდნენ, პირველებს მიეგოთ პატივი ოკუპაციამდელი პერიოდის მემკვიდრეობისთვის. 1991 წ. ესტონეთის რესპუბლიკის აღდგენასთან ერთად კვლავ შეიცვალა ღირებულებები. საბჭოთა პერიოდის ნიჭიერი არქიტექტორების ქმნილებებს ოკუპაციური რეჟიმის ლაქა მიეცხო. ისევე, როგორც 1920-იან წლებში გერმანელი თავადაზნაურების მემკვიდრეობის შემთხვევაში,

ვალგერანას დასასვენებელი ცენტრი, საუნა
ფოტო: კერსტი სიმი

ესტონელი საზოგადოება 1990-იან წლებში სიამოვნებით ტოვებდა ან ანგრევდა საბჭოთა პერიოდის შენობებს. თავის დროზე ჯილდო მიღებული შედევრებიც კი არ იქნა აღიარებული მნიშვნელოვანი ესთეტიკური და ისტორიული ღირებულების მქონედ. ხალხს ყველაზე მეტად წარსულის სამუდამოდ დავიწყება სურდა.

ოკუპაციის პირველმა ათწლეულებმა დაგვიტოვა ხშირ შემთხვევაში საბჭოთა სიმბოლოებით მორთული ე. წ. სტალინისტური სტილის სამთავრობო და საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ტერორისა და ძალდატანებით ასიმილაციის ხსოვნის მატარებელნი არიან. ბოლო 10-20 წელიწადში კონსერვაციის სპეციალისტებმა მიიღეს გაბედული გადაწყვეტილება, აღედგინათ ისინი და დაებრუნებინათ ძველი დიდება. ეს ყოველთვის არ არის გასაგები ფართო საზოგადოებისთვის. თუმცა, კონსერვაციის სპეციალისტების მიზანს წარმოადგენს ისტორიის წიგნში ისევ „ცარიელი ფურცლების“ შექმნისგან თავის არიდება. კონსერვაციის სპეციალისტებმა და ხელოვნებათმოდნეებმა ხელი შეუწყვეს ამ შენობების ჯენტრიფიკაციას. სტალინისტური არქიტექტურის ყველაზე მნიშვნელოვანი შენობები დაცულია ძეგლთა დაცვისან ქალაქგეგმარებითი დოკუმენტებით. ბუკლეტებმა, ექსკურსიებმა და შენობებზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ამ უბნებს ახალი კულტურული მნიშვნელობა, ხოლო უძრავ ქონებას – ღირებულება შესძინა. ახლა, საბჭოთა რეჟიმის დაშლიდან თითქმის 30 წლის შემდეგ, ნეგატიური იდეოლოგიური აურა თითქმის სრულად შეიცვალა: სტალინიზმს უყურებენ როგორც რარიტეტს, განსაკუთრებით – ახალგაზრდა თაობა. უძრავი ქონების კომპანიები ამ რაიონებს აფასებენ როგორც ქალაქის ლანდშაფტის ღირებულ ნაწილებს. თუმცა საჭიროა სიფრთხილე, რათა ოკუპაციის ისტორია არ იქნას დავიწყებული ან გადაკეთებული, არამედ შესაბამის კონტექსტში იქნას ახსნილი.

1960-იან და 1970-იან წლებში მრავალი ღირსშესანიშნავი საჯარო შენობა იქნა აგებული. მაგალითად: სასიმღერო ფესტივალის არენა (1960 წ.), ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტის) კამპუსი (1967 წ.), კომუნისტური პარტიის მთავარი ადმინისტრაციული შენობა (1968 წ.) და მისი საკონფერენციო ცენტრი საკალა კესკუსი (1985 წ.). ტალინმა სარგებელი მიიღო იმით, რომ მასპინძლობდა 1980 წ. მოსკოვის ოლიმპიადის რეგატას – აიგო უზარმაზარი საკონცერტო დარბაზი და

რაპლა კეკ ადმინისტრაციული შენობა (ტომას რეინი, 1977 წ.)
ფოტო: არვი კრისი / ესტონური არქიტექტურის მუზეუმი

საკონფერენციო ცენტრი ლინაჰოლი, ტალინის აეროპორტის ახალი ტერმინალი და პირიტას ოლიმპიური ცენტრი. საბჭოთა პერიოდის არქიტექტურულად ყველაზე მნიშვნელოვანი შენობები, ფაქტობრივად, სოფლებში აშენდა. კრეატიულ არქიტექტორებს ერჩივნათ, დამკვეთები ყოფილიყვნენ კოლმეურნეები, რომლებსაც შეიძლებოდა შეეკვეთათ კარგად დაპროექტებული ადმინისტრაციული შენობები, საბავშვო ბაღები, კლუბები, კულტურული ცენტრები, საცხოვრებელი სახლები ან სხვა შენობები. დაგეგმარება სოფლად ნიშნავდა იმას, რომ არქიტექტორები ოდნავ ნაკლები იდეოლოგიური კონტროლის ქვეშ იქნებოდნენ და ეძლეოდათ ექსპერიმენტირების შესაძლებლობა.

საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებულ ნაგებობებს სხვადასხვა ბედი ეწია საზოგადოების შეცვლილი სოციალური იდეალებისა და ეკონომიკური საფუძვლების გამო. კომუნისტური ნომენკლატურის მაღალხარისხიან შენობებს ღრმა რეპუტაციული წმენდის გავლა მოუხდათ. მაგალითად, ტალინში კომუნისტური პარტიის მთავარი ადმინისტრაციული შენობის ინტერიერი სრულად გარდაიქმნა, რათა „მორალური დეზინფექცია“ გაევლო და გამოყენებულ ყოფილიყო, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა. მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებში კოლმეურნეობები საკმაოდ მდიდარი იყო, მათი უმეტესობა გაუქმდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც საბჭოთა ეკონომიკის არასასურველი ელემენტი. კოლმეურნეობების არქიტექტურული შედევრები სოფლებში, ხშირ შემთხვევებში, მიტოვებელ იქნა.

2007 წ. ესტონეთის მემკვიდრეობის ეროვნულმა საბჭომ, ესტონეთის არქიტექტურის მუზეუმმა და ესტონეთის ხელოვნების აკადემიამ დაიწყეს ესტონეთში მე-20 საუკუნის მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია[28]. ამ კვლევას გადამწყვეტი ბიძგი მისცა საბჭოთა ესტონეთის არქიტექტურის ერთ–ერთი სიმბოლოს – კომუნისტური პარტიის ყრილობათა ცენტრის, მოგვიანებით ტალინის საკალა კესკუსის სახელწოდებით ცნობილი ნაგებობის (არქიტექტორი – რაინე კარპი, 1985 წ.) დანგრევამ. ჯერ კიდევ მშენებლობის დროს მას დამცინავი მეტსახელები შეარქვეს, რათა ხაზი გაესვათ იმ კომუნისტური იდეოლოგიის უაზრობისთვის, რომლის სიმბოლოსაც წარმოადგენდა. იგი უაღრესად არაპოპულარული იყო, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ტალინის ცენტრში მდებარეობდა, დახურული იყო საზოგადოებისთვის. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საკალა კესკუსი კულტურულ ცენტრად გადაკეთდა და ბევრი ხალხმრავალი ღონისძიებისთვის უმასპინძლია. მისი ახალი მფლობელები შენობის დანგრევასა და კომბინირებული კულტურული და კომერციული ცენტრით მის ჩანაცვლებას გეგმავდნენ. ისინი მძიმე იდეოლოგიურ წარსულს დანგრევის არგუმენტად იყენებდნენ, რათა ქალაქის ცენტრიდან მოეშორებინათ ოკუპაციის მტკივნეული ნაშთი. მისი დანგრევის თანმხლებ დავას ახასიათებდა დაპირისპირება შენობის მიერ ახალი ეროვნული ღირებულებების განსახიერების აღიარებასა და იმ ძველი კომუნისტური ღირებულებების მიმართ ზიზღს შორის, რომლის სიმბოლოსაც იგი წარმოადგენდა. მხოლოდ მის დაგეგმილ დანგრევამდე ცოტა ხნით ადრე დაინტერესდა საზოგადოება შენობის ღირსებებით – მისი უნიკალური გეგმარებით, მაღალი ხარისხის მშენებლობით, ძვირადღირებული მასალებით და დეკორატიული ექსტერიერით, სადაც გამოყენებული იყო კირქვა – ესტონეთის ეროვნული ქვა. თუმცა, დანგრევის საწინააღმდეგო საპროტესტო მოძრაობამ მაინც მოახერხა, შეეძინა მნიშვნელოვანი მასშტაბები – ძალიან ხანმოკლე პერიოდში

28 XX sajandi arhitektuur, https://register.muinas.ee/public.php?menuID=generalinformation

შეგროვდა თითქმის 10 000 ხელმოწერა შენობის შესანარჩუნებლად, ჩატარდა სახალხო დემონსტრაცია და გაზეთებში გამოქვეყნდა არაერთი სტატია. ყველაფერი ამაო გამოდგა. თანამედროვე კომერციული ცენტრი, მასში ჩართული საკონცერტო და კინოდარბაზით, გვახსენებს კორუფციას ქალაქგეგმარებაში, რადგან დანგრევისა და ახალი კომერციული ცენტრის მშენებლობის პროცესში მოხდა რეგულაციებისა და ნებართვების გაცემის წესების არაერთგზის იგნორირება.

ესტონეთში მე-20 საუკუნის არქიტექტურის ინვენტარიზაცია დასრულდა ხუთ წელიწადში და შეფასებულ იქნა 2000-ზე მეტი ობიექტი (სამრეწველო ობიექტები, საოფისე და საჯარო შენობები, საცხოვრებელი სახლები, სამხედრო ობიექტები და სხვ.); მათგან დაახლოებით 10% ჩაითვალა ძეგლების ეროვნულ რეესტრში შეტანის კანდიდატად. დანარჩენი ობიექტების უმეტესობა ჩაითვალა ეროვნულ დონეზე აღიარებისა და დაცვის ღირსად. 2010 წლის შემდეგ რეესტრს დაემატა სულ 149 ახალი ძეგლი. მათგან 55 არის ნანგრევები, უმეტესად ზღვაში მდებარე, 35 კი არქეოლოგიური ობიექტია. 35 შეტანილია, როგორც მე-20 საუკუნის მემკვიდრეობის შედეგი: 18 ძეგლი დათარიღებულია მე-2 მსოფლიო ომის წინა პერიოდით; 4 – 1940-1950-იანი წლებით, ხოლო 15 წარმოადგენს საბჭოთა მოდერნიზმს და პოსტ-მოდერნიზმს. ამ 15-დან 6 (ორი ბიბლიოთეკა, ორი უნივერსიტეტის შენობა, თეატრი და სახანძრო სადგური) ეკუთვნის სახელმწიფო დაწესებულებებს, 4 (ორი ავტოსადგური და ორი კულტურული დარბაზი) წარმოადგენს მუნიციპალურ ქონებას, ხოლო დანარჩენი (ელექტროსადგური, სამი შენობისგან შემდგარი სადღესასწაულო კომპლექსი, ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული ცენტრი) კერძო მფლობელების ხელშია. ნუსხაში შეტანის პროცესი თანმიმდევრული და უწყვეტი იყო, თუმცა ნელა მიმდინარეობდა მფლობელებთან მოლაპარაკებების გამო, რომლებიც, ხშირ შემთხვევებში, ეწინააღმდეგებოდნენ ნუსხაში შეტანას შეზღუდვების შიშით. ინვენტარიზაციისა და ნუსხის შედგენის პროცესს ახლდა სარეკლამოკამპანია, რომელიც, ლექციებისა და სტატიების საშუალებით აღწერდა შენობების ისტორიულ ღირებულებას, ამა თუ იმ ობიექტის კონტექსტს და ისტორიის სხვადასხვა პერიოდის არტეფაქტების დაცვის მნიშვნელობას. ინვენტარიზაციის შედეგად მოეწყო ფართომასშტაბიანი გამოფენა ესტონეთის არქიტექტურის მუზეუმში და გამოიცა წიგნი „100 ნაბიჯი მეოცე საუკუნის ესტონეთის არქიტექტურაში“ (2013 წ.). ამას მოჰყვა კიდევ რამდენიმე გამოფენა და წიგნი როგორც აკადემიურ, ასევე ფართო საზოგადოების დონეზე. კამპანიამ ცხადყო, რომ მემკვიდრეობის სპეციალისტების მხრიდან ახსნა-განმარტებების გარეშე ადამიანები ვერ აცნობიერებენ ახლო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ელემენტების დაცვა-შენარჩუნების მნიშვნელობას, განსაკუთრებით, თუ მათ თან სდევს უარყოფითი მოგონებები ან მნიშვნელობა. ამგვარად, პროფესიონალებისთვის თითქმის სავალდებულოა, რომ ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ, რათა ამ ტიპის მემკვიდრეობის ფასეულობა განმარტონ. მაგალითად, შენობების მიმდინარე ინვენტარიზაციით ესტონეთის

უგალას მოდერნისტული თეატრი (ირინა რაუდი, ინგა ორავი, დასრულდა 1981 წ.)
ფოტო: მარტინ სიპლენე



უგალას მოდერნისტული თეატრის ინტერიერი (ირინა რაუდი, ინგა ორავი, დასრულდა 1981 წ.)
ფოტო: მარტინ სიპლენი

ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობა (რაინე კარპი, 1986-1992 წ.)
ფოტო: მარტინ სიპლენი

რაინე კარპის მიერ დაგეგმარებული და 1980 წ. ოლიმპიური თამაშებისთვის აგებული ლინაჰოლის მულტიფუნქციური ნაგებობა, შენობის ფასადის დაფარვა გრაფიტით, სექტემბერი 2017, ფოტო: დიანა ჰაფსალი

11 ურბანული კონსერვაციის არეალში, რომლებიც თავდაპირველად დაცული იყო იქ არსებული შუა საუკუნეების და/ან მე-18 – მე-19 საუკუნეების ფენების გამო, ყურადღება ექცევა მე-20 საუკუნის ღირსშესანიშნავ შენობებსაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნის არქიტექტურისა და ისტორიის ყველა ღირებული ძეგლის გარშემო დავა არ არის დაგეგმილი ეროვნულ დონეზე. თუმცა, კონსერვაციის აქტი ძეგლებს მხოლოდ ერთ – ეროვნულ – დონეზე არეგულირებს. მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ შესაძლებლობა, რომ არეგულირონ ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების დაცვა საოლქო ან მუნიციპალურ გენერალურ გეგმებში ან დეტალური გეგმების საშუალებით. მემკვიდრეობის ეროვნულმა საბჭომ დაუკვეთა რამდენიმე თემატური კვლევა. მე-20 საუკუნის ძეგლებიდან დამატებით შესწავლილ იქნა რკინიგზის არქიტექტურა, რძის ქარხნები, ისტორიული სკოლები, ქარის წისქვილები და ა. შ. და შედეგები ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღებაში დახმარების მიზნით დაეგზავნათ მუნიციპალიტეტებს. ასეთი სამუშაოს შედეგები განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით, გადაწყვეტილებების მიმღებთა პოლიტიკური ნებისა და განათლებაკვალიფიკაციიდან გამომდინარე.

მწვავე დებატები მიმდინარეობდა კერძო საკუთრების ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით. მფლობელები წინააღმდეგობას უწევდნენ ვალგერანას სადღესასწაულო ცენტრის ნუსხაში შეტანას, რომელიც თავდაპირველად კომუნისტური პარტიისთვის აშენდა (რაინე კარპი, მეელი ტრუუ და სხვ., 1983 წ.)დეტალური განხილვის შემდეგ 2020 წ. თებერვალში იგი შეიტანეს ნუსხაში. რაპლა კეკ ადმინისტრაციული შენობის (ტოომას რეინი, 1977 წ.) მესაკუთრეებმა ნუსხაში შეტანა სასამართლოში გაასაჩივრეს, თუმცა მათი საქმე არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვები არ ახდენდა მნიშვნელოვან ზემოქმედებას შენობის დაგეგმილ გამოყენებაზე.

ცნობიერების დონის ამაღლების თანმიმდევრული ღონისძიებებიდან გამომდინარე, ბოლო წლებში შეინიშნება ინვენტარიზაციიდან რესტავრაციამდე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც დადებითადაა აღქმული. უგალას მოდერნისტული თეატრის (ირინა რაუდი, ინგა ორავი, დასრულდა 1981 წ.), პატარა ქალაქ პაიდეში პოსტ-მოდერნისტული კულტურული ცენტრის (ჰანს კოლი, 1987 წ.) ფრთხილმა და ავთენტურობის პრინციპების გათვალისწინებით ჩატარებულმა რესტავრაციამ, ეროვნული ბიბლიოთეკის (რაინე კარპი, 1992 წ.) და ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (კალიუ ვალდრე, მარტ კალინგი, 1982 წ.) ნუსხაში შეტანამ იმოქმედა საზოგადოებრივ აზრზე ღირებულებებთან მიმართებაში. ეს მაგა-

ლითები მიგვითითებს სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების მდგრად აზროვნებაზე. თუმცა არსებობს მრავალი უარყოფითი მაგალითიც.

ერთ–ერთი ყველაზე საინტერესო შემთხვევაა რაინე კარპის მიერ დაგეგმარებული და 1980 წ. ოლიმპიური თამაშებისთვის აგებული ლინაჰოლის მულტიფუნქციური ნაგებობა. ლინაჰოლი ნათელი მაგალითია ეროვნული ძეგლების ნუსხაში ობიექტის შეტანისა (1997 წ.) მისი დაგეგმილი დანგრევის თავიდან ასაცილებლად. ლინაჰოლი ერთ–ერთი უდიდესი ნაგებობაა ტალინში და მდებარეობს ერთ–ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ რაიონში ძველ ქალაქსა და ზღვას შორის. ძნელი არ იყო საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება დანგრევის სასარგებლოდ ამ ნაგებობის ისტორიიდან გამომდინარე – იგი წარმოადგენდა ვ. ი. ლენინის სახელობის კულტურისა და სპორტის სასახლეს და საბჭოთა ეპოქის დასასრულისთვის დამახასიათებელი დაბალი ხარისხით იყო აშენებული. ქალაქმა შეამცირა მოვლა-პატრონობა და შენობა, ცუდი მდგომარეობის გამო, 2010 წ. დაიხურა საჯარო ღონისძიებებისთვის. 23 წლის განმავლობაში მხოლოდ მცირედი წინსვლაა მუნიციპალიტეტების ქმედებებში შენობის რესტავრაციის დაწყებასთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შენობის არსებობის აუცილებლობა აშკარაა.

მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობის გააზრებისკენ მიმართულმა თანმიმდევრულმა ქმედებებმა ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე. ამისდა მიუხედავად, 2017 წელს ერთ–ერთი საშუალო სამხატვრო სკოლის დირექტორმა დოლომიტით მოპირკეთებულ კედლებზე მასიური გრაფიტის დასახატად მოსწავლეები მოიწვია. დირექტორის მოწოდების უკან შენობის გალამაზების ამბიცია იდგა. მის თავდაპირველ მიზანს საზოგადოებრივ პრესაში გრაფიტის საჯარო პროპაგანდა წარმოადგენდა. ამ სცენარს, განვითარების შემთხვევაში შესაძლოა კრიტიკული სახე მიეღო, გალამაზების პრეცედენტს შეეძლო ემოქმედა ფართო საზოგადოების აზრზე. მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობის ადმინისტრაციის მიერ დაგმობის გამომხატველი შეტყობინება უფრო ადრე გამოქვეყნდა ვიდრე გრაფიტის პროპაგანდისკენ მიმართული განცხადებები, ახალი გრიფიტის მხარდამჭერი ადამიანების რაოდენობა განსაცვიფრებელად დიდი იყო. მემკვიდრეობის ეროვნულმა საბჭომ გრაფიტის დატანა დაცულ ძეგლზე დარღვევად გამოაცხადა და განაცხადა რომ ის უნდა მოხსნილიყო ფასადიდან. მუნიციპალიტეტის ორგანიზებული გაწმენდითი სამუშაოები 2018 წლის ივნისში ჩატარდა და ამისათვის გადასახადების გადამხდელთა ფულიდან 25,000 ევრო დაიხარჯა. კანონდარღვევის ფაქტს ჯერ კიდევ პოლიცია იძიებს. პროკურატურა შეეცადა სისხლის სამართლის საქმის დახურვას, იმ მოსაზრებით, რომ ეს არ იყო წინასწარ განზრახული კანონდარღვევა და რომ დირექტორს კეთილი ზრახვები ამოძრავებდა. ეროვნული მემკვიდრეობის საბჭო არ დაეთანხმა ამ დასკვნას. კანონდარღვევას ჯერ კიდევ იძიებს პოლიცია და დიდი ალბათობით საქმე საბოლოოდ სასამართლოს გადაეცემა.

რაინე კარპის მიერ დაგეგმარებული და 1980 წ. ოლიმპიური თამაშებისთვის აგებული ლინაჰოლის მულტიფუნქციური ნაგებობა, გრაფიტით დაფარული შენობის ფასადი, სექტემბერი 2017,
ფოტო: დიანა ჰაიფსალი

დანართები

1. მე-20 საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობის თემაზე გამოცემული პუბლიკაციები:

- D. Van Den Heuvel, M. Mesman, W. Quist, B. Lemmens (Eds.). The Challenge of Change: Dealing with the Legacy of the Modern Movement – Proceedings of the 10th International DOCOMOMO Conference. IOS Press BV, 2008
- Custance-Baker, Alice, Gina Crevello, Susan Macdonald, and Kyle Normandin. 2015. Conserving Concrete Heritage: An Annotated Bibliography. Los Angeles: Getty Conservation Institute. http://hdl.handle.net/10020/gci_pubs/concrete_biblio
- Macdonald, Susan, and Gail Ostergren, eds. 2013. Conserving Twentieth-Century Built Heritage: A Bibliography. 2nd ed. Los Angeles, CA: Getty Conservation Institute. http://hdl.handle.net/10020/gci_pubs/twentieth_centruy_built_heritage
- Thomas C. Jester. 2014. Twentieth-Century Building Materials: History and Conservation.
- http://www.getty.edu/conservation/publications_resources/books/20th_cent_building_materials.html
- https://www.docomomo.com/category/news/international/journal

2. მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები, მადრიდი – ნიუ დელის დოკუმენტი, იკომოსის (ICOMOS) მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის საერთაშორისო კომიტეტი, 2017 (არაოფიციალური ქართული თარგმანი)

ICOMOS

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო

მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის იკომოსის საერთაშორისო კომიტეტი

წინასიტყვაობა

XX საუკუნის რადიკალურმა ეკონომიკურმა, სოციალურმა, ტექნოლოგიურმა და პოლიტიკურმა განვითარებებმა წარმოქმნა უპრეცედენტო ცვლილებები. ორმა მსოფლიო ომმა, შემდეგმა ცივმა ომმა, დიდმა დეპრესიამ და დეკოლონიზაციამ ერთად მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოების წყობა მეოცე საუკუნის განმავლობაში. სწრაფმა ურბანიზაციამ და დიდი ქალაქების ზრდამ, დაჩქარებულმა ტექნოლოგიურმა და სამეცნიერო განვითარებამ, მასობრივი კომუნიკაციებისა და ტრანსპორტირების გაჩენამ ფუნდამენტურად შეცვალა ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის სტილი – ახალი შენობებისა და ნაგებობების წარმოება, ნაგებობების აქამდე არარსებული ტიპები და ფორმები, ექსპერიმენტული მასალების გამოყენება. ინდუსტრიალიზაციამ და მექანიზებულმა სოფლის მეურნეობამ შეცვალა ლანდშაფტები. და მაინც, შედარებით მწირია ასეთი მნიშვნელობის მოვლენების შედეგად შექმნილი ადგილები, რომლებიც აღრიცხული და დაცულია მათი მემკვიდრეობის ღირებულებისთვის. ამრიგად, მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ბევრი ადგილი და ძეგლი რისკის ქვეშ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მოდერნიზმის დაფასება ზოგიერთ რეგიონში იზრდება, ამ პერიოდისთვის სახასიათო შენობების, სტრუქტურების, კულტურული ლანდშაფტებისა და სამრეწველო ობიექტების სპექტრი, მაინც საფრთხის ქვეშ დგას ზოგადი ცნობიერებისა და აღიარების არარსებობის გამო. ხშირად ისინი ხელახალი განვითარების, შეუფერებელი ცვლილების ან უბრალოდ უგულებელყოფის წნეხს განიცდიან.

ამ საფრთხეების გათვალისწინებით, 2010 წელს ICOMOS–ის მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრებმა (ISC20C) დაიწყეს სარეკომენდაციო ტექსტის შედგენა, რომელშიც მოცემულია ის მიდგომა და პრინციპები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილებისა და ძეგლების მართვისა და ინტერპრეტაციისთვის. ამბიციური მიზანი იყო საერთაშორისო სტანდარტის დადგენა.

გაიმართა აქტიური დებატები კომიტეტის წევრებს შორის მათი მსოფლიოს ყველა რეგიონში დაგროვილი პრაგმატული გამოცდილების საფუძველზე. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები, შეხვედრები და კონსულტაციები. დასკვნითი ტექსტი სათაურით: მეოცე საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიდგომები, რომელსაც შემოკლებით მადრიდის დოკუმენტს უწოდებენ, წარმოდგენილ იქნა პარიზში ICOMOS-ის მე-17 გენერალურ ასამბლეაზე და გავრცელდა ესპანურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე კომენტარისა და განხილვისთვის. 2011-2014 წლებში იგი ითარგმნა ათზე მეტ ენაზე, მათ შორის რუსულ, იტალიურ, ფინურ, გერმანულ, იაპონურ, პორტუგალიურ, ჩინურ, ჰინდი, ბასკურ და კატალანურზე. რაც ადასტურებს ამ დოკუმენტის საერთაშორისო სახელმძღვანელოდ საჭიროებას.

მიღებული კომენტარების განხილვის შემდეგ ICOMOS-ის მე-18 გენერალურ ასამბლეაზე, ფლორენციაში, გამოიცა მეორე გამოცემა ოთხ ენაზე, თუმცა აშკარა იყო, რომ ძირეული რედაქტირება – და ახალი სათაური – აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ამ დოკუმენტში გათვალისწინებული ყოფილიყო მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის სხვა ისეთი ტიპოლოგიები, როგორებიცაა: კულტურული ლანდშაფტები, ინდუსტრიული ადგილები და ურბანული არეალები. თანამშრომლობა ICOMOS-ის კულტურული ლანდშაფტების საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტთან (ISCCL), ICOMOS-ის ისტორიული ქალაქებისა და სოფლების საერთაშორისო კომიტეტთან (CIVVIH), ინდუსტრიული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ტექნიკურ კომიტეტთან (TICCIH) და ენერგეტიკის, მდგრადობისა და კლიმატის ცვლილების ICOMOS-ის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტთან (ISCES+CC) შედეგიანად დასრულდა და დოკუმენტმა მოიცვა მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ძეგლების სრული ფართო სპექტრი.

მესამე ვერსია, მიდგომები მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის წარმოდგენილი იქნება ICOMOS-ის მე-19 გენერალურ ასამბლეაზე, დელიში, 2017 წლის დეკემბერში. მასში გათვალისწინებულია 2014-17 წლების საკონსულტაციო პერიოდში მიღებული შენიშვნები და მონაცემები. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ პროცესში.

ჩვენ ვურჩევთ ყველას, ვისაც მსოფლიოს მასშტაბით ევალება მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილების მართვა და პოპულარიზაცია, გამოიყენოს მიდგომები მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის, როგორც საერთაშორისო სახელმძღვანელო და საორიენტაციო სტანდარტი მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ძეგლების შენარჩუნებისა და მართვისთვის.

შერიდან ბურკი
პრეზიდენტი, ICOMOS ISC20C
ნოემბერი, 2017

მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები 2017

დოკუმენტის მიზანი

მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილებისა და ღირსშესანიშნაობათა კონსერვაციისა და მართვის ვალდებულება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც წინა საუკუნეების მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობა საფრთხეშია დაფასებისა და ზრუნვის ნაკლებობის გამო. უკვე ბევრია დაკარგული და უფრო მეტს საფრთხე ემუქრება. ეს არის ცოცხალი, განვითარებადი მემკვიდრეობა და აუცილებელია მისი კარგად გაგება, დაცვა, ინტერპრეტაცია და სწორი მართვა მომავალი თაობებისთვის.

მიდგომები მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის მოწოდებულია, წვლილი შეიტანოს ამ მნიშვნელოვანი პერიოდის კულტურული მემკვიდრეობის სათანადო და საპატიო მართვაში. აღიარებს რა მემკვიდრეობის კონსერვაციის არსებულ დოქტრინებს, მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები გამოავლენს იმ მრავალ საკითხს, რომლებიც სპეციფიკურად ახლავს მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის შენარჩუნებას. იგი მოიცავს მემკვიდრეობის ტიპების ფართო სპექტრს, ჩვეულებრივ, დაცვის ღირსად აღიარებულს, როგორებიცაა: არქიტექტურა, ნაგებობები, ხალხური და სამრეწველო მემკვიდრეობა, კულტურული ლანდშაფტები ისტორიული პარკებისა და ბაღების ჩათვლით, ისტორიული ურბანული ლანდშაფტები, კულტურული მარშრუტები და არქეოლოგიური ძეგლები.

ეს დოკუმენტი გამოსაყენებლად განკუთვნილია ყველასთვის, ვინც მონაწილეობს მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის პროცესებში, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილებსა და ღირსშესანიშნაობებზე.

განმარტებები ჩართულია საჭიროებისამებრ, ხოლო ტერმინების ლექსიკონი მოცემულია დოკუმენტის ბოლოს.

განავითარე კულტურული მნიშვნელოვნების ცოდნა და აღქმა

მუხლი 1: კულტურული მნიშვნელოვნების გამოვლენა და შეფასება

1.1: გამოიყენეთ მემკვიდრეობის გამოვლენისა და შეფასების აღიარებული კრიტერიუმები

მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვნების გამოვლენისა და შეფასებისას უნდა გამოიყენოთ მემკვიდრეობის მიღებული კრიტერიუმები. ამ კონკრეტული საუკუნის კულტურული მემკვიდრეობა (მისი ყველა ელემენტის ჩათვლით) მისი ეპოქის, ადგილმდებარეობისა და გამოყენების დამადასტურებელი ფიზიკური დოკუმენტია. მისი კულტურული მნიშვნელოვნება შეიძლება გამოიხატებოდეს მის მატერიალურ თვისებებში, მათ

შორის ფიზიკურ მდებარეობაში, ხედებში, დიზაინში (მაგალითად: ფორმა და სივრცითი ურთიერთობები; ფერთა გამა და კულტურულად მნიშვნელოვანი ნარგავები; სამშენებლო სისტემები, სტრუქტურა/წყობა, ტექნიკური მოწყობილობა და ესთეტიკური თვისებები). ღირებულება შეიძლება ასევე გამოიხატებოდეს გამოყენების, ისტორიულ, სოციალურ, სამეცნიერო ან სულიერ ასოციაციებში ან შემოქმედებითი გენის ან/და მისი არამატერიალური ღირებულებების მტკიცებულებებში.

1.2: გამოავლინე და შეაფასე ცალკეული შენობების, ნაგებობათა ჯგუფებისა და კულტურული და ისტორიული ურბანული ლანდშაფტების მნიშვნელოვნება

მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის გასაგებად მნიშვნელოვანია მისი ყველა ელემენტის, დაკავშირებული ან მომიჯნავე ადგილების ჯგუფების ან მასთან დაკავშირებული კულტურული და ისტორიული ურბანული ლანდშაფტების გამოვლენა და შეფასება, მათ შორის ადამიანებს, გარემოსა და ადგილს შორის ურთიერთკავშირების დადგენა, რომელიც განსაზღვრავს მის ღირებულებას.

1.3: გამოავლინე და შეაფასე ინტერიერის, აქსესუარების, თანმხლები ავეჯისა და ხელოვნების ნიმუშების, კოლექციების, აღჭურვილობისა და სამრეწველო დანადგარების მნიშვნელოვნება

მნიშვნელოვნების გასაცნობიერებლად ასევე აუცილებელია ინტერიერის, აქსესუარებისა და თანმხლები ავეჯის, ხელოვნების ნიმუშების, კოლექციების, ინდუსტრიულ ძეგლებთან და კულტურულ ლანდშაფტებთან კი თანმხლები აღჭურვილობისა და დანადგარების გამოვლენა და შეფასება.

1.4: აღიარე და პატივი ეცი საინჟინრო სიახლეს, ფორმებს, სამშენებლო ტექნოლოგიებსა და მასალებს

მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი იყო ინოვაციური ფორმების, სტრუქტურული გადაწყვეტების, სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის დანერგვა. სწორედ მათი გამოვლენა და მათი მნიშვნელოვნების შეფასებაა საჭირო.

1.5: გამოავლინე და შეაფასე გარემოს მნიშვნელობა

იმის გასაგებად, თუ რა როლს თამაშობს კონტექსტი მემკვიდრეობის ადგილისა თუ ძეგლის ღირებულების ჩამოყალიბებაში, უნდა მოხდეს მისი გარემოსii განსაზღვრა და შეფასება. გარემოში იგულისხმება არა მხოლოდ ხელშესახები, უშუალო ფიზიკური გარემოცვა, არამედ ადგილს ან ძეგლსა და მის გარემოს შორის არსებული კავშირები და ურთიერთქმედება (მაგალითად: ვიზუალური, ეკოლოგიური, ისტორიული, სივრცული). მემკვიდრეობის ადგილები შეიძლება იყოს კომპლექსური სისტემის ნაწილი, სადაც კავშირები ვრცელდება ცალკეული ადგილების ან ძეგლების საზღვრებს მიღმა.

1.6: გამოავლინე და შეაფასე მნიშვნელოვანი გეგმარებითი კონცეფციები და ინფრასტრუქტურა

ურბანული დასახლებებისთვის, ინდუსტრიული ძეგლებისა და ისტორიული ურბანული ლანდშაფტებისთვის უნდა გამოვლინდეს სხვადასხვა გეგმარებითი კონცეფცია, მეთოდი და იდეა, რომლებიც შეესაბამება განვითარების თითოეულ ეტაპს (მათ შორის იმ უმთავრესი ინფრასტრუქტურის ჩათვლით, რომელიც ხელს უწყობდა მის ფუნქციონირებას, მაგალითად: ელექტროენერგია, წყალი და კანალიზაცია) და უნდა მოხდეს მათი მნიშვნელოვნების აღიარება, მართვა და დაცვა.

1.7: პროაქტიურად შეასრულე მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია

მეოცე საუკუნის მემკვიდრეობა პროაქტიურად უნდა იქნას გამოვლენილი და შეფასებული სისტემატიურად წარმოებული დოკუმენტაციისა და ინვენტარიზაციის გზით, რომელსაც უნდა უსწრებდეს მრავალპროფილური ჯგუფების მიერ ჩატარებული საფუძვლიანი კვლევები. დოკუმენტაციამ და ინვენტარიზაციამ უნდა შექმნას საფუძველი მათი დაცვის, კონსერვაციისა და მართვისთვის, აგრეთვე მემკვიდრეობაზე ზეგავლენის შეფასებისთვის, რომელსაც აწარმოებენ პასუხისმგებელი მხარეები, დაგეგმარებისა და მემკვიდრეობის ოფიციალური უწყებები.

1.8: კულტურული მნიშვნელოვანების დასადგენად გამოიყენეთ შედარებითი ანალიზი

მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის მნიშვნელოვნების შეფასებისას, უნდა გამოვლინდეს და შეფასდეს მემკვიდრეობის შედარებადი ადგილები ან ძეგლები იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ფარდობითი მნიშვნელოვნების გაანალიზება და გაგება.

კონსერვაციის დაგეგმვის პროცესების განხორციელება

მუხლი 2: გამოიყენეთ კონსერვაციის დაგეგმვისა და მართვის მართებული მეთოდოლოგია

2.1: მთლიანობის შესანარჩუნებლად ნებისმიერ ჩარევამდე აუცილებელია მნიშვნელოვნების გაგება

მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ადგილების მთლიანობაზე არ უნდა ახდენდეს გავლენას შეუფერებელი ცვლილებები ან ჩარევები. შესაძლო საზიანო ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე შემცირებისა და შერბილების მიზნით, საჭიროა ადგილის ან ძეგლის ისტორიისა და ღირებულების კომპეტენტური კვლევა, დოკუმენტაცია და ანალიზი.

იმის გასაგებად, თუ როგორ არის გამომჟღავნებული კულტურული მნიშვნელოვნება მეოცე საუკუნის მემკვიდრეობაში, საჭიროა შეფასდეს, თუ რა წვლილი შეაქვთ სხვადასხვა ატრიბუტს, ელემენტსა და ფასეულობას ამ მნიშვნელოვნებაში. ეს, თავის მხრივ, აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები მისი მოვლის, ინტერპრეტაციისა და მისი ავთენტურობისა და მთლიანობის კონსერვაციაზე. ადგილები და ძეგლები ფორმირდება დროთა განმავლობაში და გვიანდელ გადაკეთებებს შეიძლება ჰქონდეთ კულტურული მნიშვნელოვნება. მემკვიდრეობის ადგილთან ან ინდივიდუალურ ძეგლთან მიმართებაში შეიძლება საჭირო გახდეს კონსერვაციის სხვადასხვა მიდგომისა და მეთოდის გამოყენება.

2.2: მაქსიმალურად გამოიყენეთ პირველადი წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვების პოტენციალი

XX საუკუნეში შეიქმნა ვრცელი დოკუმენტაცია, რაც შესაძლებელი გახდა ტექნოლოგიური წინსვლის შედეგად. ღირებულების შეფასებებისთვის, მნიშვნელოვანია ამ წყაროების გამოყენება ადგილის ან ძეგლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას.

ზოგიერთ შემთხვევაში პირვანდელ დიზაინერს, მშენებელს, დამგეგმარებელს, კლიენტს ან საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან ადგილის შექმნასთან, შეიძლება შეეძლოთ პირველადი ინფორმაციის მოწოდება. თუკი ეს შესაძლებელია, ყოველთვის უნდა გამოიყენოთ იგი, უნდა ვეცადოთ, მათგან მივიღოთ ინფორმაცია, სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია, უნდა ჩავწეროთ ზეპირი ისტორიები. ამ ინფორმაციამ უნდა გაამყაროს ღირებულების გააზრება, თუმცა შემქმნელთა შეხედულებების გათვალისწინებისას საჭიროა სიფრთხილე. ყურადღებით უნდა შევაფასოთ თავდაპირველი პროექტის იდეა და ფრთხილად შევადაროთ არსებულ ფიზიკურ მდგომარეობას, რათა უზრუნველვყოთ ყველა იმ ფასეულობის გათვალისწინება, რამაც შექმნა მნიშვნელოვნება.

2.3: სამუშაოს დაწყებამდე გამოიყენეთ დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც შეაფასებს კულტურულ მნიშვნელოვნებას და უზრუნველყოფს რეკომენდაციებს მისი შენარჩუნებისა და დაცვისთვის

მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის მნიშვნელოვნების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია უნდა პასუხობდეს შესაფერისი კონსერვაციის დაგეგმვის მიდგომას. ეს მოიცავს ვრცელ ისტორიულ კვლევას და მნიშვნელოვნების შეფასებას, ისეთი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც უზრუნველყოფს გამოვლენილი კულტურული მნიშვნელოვნების კონსერვაციას, მართვასა და ინტერპრეტაციას. აუცილებელია, რომ ამგვარი შეფასებები დასრულდეს ჩარევებამდე, რათა უზრუნველვყოთ, რომ შემდგომი განვითარება და ცვლილებები სპეციფიკური საკონსერვაციო პოლიტიკით წარიმართება. უნდა მომზადდეს კონსერვაციის /მართვის გეგმა. შეიძლება გამოყენებულ იქნას მემკვიდრეობის რეგიონალური ქარტიები და ძეგლზე მორგებული კონსერვაციის დეკლარაციები. iii

2.4: დაადგინეთ მისაღები ცვლილების საზღვრები

იმისთვის, რომ დადგინდეს ცვლილების მისაღები ზღვარი ყოველი განვითარების ან საკონსერვაციო ქმედებისთვის, ნებისმიერი ჩარევის წინ უნდა შემუშავდეს მკაფიო პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები. კონსერვაციის/მართვის გეგმამ უნდა განსაზღვროს მემკვიდრეობის ადგილის ან ძეგლის მნიშვნელოვანი ნაწილები, რა სისუსტეები ახდენს მასზე გავლენას, ის ადგილები, სადაც შესაძლებელია ჩარევა, ადგილის ოპტიმალური გამოყენება და გასატარებელი კონსერვაციის ღონისძიებები. მან უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული პრინციპები

(მაგალითად: არქიტექტურული, დაგეგმვის, სტრუქტურული და ა. შ.) და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენეს მეოცე საუკუნეში.

2.5: გამოიყენეთ ინტერდისციპლინარული ექსპერტიზა

მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის კონსერვაციის დაგეგმვა და მართვა მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას, კულტურული მნიშვნელოვნების ყველა თვისებისა და ღირებულების გათვალისწინებით. შეიძლება, საჭირო იყოს თანამედროვე კონსერვაციის ტექნოლოგიისა და მასალათმცოდნეობის სპეციალისტების ჩართვა, რათა ჩაატარონ სპეციფიკური კვლევა, მეოცე საუკუნის მემკვიდრეობაში არატრადიციული მასალებისა და მშენებლობის მეთოდების გამოყენებისა და გავრცელების კუთხით. კონსერვაციის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ ცოდნა ისეთ სპეციფიკურ ტიპოლოგიაში, როგორიცაა: ინდუსტრიული მემკვიდრეობა, კულტურული და ისტორიული ურბანული ლანდშაფტები და ა. შ.

2.6: დაგეგმე მოვლა-პატრონობა და მართვის პროცესი

ყველა კულტურული მემკვიდრეობის ადგილისა და ძეგლის მიმდინარე მართვის პროცესში მნიშვნელოვანია დაიგეგმოს რეგულარული პრევენციული მოვლა-პატრონობა. უწყვეტი და შესაფერისი მოვლა-პატრონობა და პერიოდული შემოწმება ყოველთვის საუკეთესო საკონსერვაციო ქმედებაა ნებისმიერ მემკვიდრეობის ადგილსა ან ძეგლთან მიმართებაში და ამცირებს გრძელვადიანი შეკეთების ხარჯებს. მოვლა-პატრონობის გეგმა ხელს შეუწყობს ამ პროცესს. კულტურულ და ისტორიულ ურბანულ ლანდშაფტებს სჭირდება მართვის გეგმა, რათა მნიშვნელოვნების შენარჩუნების მიზნით მართოს უწყვეტი ევოლუციისა და ცვლილებების პროცესები.

შეიძლება ასევე საჭირო გახდეს გადაუდებელი სტაბილიზაციის სამუშაოები, ხოლო შეფასება და შემდგომი სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილი პროფესიონალების მიერ ისე, რომ შემცირდეს გავლენა მის მნიშვნელოვნებაზე.

2.7: დაადგინეთ საკონსერვაციო სამუშაოებზე პასუხისმგებელი მხარეები

მნიშვნელოვანია იმ მხარეების იდენტიფიცირება, რომლებიც პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან მეოცე საუკუნის კულტურულ მემკვიდრეობაზე ჩასატარებელ საკონსერვაციო სამუშაოებზე. ესენი შეიძლება იყვნენ მეპატრონეები, უძრავი ქონების მენეჯერები, მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი ორგანოები, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული თემები, სახელმწიფო უწყებები, ადგილობრივი თვითმმართველობები, ქალაქის დაგეგმარების უწყებები, მოსარგებლეები და სხვ.

2.8: საარქივო მასალები და დოკუმენტაცია

მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილებსა თუ ძეგლებზე ცვლილებების შეტანისას მნიშვნელოვანია ამ ცვლილებებზე ანგარიშების წარმოება საჯარო არქივებისთვის. დოკუმენტაციის წარმოების ფორმები შეიძლება მოიცავდეს რუკებს, ფოტოგრაფიას, აზომვით ნახაზებს, ზეპირ ისტორიებს, ლაზერულ სკანირებას, 3D მოდელირებასა და აღნუსხვის სხვადასხვა ტიპს. აგრეთვე, სამრეწველო ობიექტებში ინდუსტრიული დანადგარების აღნუსხვის პროცესს, გარემოებებიდან გამომდინარე. საარქივო კვლევა კონსერვაციის დაგეგმვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. მფლობელები უნდა იქნენ წახალისებულნი, შეინარჩუნონ არქივები და ხელმისაწვდომი გახადონ კონსერვაციისთვის.

ყოველი ჩარევისას სათანადოდ დოკუმენტირებული უნდა იყოს ცალკეული ადგილის ან ძეგლის თავისებურებები და განხორციელებული ქმედებები. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს მდგომარეობის ფიქსაციას ჩარევამდე – პროცესში და ჩარევის შემდეგ. ასეთი დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს უსაფრთხო ადგილას და თანამედროვე კვლავწარმოებად საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს ხელს შეუწყობს ადგილის ან ძეგლის წარდგენასა და ინტერპრეტაციას, რაც თავისთავად გაუმჯობესებს ძეგლის უკეთ გააზრებას და უზრუნველყოფს მომხმარებლისა და დამთვალიერებლების მიერ ადგილის სასიამოვნო გამოყენებას. კულტურული მემკვიდრეობის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია, ისევე როგორც სხვა საინვენტარიზაციო მასალა და დოკუმენტაცია, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს დაინტერესებული პირებისთვის.

გამოიკვლიე თანამედროვე ფაქტობრივი მდგომარეობა და ფიზიკური ვეგმარება

მუხლი 3: გამოიკვლიე მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ტექნიკური და გეგმარებითი ასპექტები

3.1: გამოიკვლიე და განავითარე მეოცე საუკუნის უნიკალური სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო ტექნიკის შესაბამისი შეკეთების სპეციფიკური მეთოდები

მეოცე საუკუნის სამშენებლო მასალები და სამშენებლო ტექნიკა ხშირად შეიძლება განსხვავდებოდეს წარსულის ტრადიციული მასალებისა და მეთოდებისგან. საჭიროა სპეციფიკური შეკეთების მეთოდების კვლევა და დამუშავება, რომლებიც კონკრეტული ნაგებობის ტიპის შესაფერისი იქნება. მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ზოგიერთი მახასიათებელი, განსაკუთრებით საუკუნის შუიდან შექმნილი ადგილებისა ან ძეგლების შემთხვევაში, შეიძლება განაპირობებდეს სპეციფიკურ კონსერვაციულ გამოწვევებს, ახალი ან ექსპერიმენტული მასალებისა და მშენებლობის მეთოდების გამოყენების გამო, ან, უბრალოდ, მათი შეკეთებისთვის საჭირო სპეციფიკური პროფესიული გამოცდილების არარსებობის გამო. თუ საჭირო გახდა ორიგინალური/მნიშვნელოვანი დეტალების მოხსნა, მაშინ აუცილებელია ამ დეტალების დოკუმენტირება და ნიმუშების შენახვა.

ნებისმიერ ჩარევამდე, მასალები უნდა იქნას კარგად გამოკვლეული და ნებისმიერი ხილული და უხილავი ზიანი – გამოვლენილი და ამოცნობილი. ზოგიერთ ექსპერიმენტულ მასალას შეიძლება ჰქონდეს უფრო მოკლე სიცოცხლის ხანგრძლივობა, ვიდრე ტრადიციულ მასალებს და საჭიროა მათი საფუძვლიანი ანალიზი. მასალების მდგომარეობისა და დაზიანების გამოძიება უნდა განხორციელდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მიერ, არადესტრუქციული და ყურადღებით გააზრებული არაინვაზიური მეთოდების გამოყენებით. ანალიზის დესტრუქციული მეთოდი აბსოლუტურ მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. შეიძლება საჭირო გახდეს მეოცე საუკუნის მასალების „დაძველების“ ფრთხილი კვლევა.

3.2: გამოიკვლიეთ და შეიმუშავეთ მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბებული ახალი გეგმარებითი მეთოდების შესაფერისი მიდგომა

მეოცე საუკუნეში ქალაქური ცხოვრებისა და ქალაქის დიზაინის მრავალი ახალი და ექსპერიმენტული ფორმა განვითარდა. კულტურული და ისტორიული ურბანული ლანდშაფტების ღირებულების შესანარჩუნებლად კონსერვაციის პოლიტიკა და განვითარების რეგულაციები უნდა უზრუნველყოფდეს ამ სპეციფიკური დაგეგმვის სქემებისა და მეთოდების კონსერვაციას.

მუხლი 4: შეიმუშავეთ პოლიტიკა მნიშვნელოვნების შესანარჩუნებლად

4.1 ადგილის კულტურული მნიშვნელოვნების კონსერვაციისთვის და შესანარჩუნებლად შეიმუშავეთ კვლევაზე დაფუძნებული კონსერვაციის პოლიტიკა და გამოიყენეთ ის ცვლილებების მართვის გადაწყვეტილების მიღებისას.

მართეთ ცვლილება კულტურული მნიშვნელოვნების შესანარჩუნებლად

მუხლი 5: ამოიცანით და მართეთ ცვლილებების მუდმივი წნეხი

5.1: კულტურული მნიშვნელოვნების, ავთენტურობისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად ცვლილებების მართვა კონსერვაციის პროცესის არსებითი ნაწილია, მიუხედავად იმისა ეს ცვლილება ადამიანის ჩარევისა თუ გარემოს ზემოქმედების შედეგია.

ზოგჯერ ცვლილებები აუცილებელია მემკვიდრეობის ადგილის ან ძეგლის შესანარჩუნებლად. ინდივიდუალურმა ჩარევებმა და ამით გამოწვეულმა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კულტურულ მნიშვნელოვნებაზე. იქ, სადაც ცვლილება აუცილებელია, უნდა მოხდეს მისი ზემოქმედების შეფასება და მონიტორინგი ადგილის მთლიანობასა და ავთენტურობაზე.

მუხლი 6: ფრთხილად მართეთ ცვლილება

6.1: სიფრთხილით მიუდექით ცვლილებებს

გააკეთეთ მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭიროა და რაც შეიძლება ნაკლები. ნებისმიერი ჩარევა უნდა მოხდეს სიფრთხილით. ცვლილებების მოცულობა და ინტენსიურობა უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი. გამოიყენეთ შეკეთების მხოლოდ გამოცდილი მეთოდები და თავი აარიდეთ ისეთ მეთოდს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ისტორიულ ქსოვილსა და კულტურულ მნიშვნელოვნებას; შეკეთება უნდა განხორციელდეს ყველაზე ნაკლებად ინვაზიური საშუალებების გამოყენებით. ცვლილებები უნდა იყოს მაქსიმალურად შექცევადი.

შეიძლება განხორციელდეს ერთეული ჩარევები, რომლებიც აუმჯობესებენ ადგილის ან ძეგლის ფუნქციონირებას იმ პირობით, რომ ეს არ იმოქმედებს უარყოფითად მის კულტურულ მნიშვნელოვნებაზე. თუკი განიხილება ფუნქციის ცვლილება, საჭიროა ზრუნვა იმაზე, რომ იპოვოთ შესაფერისი ახალი გამოყენება, რომელიც შეინარჩუნებს კულტურულ მნიშვნელოვნებას.

6.2: ვიდრე დაიწყება სამუშაოები, შეაფასეთ შემოთავაზებული ცვლილებების ზემოქმედება მემკვიდრეობაზე საკონსერვაციო პოლიტიკასთან მიმართებაში და შეეცადეთ, თავიდან აიცილოთ ან შეამციროთ უარყოფითი ზემოქმედება

საჭიროა ადგილის კულტურული მნიშვნელოვნების განსაზღვრა და გაგება, რათა ცვლილებების შეთავაზებები მინიმუმამდე ამცირებდეს ან თავიდან იცილებდეს უარყოფით ზემოქმედებას. ცვლილებები შეიძლება განსხვავებულად ზემოქმედებდნენ სხვადასხვა ელემენტზე, თვისებასა და ფასეულობაზე, რაც უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს მანამ, სანამ შემუშავდება ადაპტაციის ან ცვლილების წინადადება, რათა მოხდეს ადგილის კულტურული მნიშვნელოვნების მართვა და დაცვა.

6.3: მშენებლობის სტანდარტებისა და მარეგულირებელი კოდექსების გამოყენება მოითხოვს მოქნილ და ინოვაციურ მიდგომებს, მემკვიდრეობის შენარჩუნების სათანადო გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად

კულტურული მნიშვნელობის შესანარჩუნებლად შეიძლება, საჭირო გახდეს სტანდარტების სამართლებრივი და სამშენებლო კოდექსების (მაგ.: ხელმისაწვდომობის მოთხოვნები, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმები, ხანძრის უსაფრთხოების მოთხოვნები, სეისმური ნორმის განახლება, ლანდშაფტის მოთხოვნები, საგზაო მოძრაობის მართვა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებები) მიღება და საფუძვლიანი ანალიზი. მოლაპარაკებები შესაბამის ხელისუფლებასთან და ექსპერტებთან მიზნად უნდა ისახავდეს მემკვიდრეობაზე არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილებას ან შემცირებას. თითოეული შემთხვევა უნდა შეფასდეს მისი ინდივიდუალური ფასეულობიდან გამომდინარე.iv

მუხლი 7: შეიმუშავეთ ფრთხილი მიდგომა დამატებებისა და ჩარევებისთვის

7.1: დამატებისას საჭიროა გავუფრთხილდეთ მემკვიდრეობის ადგილის ან ძეგლის კულტურულ მნიშვნელოვნებას

ადგილის ან ძეგლის მდგრადობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ჩარევა (მაგალითად: შენობაზე ან ბაღში დამატება, ურბანულ ქსოვილში ახალი შენობის განთავსება და ა. შ.). გულმოდგინე შესწავლის შემდეგ ახალი დანამატები უნდა დაპროექტდეს ისე, რომ დაიცვან ადგილის ან ძეგლის მასშტაბი, განლაგება, კომპოზიცია, პროპორცია, სტრუქტურა, ლანდშაფტი, მასალები, ტექსტურა და ფერი. დამატება უნდა იყოს ხილულად ახალი, შემოწმებისთანავე ამოცნობადი, მაგრამ არსებულთან ჰარმონიულად უნდა თანაარსებობდეს; ისინი უნდა ავსებდნენ ერთმანეთს და არ ეჯიბრებოდნენ, ერთმანეთს უნდა განსაზღვრავდნენ და არ ბაძავდნენ.

7.2: ახალი ჩარევები ისე უნდა შემუშავდეს, რომ გაითვალისწინოს ძეგლის/ადგილის არსებული ხასიათი, მასშტაბი, ფორმა, განლაგება, ლანდშაფტი, მასალები, ფერი, პატინა და დეტალები.

წინამორბედი ნარგავების, შენობების ფრთხილი შესწავლა და მათი დიზაინის გააზრებული ინტერპრეტაცია შეიძლება გამოსადეგი იყოს შესაბამისი პროექტის შემუშავებაში. თუმცა, კონტექსტუალური დიზაინის შექმნა არ ნიშნავს იმიტაციას.

მუხლი 8: გაათვითცნობიერეთ, რა როლი აქვს ფუნქციას ძეგლის/ადგილის მნიშვნელოვნებაში და მართეთ შესაბამისად

თუ ფუნქცია მნიშვნელოვანია ადგილის ან ძეგლის მნიშვნელოვნების განსაზღვრაში, კონსერვაციამ მიზნად უნდა დაისახოს შეძლებისდაგვარად ფუნქციის შენარჩუნება. თუკი ადგილის შესანარჩუნებლად მას ახალი ფუნქცია მიენიჭა, ხოლო თავდაპირველი ფუნქციის წვლილი ღირებულია კულტურული მნიშვნელოვნების განსაზღვრაში, ეს ნათლად უნდა წარმოჩინდეს.

მუხლი 9: პატივი ეცით ადგილის ან ძეგლის ავთენტურობასა და მთლიანობას

9.1: ჩარევებმა უნდა გაუმჯობესოს და შეინარჩუნოს კულტურული მნიშვნელოვნება

მნიშვნელოვანი ელემენტები უნდა შეკეთდეს ან აღდგეს, ვიდრე მოხდეს მათი რეკონსტრუქცია. სასურველია მნიშვნელოვანი ელემენტების სტაბილიზაცია, გამაგრება და შეკეთება, ვიდრე მათი ჩანაცვლება. ჩანაცვლებული მასალები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მსგავსი, მაგრამ უნდა მოინიშნოს და გამოირჩეს როგორც ახალი.

სრულად დაკარგული მემკვიდრეობის ადგილების ან მათი მნიშვნელოვანი ელემენტების რეკონსტრუქცია არ წარმოადგენს კონსერვაციის ღონისძიებას და არ არის რეკომენდებული. თუმცა, მცირედ რეკონსტრუქციას, თუკი ის გამყარებულია დოკუმენტაციით, შეუძლია ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის ადგილის ან ძეგლის მთლიანობას და/ან მის შეცნობას.

9.2: პატივი ეცით ცვლილებების მნიშვნელოვანი ფენების ღირებულებასა და დროის პატინას

ადგილის ან ძეგლის, როგორც ისტორიული მტკიცებულების, კულტურული მნიშვნელოვნება უპირატესად ემყარება მის პირვანდელ ან მნიშვნელოვან მატერიალურ ატრიბუტებს ან/და მის არამატერიალურ ფასეულობებს, რომლებიც განსაზღვრავენ მის ავთენტურობას. თუმცა, მემკვიდრეობითი ადგილის ან ძეგლის, ან გვიანდელი ჩარევების, მიშენებების, ლანდშაფტის ელემენტების ან ახალი ელემენტების კულტურული ღირებულება არ არის დამოკიდებული მხოლოდ მათ ასაკზე. მოგვიანებით განხორციელებული ცვლილებები, რომლებმაც საკუთარი კულტურული ღირებულება შეიძინეს, უნდა ვაღიაროთ და გავითვალისწინოთ კონსერვაციის ან განვითარების გადაწყვეტილებების მიღებისას.

დროთა განმავლობაში განხორციელებული ყველა ჩარევისა და ცვლილების ფონზე, ასაკი ხილული უნდა იყოს და გამოხატული შესაბამის პატინაში. ეს პრინციპი მნიშვნელოვანია მეოცე საუკუნეში გამოყენებული მასალების უმეტესი ნაწილისთვის.

შემადგენლობა, უძრავი გარნიტურები, დეტალები, სამანქანო დანადგარები, აპარატურა, ხელოვნების ნამუშევრები, ნარგავები ან ლანდშაფტის ელემენტები, რომელთაც წვლილი შეაქვთ კულტურულ მნიშვნელოვნებაში, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის უნდა შევინარჩუნოთ ადგილზე.v

მართე გარემოსდაცვითი მდგრადობა

მუხლი 10: გაითვალისწინეთ გარემოსდაცვითი მდგრადობა

10.1: კულტურული მნიშვნელოვნების დაცვისას უნდა ვიზრუნოთ გარემოსდაცვითი მდგრადობისა და ენერგოეფექტურობის ზომებს შორის სათანადო ბალანსის მისაღწევად

დროთა განმავლობაში მოიმატებს მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ენერგოეფექტურობის გაზრდის მოთხოვნაზე წნეხი და ობიექტები მაქსიმალურად ეფექტურად უნდა ფუნქციონირებდნენ. თუმცა, შეძლებისდაგვარად, ენერგიის დაზოგვამ ნაკლები უარყოფითი გავლენა უნდა მოახდინოს კულტურულ მნიშვნელოვნებაზე (მათ შორის ფუნქციაზე და გამოყენებაზე).

კონსერვაციის დროს უნდა გაითვალისწინონ გარემოსდაცვითი მდგრადობის თანამედროვე მიდგომები.vi კულტურული მემკვიდრეობის ადგილის ან ძეგლის კონსერვაციის, განვითარებისა და მართვისთვის ჩარევა უნდა განხორციელდეს მდგრადი მეთოდებითა და მასალებით. ადგილის ან ძეგლის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა მხარის კონსულტაცია, იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას პრაქტიკული და დაბალანსებული გადაწყვეტილება. მემკვიდრეობის ადგილის და მისი უფრო ფართო გარემოს ინტერვენციის, მართვისა და ინტერპრეტაციის დროს ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა გამოვიყენოთ კულტურული მნიშვნელოვნების შესანარჩუნებლად და მომავალი თაობებისთვის გადასაცემად.

არსებული შენობის ენერგიის წარმადობის გაგება არის პირველი ნაბიჯი ენერგოეფექტურობის გასაზრდელად. ამისთვის გამოიკვლიეთ სპეციფიკური ტექნიკური მეთოდები, სისტემები და მასალები. თუ ორიგინალი მასალები გამოვიდა მწყობრიდან, იქ, სადაც ეს უარყოფითად არ იმოქმედებს კულტურულ ღირებულებაზე, გამოიკვლიეთ მასალების უფრო ენერგოეფექტური ალტერნატივებით შეცვლის ან გამოსწორების შესაძლებლობა.

კულტურულ და ისტორიულ ურბანულ ლანდშაფტებთან მიმართებაში განახლებადი ენერგიის ისეთი სისტემების ზემოქმედება, როგორებიცაა: ქარის ტურბინები, მზის პანელები და წყალშემკრები სისტემები, უნდა შეფასდეს და თავიდან იქნას აცილებული, მინიმუმამდე დაყვანილი ან შემცირებული.

10.2: გაითვალისწინეთ და განავითარეთ ენერგიის სათანადო კონსერვაციისა და ეკოლოგიურად მდგრადი გამოცდილება მეოცე საუკუნის მემკვიდრეობისთვის

ხელი შეუწყეთ მეოცე საუკუნის მემკვიდრეობისთვის ეკოლოგიურად მდგრადი მასალების, სისტემებისა და ნორმების შემუშავების კვლევას.

წაახალისეთ საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამები მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის ინტეგრირებული მეთოდის დასანერგად, რაც დააბალანსებს კულტურული მნიშვნელოვნების კონსერვაციასა და გარემოსდაცვითი მდგრადობის საჭიროებებს.

მოახდინეთ ინტერპრეტაცია, გაავრცელეთ და განავითარეთ უნარ-ჩვევები

მუხლი 11: ხელი შეუწყეთ მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და მისი მნიშვნელობის ფართოდ გავრცელებას საზოგადოებაში

11.1: ფართოდ გაავრცელეთ ინფორმაცია კულტურულ მნიშვნელოვნებაზე

აწარმოეთ დიალოგი ძირითად და დაინტერესებულ მხარეებთან, რაც ხელს შეუწყობს მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილების დაფასებასა და გაგებას

11.2: პრეზენტაცია და ინტერპრეტაცია კონსერვაციის პროცესის არსებითი ნაწილია

შექმენით და გაავრცელეთ მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კვლევები და კონსერვაციის/მართვის გეგმები და, შეძლებისდაგვარად, შეუწყეთ ხელი შესაბამის პროფესიულ და ფართო საზოგადოების წრეებში სპეციფიკური ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებას.

11.3: ინტერპრეტაცია არის კონსერვაციის საკვანძო ქმედება

ინტერპრეტაცია აუცილებელია მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილებისა და ძეგლების საზოგადოებრივი დაფასების მისაღწევად და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცვლილებების დოკუმენტირებასა და მნიშვნელოვნების ახსნაში

11.4: წაახალისეთ და მხარი დაუჭირეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის შენარჩუნების უნარების გასავითარებლად

სხვადასხვა დარგის საგანმანათლებლო და პროფესიული გადამზადების პროგრამები უნდა მოიცავდეს მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის კონსერვაციის საფუძვლებს და ეხებოდეს მის სპეციფიკურ გამოწვევებს, როგორებიცაა: მნიშვნელოვნების გაგება, ტექნიკური და მასალებთან დაკავშირებული გამოწვევები და გარემოსდაცვითი მდგრადობა. vii

განმარტებები[1]

ადაპტაცია – ღირსშესანიშნავი ადგილისა და ძეგლის ცვლილება არსებული ან ახალი ფუნქციისთვის მოსარგებად (ბურას ქარტია, 2013 წ.).

ადგილი – მემკვიდრეობის მნიშვნელოვნების გეოგრაფიულად განსაზღვრული ტერიტორიის აღნიშვნა. მასში შედის ობიექტები, სივრცეები და ხედები, ძეგლები, შენობები, ნაგებობები, არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიული ურბანული ლანდშაფტები, კულტურული ლანდშაფტები, კულტურული მარშრუტები და ინდუსტრიული ობიექტები. მას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური და არამატერიალური განზომილება. აგრეთვე იხილეთ ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ადგილის შემადგენელს.

ატრიბუტები – ადგილის ადგილმდებარეობა, ფორმა, ქსოვილი და ფუნქცია, მისი დაგეგმვის მეთოდები, მხატვრული გაფორმება (ფერების სქემების ჩათვლით), სამშენებლო სისტემები და ტექნიკური აღჭურვილობა, აგრეთვე მისი ესთეტიკური მახასიათებლები.

ავთენტურობა – მემკვიდრეობის ადგილის ან ძეგლის თვისება, სანდო და უტყუარი მატერიალური ატრიბუტებისა და არამატერიალური ფასეულობებით გამოხატოს თავისი კულტურული მნიშვნელოვნება. ის დამოკიდებულია კულტურული მემკვიდრეობის ადგილის ტიპსა და მის კულტურულ კონტექსტზე.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – ადათ-წესები, წარმოსახვისა და გამოხატვის ფორმები, ცოდნა და უნარ-ჩვევები. ასევე, მათთან დაკავშირებული საშუალებები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, აღიარებული გაერთიანებების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად.

არამატერიალური ღირებულებები – შეიძლება მოიცავდეს ისტორიულ, სოციალურ, სამეცნიერო ან სულიერ ასოციაციებს, ან შემოქმედებით გენს.

ინტერპრეტაცია – აღნიშნავს იმ პოტენციური ქმედებების სრულ სპექტრს, რომელთა მიზანია, გაიზარდოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის/ადგილის საზოგადოებრივი აღქმა და დაფასება. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ბეჭდური ან ელექტრონული პუბლიკაციები, საჯარო ლექციები, ინსტალაციები ძეგლზე ან მის მიღმა, საგანმანათლებლო პროგრამები, სათემო ღონისძიებები, კვლევა, წვრთნა და თავად ინტერპრეტაციის პროცესის შეფასება (კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის ICOMOS-ის ქარტია, 2008 წ.).

ძეგლის გარემო – უშუალო და გაფართოებული გარემო, რომელიც არის მისი მნიშვნელოვნებისა და განმასხვავებელი ხასიათის ნაწილი ან ხელს უწყობს მას (ქსი'ანის დეკლარაცია, 2005 წ.).

გარემოსდაცვითი მდგრადობა – ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი გარემოს ხარისხის გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნება და/ან გაუმჯობესება, მასთან დაკავშირებული ფაქტორებისა და პროცესების გათვალისწინებით.

მემკვიდრეობის ადგილის ან ძეგლის ელემენტები შეიძლება მოიცავდეს მისი განლაგების მოხაზულობას/გეგმას, ინტერიერს, დეტალებს, თანმხლებ ავეჯსა და ხელოვნების ნიმუშებს, გარემოსა და ლანდშაფტებს.

ჩარევა – ცვლილება ან ადაპტაცია, ადგილის როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ატრიბუტების გადაკეთების ჩათვლით.

ისტორიული ბაღი – დაპროექტებული ლანდშაფტი, რომელშიც ჩართულია არქიტექტურული და მებაღეობის ელემენტები და ღირებულია მისი ისტორიული, ესთეტიკური და სოციალური მნიშვნელობებით.

ისტორიული ურბანული ლანდშაფტი – ურბანული გარემო, რომელიც კულტურული და ბუნებრივი ღირებულებებისა და ატრიბუტების, მათ შორის ფართო ურბანული კონტექსტისა და მისი გეოგრაფიული გარემოს განშრევების

1 წინამდებარე განმარტებები ქვეყნდება არასრულად, ვინაიდან, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული ტერმინები ძირითად დოქტრინულ ტექსტებს სრულად არ შეესაბამებოდა. (რედ.)

შედეგს წარმოადგენს. კონტექსტი გულისხმობს ადგილის ტოპოგრაფიას, გეომორფოლოგიას, ჰიდროლოგიასა და ბუნებრივ მახასიათებლებს, მის ნაშენ გარემოს, როგორც ისტორიულს, ასევე თანამედროვეს, მის მიწისზედა და მიწისქვეშა ინფრასტრუქტურებს, მის ღია სივრცეებსა და ბაღებს, მის მიწათსარგებლობის სქემებსა და სივრცით ორგანიზებას, აღქმებსა და ვიზუალურ კავშირებს ისევე, როგორც ურბანული სტრუქტურის ყველა სხვა ელემენტს. იგი ასევე მოიცავს სოციალურ და კულტურულ ტრადიციებს და ღირებულებებს, ეკონომიკურ პროცესებს და მემკვიდრეობის არამატერიალურ პარამეტრებს, რომლებიც დაკავშირებულია მრავალფეროვნებასა და იდენტობასთან (იუნესკოს რეკომენდაცია ისტორიული ურბანული ლანდშაფტების შესახებ, 2011 წ.).

კონსერვაცია – მემკვიდრეობის ადგილის ან ძეგლის კულტურული მნიშვნელოვნების შესანარჩუნებლად საჭირო ყველა პროცესი (ბურას ქარტია, 2013 წ.).

კონსერვაციის მართვის გეგმა – მემკვიდრეობის ადგილის მართვის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც ასევე გამოიყენება ნებისმიერი მომავალი ცვლილების სამართავად. იგი მოიცავს მემკვიდრეობის მნიშვნელოვნებისა და გამოწვევების გამოვლენას, იმას, თუ რამდენად მოწყვლადია ეს ღირებულება ცვლილებისადმი და განსაზღვრავს მომავალში ამ მნიშვნელოვნების შენარჩუნების პოლიტიკას. ზოგ ქვეყანაში ამავე მნიშვნელობით იყენებენ ტერმინს **კონსერვაციის გეგმა**, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კონსერვაციის გეგმა მოიცავს მხოლოდ ფიზიკური კონსერვაციის საკითხებს. აგრეთვე იხილეთ **მართვის გეგმა**.

კულტურული ლანდშაფტები – ბუნებისა და კაცობრიობის ერთობლივი ქმნილებები. ისინი წარმოაჩენენ საზოგადოებებისა და დასახლებების ევოლუციას დროთა განმავლობაში როგორც ბუნებრივი, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული, შიდა, ისე გარე ფაქტორებით გამოწვეული, ფიზიკური წინააღმდეგობებისა და/ან შესაძლებლობების შედეგს. არსებობს კულტურული ლანდშაფტის სამი კატეგორია, დაპროექტებული (მაგალითად, ისტორიული ბაღი), ცვალებადი (მაგალითად, აგრარული ლანდშაფტი ან ქალაქის პეიზაჟი) და ასოციაციური (სადაც ბუნებრივი ლანდშაფტი ასოცირდება სულიერ, მხატვრულ ან სოციალურ ფასეულობებთან).

კულტურული მარშრუტი – ნებისმიერი საკომუნიკაციო მარშრუტი, იქნება ეს სახმელეთო, წყლის თუ სხვა ტიპის, რომელიც ფიზიკურად გამოკვეთილია და ასევე ახასიათებს საკუთარი განსაკუთრებული დინამიკა და ისტორიული დანიშნულება, ემსახურება სპეციფიკურ და კარგად განსაზღვრულ მიზანს (ICOMOS-ის ქარტია კულტურული მარშრუტების შესახებ, 2008 წ.).

კულტურული მნიშვნელოვნება (აგრეთვე შემოკლებულად **მნიშვნელოვნება**) – ესთეტიკური, ისტორიული, სამეცნიერო, სოციალური ან/და სულიერი ფასეულობა ყველა თაობისთვის. კულტურულ მნიშვნელოვნებას მემკვიდრეობის ადგილსა ან თავად ძეგლზე მისი ატრიბუტები, ადგილმდებარეობა, ქსოვილი, ფუნქცია, ასოციაციები, მნიშვნელობა, დაკავშირებული ინფორმაცია, დაკავშირებული ადგილები და ობიექტები გამოხატავს. მემკვიდრეობის ადგილებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა მნიშვნელოვნება განსხვავებული ინდივიდებისა და ჯგუფისთვის.

მართვის გეგმა – კონსერვაციის გეგმის მსგავსად, გამოიყენება როგორც ადგილის, ნებისმიერი სამომავლო ცვლილების ჩათვლით მართვის ჩარჩო დოკუმენტი, მაგრამ ის შეიძლება იყოს უფრო ფართო მასშტაბის და მათ შორის მოიცავდეს სამოქმედო საკითხებსაც. მართვის გეგმები, როგორც წესი, გამოიყენება კულტურული ლანდშაფტებისთვის, სადაც ყოველდღიური მართვის პროცესი კონსერვაციის საბაზისო ღონისძიებას წარმოადგენს.

მოვლა – მემკვიდრეობის ადგილების ან ძეგლების ქსოვილისა და გარემოს სისტემატიური მოვლის პროცესი მისი დაცვის მიზნით და ის უნდა განვასხვაოთ შეკეთებისგან.

მთლიანობა – განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულად და ხელუხლებლად არის შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ადგილები ან ძეგლები და მათი ატრიბუტები და ღირებულებები. ამრიგად, ადგილის ან ძეგლის მთლიანობის მდგომარეობის შემოწმება მოითხოვს იმის შეფასებას, თუ რამდენად:

ა) მოიცავს ის ყველა იმ ელემენტს, რომელიც აუცილებელია მისი ღირებულების გამოსახატავად;

ბ) სრულყოფილად ახდენს იმ მახასიათებლებისა და პროცესების წარმოჩენას, რომლებიც გადმოსცემენ ძეგლის მნიშვნელოვნებას;

გ) განიცდის განვითარებისა და/ან მიუხედავობის საზიანო შედეგებს.

ინდუსტრიული მემკვიდრეობა – შედგება ადგილების, ნაგებობების, კომპლექსების, არეალებისა და ლანდშაფტებისგან ისევე, როგორც მათთან დაკავშირებული მანქანა-დანადგარების, ობიექტების ან დოკუმენტებისგან, რომლებიც წარმოადგენენ წარსულის ან მოქმედი წარმოების, ნედლეულის მოპოვების, მისი საქონლად გარდაქმნისა და ამასთან დაკავშირებული ენერგეტიკული ან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ინდუსტრიული პროცესების საბუთებს (ინდუსტრიული მემკვიდრეობის ადგილების, ნაგებობების, არეალების და ლანდშაფტების კონსერვაციის ICOMOS-ისა და TICCIH-ის ერთობლივი პრინციპები, დუბლინი, 2011 წ.).

ქსოვილი – ადგილის/ძეგლის სრული ფიზიკური შემადგენელი, მათ შორის ელემენტები, დეტალები, შიგთავსი, დაკავშირებული ობიექტები და ბუნებრივი ელემენტები. ქსოვილმა შეიძლება განსაზღვროს სივრცე და ხედი (ბურას ქარტია, 2013 წ.).

შექცევადობა – ნიშნავს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ჩარევა შეიძლება გაუქმდეს ისე, რომ არ შეცვალოს და გადააკეთოს ძირითადი ისტორიული ქსოვილი. უმეტეს შემთხვევაში სრული შექცევადობა არ მიიღწევა.

ძეგლი[2] – მემკვიდრეობის ღირებულების გამო აღიარებული არეალის აღნიშვნა. იგი ადგილის შემადგენელია და მოიცავს ძეგლებს, არქეოლოგიას, შენობებს, ნაგებობებს, სივრცეებსა და ბაღებს. მას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური და არამატერიალური განზომილება.

პრეზენტაცია – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ინტერპრეტირებული შინაარსის ფრთხილად დაგეგმილი კომუნიკაცია, ძეგლზე საინტერპრეტაციო ინფორმაციის წვდომის უზრუნველყოფა და საინტერპრეტაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა. მან შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკური საშუალება, მათ შორის, საინფორმაციო პანელები, სამუზეუმო ვიტრინები, საფეხმავლო ტურები, ლექციები და ტურები გამყოლით, მულტიმედია აპლიკაციები და ვებგვერდები (კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის ICOMOS-ის ქარტია, 2008 წ.).

შენიშვნები

i ICOMOS-ის, იუნესკოს და სხვა წამყვანი ორგანიზაციების თემატურად ახლოს მდგომი დოკუმენტები და ქარტიები:[3]

1. საერთაშორისო ქარტია ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის შესახებ (ვენეციის ქარტია), 1964;
2. ისტორიული ბაღები (ფლორენციის ქარტია), 1981;
3. ქარტია ისტორიული ქალაქებისა და ურბანული სივრცეების კონსერვაციის შესახებ (ვაშინგტონის ქარტია), 1987;
4. აინდჰოვენის ანგარიში, DOCOMOMO, 1990;
5. ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ, 1994 წ. და ნარა +20, 2014;
6. ICOMOS-ის ქარტია არქიტექტურული მემკვიდრეობის ანალიზის, კონსერვაციისა და სტრუქტურული რესტავრაციის პრინციპები, 2003;

2 აღნიშნული ტერმინი – ინგლ. site ხშირ შემთხვევაში ნათარგმნია როგორც ღირსშესანიშნავი ადგილი. მაგ., იკომოსის განმარტებაში (რედ.).

3 ამ ჩამონათვალის უმეტესობა თარგმნილია და გამოცემულია ICOMOS საქართველოს მიერ და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.icomos.org.ge

7. ქსი'ანის დეკლარაცია მემკვიდრეობის ნაგებობათა, ღირსშესანიშნაობათა და არეალთა გარემოს კონსერვაციის შესახებ, 2005;
8. ICOMOS-ის ქარტია კულტურული მარშრუტების შესახებ, 2008;
9. ICOMOS-ის ქარტია კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების ინტერპრეტაციასა და პრეზენტაციის შესახებ, 2008;
10. ვალეტას პრინციპები ისტორიული ქალაქების, დასახლებებისა და უბრანული არეალების დაცვისა და მართვისთვის/მენეჯმენტისთვის, 2011;
11. ICOMOS-ისა და TICCIH-ის ინდუსტრიული მემკვიდრეობის, ნაგებობების, ტერიტორიებისა და ლანდშაფტების კონსერვაციის საერთო პრინციპები, 2011;
12. ავსტრალიის ICOMOS-ის ქარტია კულტურული მნიშვნელოვნების მქონე ადგილების შესახებ, ბურას ქარტია, 2013 და თანმხლები სახელმძღვანელო პრინციპები;
13. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპები, იუნესკო, 2016.

3 7 8 10

11 12 13

ii ქსი'ანის დეკლარაცია მემკვიდრეობის ნაგებობათა, ღირსშესანიშნაობათა და არეალთა გარემოს კონსერვაციის შესახებ, იკომოსი, 2005.

iii მაგალითად, Texto De Mexico, 2011 წ. და მოსკოვის დეკლარაცია, 2006.

iv გარკვეულ შემთხვევებში, მეოცე საუკუნეში აშენებულ ნაგებობებში გამოყენებულ მასალებს უფრო მოკლე სიცოცხლის ხანგრძლიობა აქვთ, ვიდრე ტრადიციულ მასალებს. გამომდინარე ამ პერიოდის ნაგებობების კონსერვაციის არასაკმარისი გამოცდილებიდან და რომ არ არსებობს მათი შეკეთების შესაბამისი მეთოდების ცოდნა, შეიძლება მათ უფრო მკვეთრი ჩარევა დასჭირდეთ, ვიდრე – ტრადიციულ მასალებს და სამომავლოდაც დამატებითი ჩარევა გახდეს საჭირო.

v დაუშვებელია მათი მოხსნა, თუ ეს არ არის მათი გადარჩენისა და შენარჩუნების ერთადერთი საშუალება. ისინი უნდა დააბრუნოთ, როგორც კი გარემოებები ამის საშუალებას მოგცემთ.

vi გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალაქების განვითარების ახალი პროგრამა, 2017.

vii UIA (არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირი) არქიტექტურული საგანმანათლებლო კომისიის დამკვირვებელი ჯგუფი.

3. ბურას ქარტიის პროცესი: დიაგრამა ავსტრალიის ICOMOS-ის ბურას ქარტიიდან, 2013.

კულტურული მნიშვნელოვნების მქონე ადგილების დაგეგმვისა და მართვის ნაბიჯები

ბურას ქარტია მთლიანობაში უნდა იქნას წაკითხული.

თითოეული ნაბიჯის შესაბამისი საკვანძო მუხლები ნაჩვენებია დიაგრამის უჯრედებში. მე-6 მუხლი აჯამებს ბურას ქარტიის პროცესს.

გაიაზრეთ მნიშვნელოვნება

1 გაიაზრეთ ადგილი

განსაზღვრეთ ადგილი და მისი მოცულობა.
შეისწავლეთ ადგილი: მისი ისტორია, ფუნქცია, კავშირები, ქსოვილი
მუხლი 5-7, 12, 26

2 შეაფასეთ კულტურული ღირებულება

შეაფასეთ ყველა ღირებულება მართებული კრიტერიუმების გამოყენებით.
შეიმუშავეთ ღირებულების მტკიცებულება
მუხლი 26

შეიმუშავეთ პოლიტიკა

3 გამოავლინეთ ყველა ფაქტორი და საკითხი

გამოავლინეთ მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე ვალდებულებები.
განსაზღვრეთ სამომავლო საჭიროებები, რესურსები, შესაძლებლობები, შეზღუდვები და მდგომარეობა.
მუხლი 6, 12

4 შეიმუშავეთ პოლიტიკა

მუხლი 6-13, 26

5 მოამზადეთ მართვის გეგმა

განსაზღვრეთ პრიორიტეტები, რესურსები, პასუხისმგებლობები და ვადები.
შეიმუშავეთ განხორციელების ქმედებები
მუხლი 14-28

მართეთ პოლიტიკის შესაბამისად

6 განახორციელეთ მართვის გეგმა

მუხლი 26-34

7 მოახდინეთ შედეგების მონიტორინგი და გეგმის გადახედვა

მუხლი 26

ყოველგვარ ეჭვად ეფუძნება ადგილზე ეფუძნებოდეს ადგილობრივ ინტერესებსა და ღირებულებებს

9 789941 828799